პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№119(12798) 23 მაისი შაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქართველთა მორიგი გამონათება

>> გვერდი 12 ლეგიონი

## საფეხბურთო ოფიციოზმაც აღიარა: სიონი–ვიტ ჯორჯია საეჭვო იყო



## კომისია მობრძანდება

ისევ გარიგებულ მატჩებზე. პრესკონფერენცია ფეხბურთის ფედერაციაში >> გვერდი 3

## რას უქადის მსოფლიო კრიზისი ქართულ კლუბებს?

>> გვერდი 3




## ვის დარჩება გერმანული სინი?

>> გვერდი 5-9 მსოფლიო ფეხბურთი



## ბარაბაძე დევდარიანთან, ორჰუსში...

>> გვერდი 4 სავარაუდო ტრანსფერი



## ავია და ენერჯი ფინიშზე

>> გვერდი 12 სუპერთასის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
ბოლო ტურის წინათქმა

**23.05. რუსთავი. ფოლადი. 16:10**
**ოლიმპი – სიონი**

არბიტრი: ლ. კვარაცხელია;
ასისტენტები: ა. კოკაია, ზ. ხუციშვილი;
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე
დისკვალიფიკაცია: მეგრელაძე, მაჭავარიანი (ორივე ოლიმპი); ჭანტურია, რ. გოცირიძე (ორივე სიონი)

**23.05. ზუგდიდი. ცენტრალური. 16:10**
**ზესტაფონი – ლოკომოტივი**

არბიტრი: ლ. სილაგავა;
ასისტენტები: გ. ყრუაშვილი, კ. ბერაძე;
მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი
დისკვალიფიკაცია: გ. ხიდეშელი, ბენაშვილი, ძარია (სამივე ზესტაფონი); კახელიშვილი, გუშარაშვილი, გ. ლომაია (ყველა ლოკომოტივი)

**23.05. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 16:10**
**მესხეთი – სპარტაკი** Live

არბიტრი: გ. ვადაჭკორია;
ასისტენტები: ზ. ფიფია, ლ. თოდრია;
მეოთხე მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი
დისკვალიფიკაცია: მემარნიშვილი (მესხეთი)

**23.05. გორი. თ. ბურჯანაძე. 16:10**
**ვიტ ჯორჯია – მგლები**

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი;
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ი. უკლება;
მეოთხე მსაჯი: ვ. გუმბერიძე
დისკვალიფიკაცია: რაქვიაშვილი, სომხიშვილი (ორივე მგლები)

**23.05. თბილისი. ეროვნული. 16:10**
**დინამო – ბორჯომი**

არბიტრი: ო. ხეცაძე;
ასისტენტები: ზ. ბერულავა, ს. სპიცინი;
მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი
დისკვალიფიკაცია: ბაქრაძე (ბორჯომი)

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 29 | 19 | 9 | 1 | 53-19 | 66 |
| 2. დინამო | 29 | 18 | 6 | 5 | 58-21 | 60 |
| 3. ოლიმპი | 29 | 16 | 9 | 4 | 40-19 | 57 |
| 4. ზესტაფონი | 29 | 16 | 4 | 9 | 42-24 | 52 |
| 5. სიონი | 29 | 10 | 11 | 8 | 34-29 | 41 |
| 6. მგლები | 29 | 10 | 6 | 13 | 36-37 | 36 |
| 7. ლოკომოტივი | 29 | 9 | 8 | 12 | 32-32 | 35 |
| 8. გაგრა | 30 | 7 | 7 | 16 | 23-48 | 28 |
| 9. მესხეთი | 29 | 6 | 8 | 15 | 22-42 | 26 |
| 10. სპარტაკი | 29 | 6 | 7 | 16 | 28-45 | 25 |
| 11. ბორჯომი | 29 | 2 | 7 | 20 | 21-73 | 13 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 14 | 11 | 3 | 0 | 37-11 | 36 |
| 2. ზესტაფონი | 14 | 10 | 0 | 4 | 27-11 | 30 |
| 3. ოლიმპი | 14 | 8 | 5 | 1 | 21-6 | 29 |
| 4. მგლები | 16 | 9 | 1 | 6 | 25-13 | 28 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 23-9 | 28 |
| 6. გაგრა | 16 | 5 | 5 | 6 | 17-19 | 20 |
| 7. ლოკომოტივი | 16 | 5 | 4 | 7 | 15-14 | 19 |
| 8. სიონი | 14 | 4 | 6 | 4 | 18-15 | 18 |
| 9. მესხეთი | 13 | 4 | 4 | 5 | 16-14 | 16 |
| 10. სპარტაკი | 15 | 4 | 4 | 7 | 16-22 | 16 |
| 11. ბორჯომი | 15 | 1 | 5 | 9 | 12-28 | 8 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 16 | 11 | 5 | 0 | 30-10 | 38 |
| 2. ოლიმპი | 15 | 8 | 4 | 3 | 19-13 | 28 |
| 3. დინამო | 15 | 7 | 3 | 5 | 21-10 | 24 |
| 4. სიონი | 15 | 6 | 5 | 4 | 16-14 | 23 |
| 5. ზესტაფონი | 15 | 6 | 4 | 5 | 15-13 | 22 |
| 6. ლოკომოტივი | 13 | 4 | 4 | 5 | 17-18 | 16 |
| 7. მესხეთი | 16 | 2 | 4 | 10 | 6-28 | 10 |
| 8. სპარტაკი | 14 | 2 | 3 | 9 | 12-23 | 9 |
| 9. გაგრა | 14 | 2 | 2 | 10 | 6-29 | 8 |
| 10. მგლები | 13 | 1 | 5 | 7 | 11-24 | 8 |
| 11. ბორჯომი | 14 | 1 | 2 | 11 | 9-45 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 20 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| თოდუა (მგლები) | 11 |

**მთელი სეზონის განმავლობაში, ნებისმიერი ტურის წინათქმასა თუ მიმოხილვაში, აუცილებლად უნდა გვეხსენებინა, რომ საიუბილეო, XX ჩემპიონატს ვატარებდით. ყველა სახის საიუბილეო ღონისძიება კი განსაკუთრებულთან, გამორჩეულთან და დასამახსოვრებელთან ასოცირდება. სამწუხაროდ, საქართველოს XX ჩემპიონატი მომავალში მხოლოდ... უარყოფითად გაგვახსენდება...**

# აბსურდის თეატრის დასასრული

## ეს თუ ფეხბურთია...

ჰო, პირდაპირ ვთქვათ - ამდენი სიბინძურე თუ უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ადრე არასდროს ყოფილა! 19 წელიწადის განმავლობაში არაერთი საეჭვო მატჩი გვინახავს, „ძალით“ ჩემპიონებიც გვყოლია და სრულიად უსამართლოდ დაჩაგრული გუნდებიც, სამსაჯო ლაფსუსებიც მრავლად გვახსოვს და კლუბების ხელმძღვანელთა სკანდალური განცხადებებიც; მაგრამ მეოცე ჩემპიონატმა... ყველა და ყველაფერი დაჩრდილა! განსაკუთრებით ამაზრზენი კი ბოლო ორ თვეში მომხდარი მოვლენები იყო: ღიად და აშკარად თამაშების „დათმობა“, თასისა და ჩემპიონატის მატჩების გაცვლა-გამოცვლა, მწვრთნელებისა და კლუბის ხელმძღვანელების ურთიერთბრალდებები, ნებისმიერი წარუმატებლობის მსაჯებზე გადაბრალება, გულშემატკივრების (სტადიონზე მყოფთა და ტელემაყურებლების) აბუჩად აგდება და უარესი - იქითკენ შეტევა (შეურაცხყოფას რატომ გვაყენებთ, ჩვენ ხომ კრისტალურად სუფთები ვართო)...

აი, ეს იყო მეოცე ჩემპიონატის „საფირმო ნიშანი“; არადა, მთელი სეზონის განმავლობაში რომ გვიძახოდით - არიქა, როგორი დაძაბული პირველობა გვაქვს და „მაგარი“ ინტრიგააო, თურმე თავს ვიტყუებდით! ჰოდა, უკვე მერამდენედ ვამბობთ, რომ თავს აღარ მოვიტყუებთ; ეგ კი არა, პროტესტის სხვა (უკიდურესი) ფორმაც მოფიქრებული გვაქვს და ამაზე, ალბათ, სკანდალურ-საიუბილეო ჩემპიონატის ბოლო ტურის მერე ვისაუბრებთ.

..."თავის მოტყუება" შემთხვევით არ გვიხსენებია; იმიტომ, რომ თუ ქართულ ფეხბურთში რაიმე უმსგავსობა ხდება, ეს ყველაფერი ხომ... ჟურნალისტების ბრალია! ეგ კი არა, იმასაც მოვესწარით, რომ ერთ-ერთი კლუბის ხელმძღვანელი საჯაროდ, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში საყვედურობს ჟურნალისტს: ჩვენმა გუნდმა გოლი რომ გაიტანა, რეპორტაჟის დროს ემოცია რატომ არ გამოხატეო?.. აბა, ამას კომენტარი სჭირდება? თუმცა, კომენტარიც სჭირდება დ პასუხის გაცემაც; ისევე, როგორც იმ უამრავ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას, „სიონი“-“ვიტ ჯორჯიას“ მატჩამდე თუ მერე რომ ვრცელდებოდა. ყველაფერ ამაზე კი ბოლო ტურის მერე ვისაუბროთ - აბა, „ყბადაღებული“ მიმოხილვავის რაში სჭირდება; უფრო ზუსტად, დაპირებისამებრ, თავს აღარ მოვიტყუებთ. სხვათა შორის, არც უკანასკნელი ტურის წინათქმაზე ვაპირებდით მასალის დაწერას, მაგრამ, შინაგანი პროტესტის გარდა, ელემენტარულად, პროფესიული მოვალეობაც ხომ არსებობს...



დავით მინაშვილი

## აბა, შენ იცი, დავით!

ბოლო ტურში მხოლოდ ერთადერთი მატჩია, რომლის შედეგსაც სატურნირო მნიშვნელობა აქვს. „მესხეთი“-“სპარტაკის“ შეხვედრაზე ამ ორივე გუნდის გარდა, მესამის ბედიც არის დამოკიდებული (აჰა, ამაზე მეტი ინტრიგა რაღა გინდათო, გვეტყვიან მერე, ალბათ, ამ „დაუნახავ“ ჟურნალისტებს). ნორმალური და წმინდა საფეხბურთო სიტუაცია რომ იყოს, ამ მატჩის ირგვლივ დიდ აჟიოტაჟს ავტეხდით, მაგრამ ახლა ისევ და ისევ... თავის მოტყუება გამოგვივა! მხოლოდ იმას დავძენთ, რომ გამარჯვების შემთხვევაში „მესხეთი“ უმაღლეს ლიგაში რჩება, ხოლო „გაგრა“ და „სპარტაკი“ პირველ ლიგაში გავარდებიან; თუ „სპარტაკი“ გაიმარჯვებს, მაშინ 28 ქულით უკვე ის იქნება სამშვიდობოს და რახან „გაგრასთან“ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა აქვს, უმაღლესში ადგილს სწორედ **სერგო გაბელაიას** გუნდი შეინარჩუნებს. აი, რაც შეეხება ფრეს - ეს შედეგი კი „გაგრას“ აძლევს ხელს და ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, რომ „სპარტაკმა“ და „მესხეთმა“ ერთმანეთს თავი შეაკლან, „არამშვიდობიანი“ საყაიმო ანგარიშით მატჩი დაასრულონ და ამით საქმე... თავიანთ უშუალო კონკურენტს გაუკეთონ. მოკლედ, ზეპრინციპული მატჩია და ამ შეხვედრის არბიტრს **გიორგი ვადაჭკორიას** ამ სეზონში უკვე მერამდენედ სერიოზული გამოცდა ელოდება. თუმცა, ვადაჭკორიაზე არანაკლებ რთული მისია აქვს შესასრულებელი ჩვენს კოლეგა **დავით მინაშვილს**; უფრო მეტიც - „ასი თვალი და ასი ყური“, მაქსიმალური კონცენტრაცია, თითოეული სიტყვის, ფრაზის თუ ტერმინის უშეცდომო წარმოთქმა, და, რაც მთავარია, ემოციების... ზუსტად, ანუ, სამ ნაწილად (!) გამოხატვა მოეთხოვება! ჰო, დავით მინაშვილს ძალიან ძნელი და საპასუხისმგებლო რეპორტაჟი ელოდება: „მესხეთი“ რომ გოლს გაიტანს, ემოცია ისე უნდა გამოხატოს, ამ გუნდის ქომაგები რომ დააკმაყოფილოს; ოღონდ, ამავდროულად, იმაზეც უნდა იფიქროს, „სპარტაკის“ ხელმძღვანელები არ განაწყენდნენ; „სპარტაკის“ წარმატების შემთხვევაში ახალციხელების რისხვას დაიმსახურებს; აი, მატჩი რომ ფრედ დასრულდეს და წამოსცდეს, ამ შედეგით „გაგრამ“ იხეირაო, უკვე ორი მხრიდან შემოუტევენ! „მესხეთისა“ და „სპარტაკის“ ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, უთხრან კიდეც: ძალიან გაგიხარდა მაგ გუნდის გადარჩენა, იმიტომ, რომ ამ სეზონში „ამერის“ სტადიონიდან „გაგრას“ მატჩების ბევრი რეპორტაჟი მიგყავდა და ხანდახან, გოლის დროს, ჩვენ რომ არ მოგვწონდა, ისეთ ემოციებსაც გამოხატავდიო. ჰო, ეგრეა - პრესაში მომუშავე ჟურნალისტებს „წერე და იკითხეო“, საყვედურით მოგვიგდებენ ხოლმე; აი, ტელევიზიაში მომუშავე კოლეგებს კი ბევრად უფრო რთულად აქვთ საქმე - გოლის გატანის დროს, ემოციების „ნაირსახეობაზეც“ უნდა იფიქრონ! თუმცა, გვჯერა, რომ დავით მინაშვილი თავისი ჟურნალისტური კარიერის განმავლობაში ამ ურთულეს გამოცდას „ფრიადზე“ ჩააბარებს. თანაც, რამხელა სტიმული ექნება: მერე ხომ ვერავინ წამოაძახებს (თან - პირდაპირ ეთერში), ჩემმა გუნდმა გოლი რომ გაიტანა, სიხარულისგან ხტუნაობა რატომ არ დაიწყეო?..

## თავის მოსატყუებელი

დღეს XX ჩემპიონატის ბოლო, XXXIII ტურის მატჩებია. ქვეყნის ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ ზუგდიდის „მგლებს“ უნდა უმასპინძლოს, „დინამომ“ - „ბორჯომს“, „ოლიმპმა“ - „სიონს“ (კიდევ კარგი, არც ერთ გუნდს ქულები არ სჭირდება), „ზესტაფონმა“ - „ლოკომოტივს“ და „მესხეთმა“ - „სპარტაკს“. როგორც ზემოთ გითხარით, ხუთიდან მხოლოდ ერთი წყვილია, ინტრიგას რომ გვპირდება. თუმცა, იმის დიდი შანსიც არის, რომ ეს ვითომ ინტრიგაც აღარ იყოს: „მესხეთს“ ლიცენზირებასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოგების შემთხვევაშიც... პირველ ლიგაში აღმოჩნდეს; უფრო უარესი კი ის არის, რომ პირველი ლიგის ერთ-ერთი გამარჯვებულიც არ ისწრაფვის უმაღლესში შემოსვლას. მოკლედ, „აბსურდის თეატრი“ კი არ მთავრდება, პირიქით - გასტროლებს მთელი საქართველოს მასშტაბით იწყებს...

**გია ტუხაშვილი**



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

პრესკონფერენცია

# კომისია! კომისია!

## ჯერ დასკვნა, მერე გადაწყვეტილება

გარიგებული თამაშები - ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა საგანგებო კომისიის შექმნას რომ აპირებდნენ, „ლელომ“ რამდენიმე დღის წინათ გაუწყათ. საეჭვო თამაშების პროკურატურისთვის გადაცემამ შედეგი ჯერ ვერ გამოიღო, გარიგებული თამაშების რაოდენობამ კი იმატა...

ამასთან დაკავშირებით, გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, პროფლიგის თავკაცი და ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** და კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** წარდგნენ.



**ახალკაცი:** „გარიგებულ თამაშებთან ბრძოლის მექანიზმებს ვამუშავებთ და ბოლო დღეებში ამ მიმართულებით საკმაოდ ინტენსიურად ვიმუშავეთ. ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია გარიგებულ მატჩებთან საბრძოლველად. ეს კომისია არ იქნება დროებითი ორგანო, გვინდა, ის მუდმივი იყოს, თუმცა ამავე დროს, იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ კომისიას ბევრი საქმე არ ექნება, ანუ აღარ იქნება საეჭვო თამაშები. ჩვენი სურვილია, ამ კომისიაში ჟურნალისტები და გულშემატკივრებიც შევიდნენ, რათა მრავალფეროვანი სპექტრით იყოს წარმოდგენილი. თუ რა შემადგენლობით დაკომპლექტდება ეს კომისია, უახლოეს დღეებში გაირკვევა. ფედერაციის მომდევნო ალმასკომზე ზუსტად დადგინდება, რა კონკრეტული ფუნქციები ექნება ამ კომისიას. მას უნდა მივცეთ იმის უფლება, რომ დაიბაროს კლუბების პრეზიდენტები, მწვრთნელები და ფეხბურთელები, დაუსვას მათ კითხვები. კომისია გააკეთებს დასკვნას და გადასცემს მას ალმასკომს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას, ვინ და როგორ დასაჯოს. იცით, რომ ამ სეზონის სამი თამაში გადავეცით პროკურატურას, რასაც მეოთხეც დავუმატეთ: „სიონი“-“ვიტ ჯორჯია“. ერთი სიტყვით, კომისიას ოთხ მატჩზე მუშაობა დაევალება. თუ ალმასკომი გადაწყვეტს, რომ ესა თუ ის მატჩი გარიგებული იყო, ამას რა ზომებიც მოჰყვა, მაგალითად იტალიაში, ყველას კარგად მოგეხსენებათ. იმედი გვაქვს, რომ ამ კომისიის შექმნა იქნება ერთ-ერთი ეფექტური საშუალება გარიგებულ მატჩების წინააღმდეგ“.

**რამიშვილი:** „გვინდა, სერიოზული ბრძოლა გამოვუცხადოთ ასეთ უმსგავსობებს. ამიტომაც აუცილებლად ჩავთვალეთ კომისიის შექმნა. კლუბების მესვეურები, მწვრთნელები და ფეხბურთელები აუცილებლად უნდა გამოცხადნენ ამ კომისიაში კითხვებზე პასუხების გასაცემად - ასეთი იქნება მოთხოვნა. აღარ გვინდა ისეთი ეროვნული ჩემპიონატი, სადაც ამდენი საეჭვო თამაში იქნება. ვცდილობთ, კლუბების მესვეურებს ავუხსნათ, რომ მათი გუნდები, პირველ რიგში, თამაშობენ გულშემატკივრისთვის, სწორედ გულშემატკივარი წარმოადგენს მთავარ რგოლს იმაში, რომ ფეხბურთი არსებობს. ამიტომაც გვინდა, გარიგებული თამაშების გამო უმკაცრესი ზომები მივიღოთ - ასეთია პროფლიგისა და ფედერაციის პრინციპული პოზიცია“.

ქავთარაძე: „გარდა კომისიის შექმნისა, კიდევ ერთი გადაწყვეტილებაც მივიღეთ. სავარაუდოდ, 8 ივნისს შევკრებთ ყველა კლუბის მფლობელს და ჩავატარებთ სამუშაო შეხვედრას. ყველა უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ დავიცავთ ფეარ პლეის პრინციპებს და კონკრეტულად იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ კლუბები აუცილებლად ითანამშრომლებენ ამ კომისიასთან. თუ ასე არ მოხდება, ეს ფაქტობრივად იმის მანიშნებელი იქნება, რომ ესა თუ ის კლუბი მართლა არის გარეული უმსგავსობებში. კომისია, სავარაუდოდ, 7-10 კაციანი იქნება, რომლის შემადგენლობაში, ალბათ, 3-4 ჟურნალისტი შევა, როგორც ბეჭდვითი, ასევე ტელემედიიდან. ჟურნალისტები კომისიას სერიოზულ ძალას შემატებენ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ გადაწყვეტილებები რთულად მიიღოს. მაგალითად, თუ ის 7-კაციანი იქნება, შესაძლოა, 4 ხმა არ იყოს საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად თუ რეალური დასკვნის გამოსატანად. გადაწყვეტილების მიღებისას კი აუცილებელი იქნება ცივი გონება და არგუმენტების არსებობა. ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ იმის ალბათობა - ალმასკომმა არ გაითვალისწინოს კომისიის დასკვნა, იქნება ძალიან მცირე. კომისიის მიმართ ნდობის მანდატი უნდა იყოს დიდი. წინ რთული სამუშაოა. ამით, ფაქტობრივად, შიდა გამოძიებას ვატარებთ. ცხადია, პროკურატურის მუშაობაში ვერ ჩავერევით. დიდი იმედი მაქვს, რომ ჟურნალისტები ამ საქმეში მხარს დაგვიჭერენ“.

**რამიშვილი:** „მარტო კომისიის შექმნით როდი ვაპირებთ გარიგებულ თამაშებთან ბრძოლას. პიარ-აქციებიც უნდა მოვაწყოთ და ასეთ პროგრამებს დავაფინანსებთ კიდეც. ყველამ უნდა გაითავისოს, რომ სუფთა თამაში ითამაშოს. ბოლო საეჭვო მატჩმა მართლაც აავსო ჩვენი მოთმინების ფიალა. ეს მართლა არ იყო სუფთა თამაში. თუ რა მოხდა კონკრეტულად, ეს ჯერ უნდა გავარკვიოთ“.

**ახალკაცი:** „წინასწარ რომელიმე მატჩზე გადაჭრით რაღაცის თქმა ნაადრევია, ამ საქმეშიც უნდა არსებობდეს უდანაშაულობის პრეზუმფცია“.

**რამიშვილი:** „არ არის აუცილებელი, კომისიამ და ალმასკომმა საეჭვო თამაშებზე მაინცდამაინც ევროტურნირების დაწყებამდე მიიღონ გადაწყვეტილება. „ვიტ ჯორჯია“ მართლაც კარგი, ძლიერი გუნდია და იმსახურებს, რომ ევროსარბიელზე ითამაშოს. არ გვსურს, რომ მოვლენებს წინ გავუსწროთ. რაც შეეხება იმას, რომ ეროვნულ ჩემპიონატში არა ერთია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კლუბი და ეს გარკვეულ პრობლემებს ქმნის, ამის თაობაზე გვექნება კონსულტაციები სახელმწიფო სტრუქტურებთან. არ გვინდა, რომ ჩვენ მიერ მიღებულმა რომელიმე გადაწყვეტილებამ რომელიმე რეგიონში ფეხბურთის განვითარებას ხელი შეუშალოს“.

**დავით თავართქილაძე**

ფეხბურთი და კრიზისი

# დააფინანსებს მეტალურგიული კომბინატი ოლიმპს?

## პარადოქსი: 3 ქართული კლუბი მოგებაზეა

2 ივნისს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამეთვალყურეო საბჭო შეიკრიბება და საბოლოო პასუხს გასცემს კითხვაზე - შეინახავს თუ არა რუსთავის „ოლიმპს“? მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგები საქართველოსაც ნელ-ნელა დაეტყო. ამას ადგილობრივი პრობლემებიც დაემატა და მეტალურგიული კომბინატი არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბუნებრივია, შედეგები მეტალურგიული კომბინატის მიერ დაფინანსებულ რუსთავის „ოლიმპსაც“ დაეტყო და შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად დაეტყოს. „ლელომ“ ინფორმაცია კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ზურაბ ჯაფარიძესთან** გადაამოწმა...

**- ბატონო ზურაბ, მართალია, რომ მეტალურგიულ კომბინატში არსებული პრობლემების გამო, შესაძლოა, კლუბს დაფინანსება შეუმცირდეს?**

- სამწუხაროდ, ამგვარი საფრთხე არსებობს. 2 ივნისს მეტალურგიულ კომბინატში „ოლიმპის“ დაფინასებაზე იმსჯელებენ. გააჩნია, ამ დროისთვის ქარხანაში რა მდგომარეობა იქნება.

**- ანუ, პრობლემები რეალურად შეიქმნა?**

- მთელ მსოფლიოსა და ქვეყანაშია ეკონომიკური პრობლემები და მეტალურგიული კომბინატი გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ჯერ თავადაც არ არიან ჩამოყალიბებულები, როგორ გადაჭრან პრობლემა. თასის ფინალის შემდეგ ფეხბურთელებს შვებულებაში გავუშვებთ და მხოლოდ ამის შემდეგ გვეცოდინება, როგორი კლუბი გვეყოლება მომავალ სეზონში. ჯერ არც ის ვიცით, ვის შევინარჩუნებთ, ან ვის დავიმატებთ.

**- ძველებური დაფინანსების შენარჩუნების ყველა იმედი გადაგეწურათ?**

- იმედი მაინც გვაქვს, მაგრამ ვნახოთ, რა და როგორ გადაწყდება...

ანალოგიური პრობლემების წინაშეა ბოლნისის „სიონიც“. მსოფლიო ბაზარზე მადნეულის ფასი განახევრდა. ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა ახსენა კიდეც, რომ „მადნეულს“ 350 ათასი ლარის დავალიანება დაუგროვდა.

საბედნიეროდ, კრიზისი არ დატყობია „ზესტაფონს“ და იმედია, მომავალშიც ასეც გაგრძელდება. კლუბში არც ხელფას-პრემიას აგვიანებენ და ჯერჯერობით, მსგავსი საფრთხე არ ემუქრებათ.

ასეთივე სიტუაციაა „ვიტ ჯორჯიაშიც“ - კლუბი ფეხბურთელების წინაშე ვალდებულებებს დროულად ისტუმრებს.

ამ გაჭირვებისა და კრიზისის ფონზე პარადოქსულად მოგეჩვენებათ, რომ წელს ერთდროულად 3 ქართული კლუბი მოგებაზე გავიდა - მსგავსი შემთხვევა დღემდე არ ყოფილა. „ვიტ ჯორჯიას“ გამართული ფინანსური სტრუქტურა არახალია. თბილისის „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** გულახდილობით გაგვაოცა - **დიდიე ოვონოს** „ლე მანში“ გაყიდვით (ფრანგები „დინამოს“ გაბონელ მეკარეში 700.000 ევროს, ანუ 875.000 დოლარს იხდიან) წლევანდელ ფინანსურ სეზონს მოგებით დავასრულებთო. ამას გარდა, კლუბის ბიუჯეტს სხვა წვრილმანი შემოსავლებიც დაემატა და დადებითი ბალანსიც გამოვიდა.

„ზესტაფონისთვისაც“ ფინანსურად მომგებიანი სეზონი უნდა იყოს. კლუბმა ბოლო წლების რეკორდი გააუმჯობესა - **ბექა გოცირიძე** დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ 1 000 000 ევროდ გაყიდა. ეს უკვე მოგებაზე გამყვანი ტრანსფერია...

**მერაბ მამულაშვილი**



ზურაბ ჯაფარიძე

ფელეტონი

# ჯეკ, შენ გიჟი ხომ არა ხარ?

ჰა! ჰა! ჰა! - ოღონდ თითოეული „ჰა“ უნდა ითქვას მკაფიოდ, ნელა, გამოკვეთილად და, რა თქმა უნდა, დაცინვით. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მითხარით, ჩემო კარგებო, გახსოვთ „არაჩვეულებრივი შვიდეული“? გახსოვთ! ჰოდა, თუ გახსოვთ, მაშინ იქნებ ისიც იცოდეთ, რა ეშველება ქართულ ფეხბურთს?

ამ ურთულეს თემაზე კომენტარი იმ მოღვაწეს ვთხოვეთ, ვისი ციტატითაც დავიწყეთ ჩვენი დღევანდელი ჭმუნვა. გთხოვთ შეეგებოთ: კალვერა! ნუ, მოგეხსენებათ, ბატონი კალვერა ჯანჯალი კაცი არ არის და ამიტომ მრავალსიტყვიანი შესავლით აღარც მას დავტანჯავთ და აღარც თქვენ.

- მოგესალმებით, ბატონო კალვერ. პირველად ამას შეგეკითხებით: თქვენი გვარის ბოლოს ასო-ბგერა „ა“ ქართული ენის კნინობითი სუფიქსია თუ ბოლო ასო?

- ა?

- ანუ როგორ მოგმართოთ - ბატონო კალვერ თუ ბატონო კალვერა?

- ერთი ეს მითხარი, ჯეკ, შენ გიჟი ხომ არა ხარ?

- არა, სერ. თან ჯეკიც არა მქვია.

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჯეკ. შენ ის მითხარი, აქ რატომ მომიწვიე? ვინმე მოსაკლავია?

- არა, სერ. მკვლელობისგან ღმერთმა დაგვიფაროს. აქ იმიტომ მოგიწვიეთ, რომ ჩაწყობილ თამაშებში გაგვარკვიოთ.

- კი მაგრამ, ჯეკ, მე რა შუაში ვარ? განა შენ არ იცი, რომ ტეხასში მხოლოდ ტეხასელები უნდა ძარცვავდნენ?

- ეგ რაღა შუაშია?

- ეგ იმ შუაშია, რომ საქართველოში მხოლოდ ქართველები უნდა... რა ჰქვია იმას? აწყობდნენ... ჰო, თამაშებს აწყობდნენ. მე კი ძალიან შორიდან ვარ.

- ანუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ საქართველოში ნაკრებსაც კი ქართველი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს?

- აკი გეუბნები, საქართველოში მხოლოდ ქართველები უნდა... დაიცა, რა? ნაკრ...

- აი, ქართველების ბანდას (აბა, გუნდი მაგას არ ჰქვია და...) ატამანი სადაური უნდა ჰყავდეს?

- ფაქ! რა თქმა უნდა, ქართველი. მაგრამ, დაიცა ჯეკ, შენ თავიდან რაღაც სხვა არ მკითხე?

- თავიდან? აა, ჰო, ჩაწყობილი თამაშების შესახებ გეკითხებოდით.

- მისმინე, ჯონ, ჩვენ შორის დარჩეს და, ეგ რა არის?

- მე ჯონი არ ვარ.

- რა მნიშვნელობა აქვს? შენ რაც გკითხე, იმაზე მიპასუხე.

- ჩაწყობილი თამაში რა არის?

- ჰო.

- ნუ, აი, ორი გუნდი, ბანქოს მოთამაშე ან დუელიანტი წინასწარ რომ მოილაპარაკებს, ვინ უნდა გაიმარჯვოს.

- რატომ?

- რატომ რა?

- რატომ მოილაპარაკებს?

- როგორ გითხრათ...

- ვერ გავიგე, ტომ, რა აზრი აქვს დუელს თუკი არ დავუმიზნე და არ გავაგორე ის ძაღლიშვილი. ან ბანქო რატომ უნდა წავაგო? რა, ყველაზე მაგარი არ ვარ?

- როგორ გითხრათ, ჩემო სერ კალვერ...

- იცი რა, ჩაკ, ძალიან დაბნეული ჩანხარ და ნადი, ჯერ შენ თვითონ გაარკვიე, რა გინდა და მერე მელაპარაკე. დავამთავრე მე ჩემში ჯდომა. ვატყობ, აქ სისულელეებზე ლაპარაკობთ.

- ქართულ ფეხბურთზე, სერ!

- ფაქ, იუ! ჩაწყობილიო... რა სისულელეა, რატომ უნდა შევუთანხმდე ვილაცას წაგებაზე?!

- სერ!

- გზიდან ჩამომეცალე, თორემ შუბლს გაგიხვრეტ!

- ო ქეი, ო ქეი. სხვა რა გზაა...

*საუბარი ჩაიწერა ქართულ ფეხბურთზე ფიქრით დაღლილმა ფერდინანდ კუთხურსკიმ (ნამდვილი გვარი კუთხურეიშვილი).*

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

# მჭექი ამბავი

ვერაფერს იტყვი, გვარიანად საინტერესო კვირა გამოდგა. „სიონი“-„ვიტ ჯორჯიას“ მატჩმა ქვეყანა შეძრა, ეს იყო ყველაზე მჭექი ამბავი ყველა იმ მჭექი ამბიდან, რასაც „საეჭვო თამაშებად“ მოვიხსენიებდით მიმდინარე თუ წინა სეზონში...

სხვისი არ ვიცი და, მე მართლა გულწრფელად შემეცოდნენ „სიონის“ ფეხბურთელები, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ბოლნისელმა გულშემატკივარმა დასცინა და ზოგმაც აგინა, კიდევ თუნდაც იმის გამო, რომ მაისის მზიან დარში „სიონის“ ფეხბურთელებს გრძელმკლავიანი მაისურები ეცვათ... როგორც ჩანს, „სიონს“ მხოლოდ ასეთი ფორმა აქვს, თუმცა ვინ იცის, იქნებ, ეს სულაც „პაროლი“ იყო - თუ გრძელმკლავიანი მაისურები გვეცმევა, ესე იგი ვიტჯორჯიელებს თამაშს „ვაძლევთო“...

ახლა კი კომისიას ქმნის პროფლიგა-ფედერაცია. ეს კომისია გარკვეულწილად დამსჯელი რაზმი უნდა იყოს, დასკვნა უნდა მიაწოდოს ალმასკომს, რომელიც ჩამწყობებისადმი დაუნდობელი იქნება. კარგი წამოწყებაა, თუნდაც იმიტომ, რომ უკეთესი ვარიანტი არ ჩანდა. საკითხავი ისღა დარჩა, როგორ დაკომპლექტდება კომისია...

დავუშვათ, საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონია. წარმოიდგინეთ, აქედან 200 ათასი მაინც რომ იყოს ისეთი, საკუთარი მაცივრის გასტრონომიული ტევადობით რომ არ აზროვნებს. ასეთ დროს დიდი პერსპექტივა გაიშლებოდა ქვეყნისა და ერის წინაშე, მაგრამ რად გინდა - ვერ მოიძებნა ამდენი არაგასტრონომიულად მოაზროვნე კაცი და ვართ ამ დღეში.

ფეხბურთიც ვერ გამოდგა გამონაკლისი ჩვენი პატივცემული ბიურგერებისგან. ოღონდაც, ახლა საქმეს ძალიან დასჭირდა პრინციპული, ნორმალურად მოაზროვნე და ფეხბურთის მყვარებელი ხალხი. ფედერაცია არცთუ პატარა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა - სწორედ ასეთი ხალხი უნდა გამოჩხრიკოს, თორემ სხვანაირად, რა აზრის აქვს კომისიის შექმნას?!

ჩემპიონი კი „ვიტ ჯორჯია“ გახდა და მიუხედავად ბოლნისური ტაკიმასხარაობისა, ამ გუნდმა მთელი სეზონის განმავლობაში ღირსეულად, სტაბილურად ითამაშა, მხოლოდ ერთი მატჩი წააგო და ისიც არ ჰქონდა წასაგები - გორში თბილისის „ლოკომოტივთან“ 1:2 რომ დამარცხდა, ნამდვილი საფეხბურთო დრამა იყო.

არანაკლები დრამა იქნება, თუ „ვიტ ჯორჯიას“ ჩემპიონობას ჩამოართმევენ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამის ალბათობა მცირეა. თუ დასჯაზე მიდგა საქმე, „ვიტ ჯორჯია“ მომდევნო სეზონს მინუსებით დაიწყებს და ვინძლო, ფულად ჯარიმასაც გადაიხდის. ეს უბრალოდ ჩვენი ვარაუდებია.

„სიონი“-„ვიტ ჯორჯია“ ამ გუნდებისთვის ცუდ დროს ჩატარდა, თორემ ამაზე არანაკლები მაიმუნობა მომხდარა წინა თუ იმის წინა სეზონებში. „სიონი“-„ვიტ ჯორჯიამ“ განსაკუთრებული ყურადღება ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე მიიქცია, შავი „პიარი“ შეექმნა ამ თამაშს და ისე მოტრიალდა სიტუაცია, თითქოს მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი სხვა გუნდები უცოდველები იყვნენ.

„ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე საქართველოში ერთადერთია, რომელმაც გრძელვადიანი პროგრამა დაუსახა საკუთარ კლუბს და ამის განხორციელებაც რიგიანად მოახერხა. მანამდე, „ვიტ ჯორჯია“ მხოლოდ ერთხელ იყო საქართველოს ჩემპიონი, არადა, სხვასავით რომ ნამუსზე ხელი აელო, კიდევ არაერთხელ ექნებოდა ჩემპიონობის რეალური შანსი.

ყოველივე ამის გათვალისწინებითაც, ძალიან გულდასაწყვეტი გამოდგა „სიონი“-„ვიტ ჯორჯიას“ მატჩი. „ვიტ ჯორჯია“, ფაქტობრივად, გაერია სხვათა მარაქაში და დაკარგა განსაკუთრებული კლუბის არაოფიციალური სტატუსი. ქართულ ფეხბურთს ამით არაფერი არ მოუგია.

ბოლნისში ვიხილეთ „ვიტ ჯორჯიას“ მცირერიცხოვანი ფანკლუბიც. ტრიბუნას ყმაწვილი ქალები ატკრციალებდნენ. ზოგადად, ფანებს რას გაუგებს კაცი, მათი ნებისმიერი მოქმედება ფეხბურთის ნაწილია, ფანების გარეშე ფეხბურთი მკვდარია, მაგრამ მაინც გამიკვირდა, რომ ყმაწვილი ქალები ასე ურცხვად იგინებოდნენ. შესაძლოა, ფანებზე წერა და ბჭობა არც კი იყოს დიდად აქტუალური, მაგრამ...

რა ვიცი, ერთ ირლანდიელ კლასიკოსს თუ დავუჯერებთ, ქალები მხოლოდ დეკორატიულ სქესს წარმოადგენენ, მათ სათქმელი არაფერი აქვთ, მაგრამ რასაც ამბობენ, ამას ძალიან მომხიბლავად აკეთებენო. მოკლედ, „სიონი“-„ვიტ ჯორჯიას“ მატჩმა ქართულ ფეხბურთში ფემინიზაციის, გენდერული თანასწორობის თემაც კი წამოჭრა. და განა მართლაც მჭექი არ გამოდგა „სიონი“-„ვიტ ჯორჯია“?

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბარაბაძეს ორჰუსში ელიან


მიხეილ ბარაბაძე

საკმაოდ რთული ტრავმისა და გაცდენილი პერიოდის შემდეგ **მიხეილ ბარაბაძემ** ფორმაც აღიდგინა და სასლიგის (დანიის უმაღლესი ლიგა) კლუბის ყურადღება კიდევ ერთხელ დაიმსახურა. დანიის მეორელიგელ „ჰიკში“ მოთამაშე ქართველმა თავდამსხმელმა ტრავმის შემდეგ 4 შეხვედრა ჩაატარა, უმთავრესად, შეცვლაზე, თუმცა 4 გოლის გატანაც მოასწრო.

დანიელ სელექციონერებს კი არ სძინავთ. მათ გაიხსენეს ბარაბაძისადმი შარშანდელი ინტერესი და აი, ბოლო ინფორმაციაც - სასლიგის ბინადარმა „ორჰუსმა“ 20 წლის ქართველი ფორვარდი გასინჯვაზე მიიწვია. ამჟამად, მიშა მტკივან ფეხს ირჩენს. „ორჰუსში“ მას ახალი სეზონის დაწყებამდე გასინჯავს. ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა - თუ სასწაული არ მოხდა, აუცილებლად ამ კლუბში ვივარჯიშებო.

შეგახსენებთ, რომ „ორჰუსში“ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატი **დავით დევდარიანი** თამაშობს. 2008 წელს ბარაბაძე ერთკვირიან სტაჟირებაზე „ესბიერგსა“ და „ვეილეში“ (ორივე უმაღლესლიგელია) იმყოფებოდა, მაგრამ ტრავმის გამო, მთელი ორი თვე გაუცდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ფინალის წინ

ლაშა ონიანი:

# ჩვენი მიზანი სწორედ საფეხბურთო ზეიმის მოწყობაა

თბილისის „დინამო“ და რუსთავის „ოლიმპი“ საქართველოს თასის მფლობელის ვინაობას 30 მაისს, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაარკვევენ. ფინალი 20 საათზე დაიწყება, ბილეთების ფასი კი 3-დან 5 ლარამდეა. თამაშისწინა ცერემონიის დადგმაზე ცნობილი რეჟისორი **ლაშა ონიანი** მუშაობს, კაცი, რომელიც 27 მაისს რომში გასამართი ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის („ბარსელონა“-„მანჩესტერი“) შოუს ხელმძღვანელიცაა.

გუშინ პროფლიგაში მედიას ლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი**, გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი**, თავად ლაშა ონიანი და „პირველი არხის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **გია ჭანტურია** შეხვდნენ. მათ ფინალისთვის მზადების თაობაზე ილაპარაკეს.

**დიმიტრი რამიშვილი**, ლიგის პრეზიდენტი: *„ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, თასის ფინალი ნამდვილ ზეიმად გვექცია და წელსაც იგივე სურვილი გვამოძრავებს. არ დავმალავ და საფინალო შოუ ყოველთვის ისეთი გემოვნებიანი წარმოგვედგინა, როგორიც იყო ლაშა ონიანის მიერ ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის დადგმული სანახაობები. ახლა ვამჯობინეთ, თავად მისთვის შეგვეთავაზებინა შოუს დადგმა. ლაშა ჩვენს წინადადებას ქართული ფეხბურთის სიყვარულით დათანხმდა, რაც ძალიან მიხარია. ქართველი გულშემატკივარი ღირსია იმის, რომ წელიწადში ერთხელ მაინც მოვუწყოთ ნამდვილი ზეიმი და საამისოდ, ყველაფერს გავაკეთებთ. თბილისის „დინამო“ და რუსთავის „ოლიმპი“ თასის ფინალში გასვლას იმსახურებდნენ და მჯერა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ რათა, წლევანდელი ფინალი გამორჩეული იყოს. რაც შეეხება საპრიზო ფონდს, ის უცვლელია - ნახევარფინალისტები 5 ათას ლარს მიიღებენ, ფინალისტები 15-15 ათასს, ხოლო თასის მფლობელი 25 ათასს“.*

ლაშა ონიანი: *„ეს იქნება ჩემპიონთა ლიგის შოუსგან აბსოლუტურად განსხვავებული წარმოდგენა. დადგმის გადმოღებას ნამდვილად არ ვაპირებდი, რადგან საქართველოს თასის ფინალი ეროვნული ღონისძიებაა, ლიგა კი საერთაშორისო მნიშვნელობის ტურნირია. ბუნებრივია, აბსოლუტურად განსხვავებული სცენები და შოუ გვჭირდება. ვფიქრობ, 30 მაისის საღამოს გაჩნდება ის მუხტი, რომელიც მაყურებელსა და თავად ფეხბურთელებს ამაღლებულ განწყობას შეუქმნის. რაც უფრო შთამბეჭდავი იქნება თავად მატჩი, მით უფრო დადებითი ემოცია წამოვა და ჩვენი მიზანი სწორედ საფეხბურთო ზეიმის მოწყობაა“.*

გია ჭანტურია: *„ცალკეული ჯგუფები ცდილობენ, ქართულ ფეხბურთში სასიკეთო ცვლილებები დანერგონ. მათ შორის, გამორჩეულ ადგილს პროფესიული ლიგა იკავებს. მათი ენთუზიაზმი და შრომა პირდაპირპროპორციული უნდა იყოს სტადიონზე მისული მაყურებლის რაოდენობისა. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივარი წელს ფინალზე მოვა და ეს ძალიანაც მსურს, მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიას მაყურებელი მოაკლდება. სავსე სტადიონი, ლამაზი თამაში და საუკეთესო შოუ იმ ერთობას ქმნის, რომლის გამოც გვიყვარს ფეხბურთი. მჯერა, სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოებულ ლამაზ ფინალს ვიხილავთ და ეს იქნება ქართული ფეხბურთისთვის ახალი ეტაპი - სანახაობრივად, ორგანიზაციულად და ყველა თვალსაზრისით. მადლობა მინდა გადავუხადო პროფლიგის ხელმძღვანელებს - რამიშვილსა და ბურჯალიანს, მადლობა იმისთვის, რომ ასეთი მონდომებითა და შემართებით საქმიანობენ“.*

პრესკონფერენციაზე დაისვა ასეთი კითხვა - როდის გადაეცემათ ეროვნულ პირველობაზე გამარჯვებულ გუნდს ოქროს მედლები? - ლიგის პრეზიდენტ რამიშვილს ჩაეცინა.

*„საინტერესო კითხვაა... მატჩის შემდეგ მოედანზე მედლებს არ გადავცემთ, ალბათ, ჩემპიონატის დასრულებისთანავე დავაჯილდოებთ“*, - გვითხრა რამიშვილმა.

რაც შეეხება სეზონის საუკეთესო მოთამაშეთა დაჯილდოების ტრადიციულ ცერემონიას, პროფლიგის გენმდივან ბურჯალიანის თქმით, ჯერჯერობით უცნობია, როდის და სად გაიმართება „დია 2009“:

*„გადაწყვეტილია, რომ მორიგი „დია“ ნამდვილად იქნება. რაც უნდა ცუდი სეზონი იყოს, საზეიმო დაჯილდოება აუცილებელია. თანაც, აქამდე გამართული ყველა გალა-კონცერტი გამორჩეულად ლამაზი სანახაობა იყო. გაჭირვების მიუხედავად, ქართულ ფეხბურთს სჭირდება მსგავსი საღამოები, ლამაზი ფინალები და ბევრი მაყურებელი. ვინ იცის, იქნებ, ადრე თუ გვიან, ამ ყველაფერთან ერთად, უკეთესი ფეხბურთის დროც დადგეს“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ალადაშვილის დებიუტი ანჟიში


ანანიძე სპარტაკის დუბლების ერთ-ერთი ლიდერია

25 წლის ქართველი მარჯვენაფლანგელის **კახაბერ ალადაშვილის** „ანჟიში“ გადასვლის საკითხი ჯერ კიდევ დეკემბერში გადაწყდა, იანვარში მან ხელშეკრულება გააფორმა დაღესტნურ გუნდთან, თუმცა რუსებმა ვიზა მას იმდენად დაუგვიანეს, რომ თავის ახალ კლუბში დებიუტი მხოლოდ დღეს შეძლო. ალადაშვილს კიდევ გაუმართლდა, მის ორ თანამემამულეს, **ოთარ მარცვალაძეს** და **სანდრო იაშვილს** ხომ ჯერ კიდევ არ აძლევენ რუსეთში ჩასვლის უფლებას. **ომარ თეთრაძის** გუნდი ნიჟნი ნოვგოროდს ესტუმრა და „ვოლგას“ დაუზავდა - 1:1. მართალია, „ანჟი“ **ნიკოლაი ჟოსანის** გოლის წყალობით იგებდა, მაგრამ მასპინძელმა **ნენად ინიაცმა** 61-ე წუთზე გაათანაბრა. მატჩის 73-ე წუთზე „ანჟიში“ ალადაშვილის დებიუტი შედგა, მან **დავიდ ცორაევი** შეცვალა. **გიორგი ნავალოვსკიმ, ედიკ საჯაიამ** და **გოჩა ხოჯავამ** 90-90 წუთი ითამაშეს. „ანჟი“ 20 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერ „ალანიას“ 5 ქულით ჩამორჩება.

ისრაელის ლეუმითლიგაში სირცხვილი ჭამა **ირაკლი გეფერიძის** „ჰაიფამ“. ბოლოსწინა ტურში ჰაიფელებმა დიდი ანგარიშით წააგეს აკოს „ჰაპოელთან“ 1:7. გეფერიძეს, ისევე როგორც მთელ გუნდს თავი არაფრით გამოუჩენიათ. ქართველი ფორვარდის გუნდი 63 ქულით მაინც პირველ ადგილზეა (თანაც ერთი ქულა დაკლებული აქვს). ბოლო ტურშიც რომ წააგოს, ჰაიფას „ჰაპოელი“ მაინც პირველ ადგილზე დარჩება.

რუსული პრემიერლიგის სარეზერვო გუნდების ჩემპიონატში კვლავ გამოიჩინა თავი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **ჯანო ანანიძემ** - მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლებმა 5:0 გაანადგურეს „ამკარის“ სარეზერვო გუნდი, ჯანოს ანგარიშზე დუბლია, მან 74-ე და მე-80 წუთებზე გაიტანა. ჯანო მოედანზე მე-60 წუთზე (1:0-ზე) გამოჩნდა და „სპარტაკის“ შეტევების ახალი ენერგია შემატა. მისი პირველი გოლი ძალიან ლამაზი გამოდგა, ჯანომ **არტურ მალოიანთან** (ასევე დუბლის ავტორი) „კედელი“ გაითამაშა, მაღალ სიჩქარეზე შევარდა საჯარიმოში და ტექნიკური დარტყმით მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი. მეორე გოლიც მალოიანის და ანანიძის კომბინაციას მოჰყვა, ამ დუეტმა უკვე 12 გოლი გაიტანა ჩემპიონატში. ანანიძის ანგარიშზე 9 თამაშში გატანილი 4 გოლი და ამდენივე საგოლე პასია. ყაზანის „რუბინის“ დუბლებმა 2:0 მოუგეს მოსკოვის „ლოკომოტივის“ მეორე შემადგენლობას. **ნუკრი რევიშვილმა** მასპინძელთა კარი „მშრალად“ შეინახა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მეტოქეები

# სტოილოვის 17 და ტრაპატონის 25

## ირლანდია ბულგარეთამდე ნიგერიას დაეჭიდება

6 ივნისს ჩვენი მეტოქეები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს გამართავენ - ბულგარეთი ირლანდიას უმასპინძლებს, კვიპროსი კი ჩერნოგორიას. ბულგარელთა თავკაცმა **სტანიმირ სტოილოვმა** ირლანდიელებთან მატჩისთვის ჯერ მხოლოდ ლეგიონერთა სია ჩამოწერა. აქ ერთბაშად 17 ფეხბურთელია:

**დიმიტარ ივანკოვი** (ბურსა, თურქეთი), **ნიკოლაი მიხაილოვი** (ტვენტე, ჰოლანდია), **ილიან სტოიანოვი** (ჰიროშიმა, იაპონია), **იგორ ტომაშიჩი** (მაქაბი თელ-ავივი, ისრაელი), **ელინ ტოპუზაკოვი, დიმიტარ ტელკინსკი** (ორივე ჰაპოელი თელ-ავივი, ისრაელი), **ზახარ სირაკოვი** (ამკარი, რუსეთი), **სტანისლავ ანგელოვი, დიმიტარ რანგელოვი** (ორივე კოტბუსი, გერმანია), **სტილიან პეტროვი** (ასტონ ვილა, ინგლისი), **ბლაგოი გეორგიევი** (ტერეკი, რუსეთი), **ველიზარ დიმიტროვი** (მეტალურგი დონეცკი, უკრაინა), **მარტინ პეტროვი, ვალერი ბოჟინოვი** (ორივე მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **ვალერი დომოვჩისკი** (ჰერტა, გერმანია), **დიმიტარ მაკრიევი** (აშდოდი, ისრაელი), **დიმიტარ ბერბატოვი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი).

რაც შეეხება ირლანდიას, **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდი ბულგარეთამდე, 29 მაისს, ნიგერიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ თამაშისთვის ტრაპატონიმ 25 ფეხბურთელი გამოიძახა, საიდანაც ბულგარეთისთვის 22-ს მოიტოვებს.

მეკარეები - **შეი გივენი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **დენ კელი** (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), **კირენ ვესტვუდი** (ქოვენთრი, ინგლისი);

მცველები - **ედი ნოლანი, სენ ლეჯერი** (ორივე პრესტონი, ინგლისი), **ჯონ ოში** (მანჩესტერ იუნ, ინგლისი), **კევინ ფოლი** (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), **პოლ მაკშეინი** (სანდერლენდი, ინგლისი), **რიჩარდ დანი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **სტივენ კელი** (ბირმინგემი), **კევინ კილბეინი** (ჰალ სიტი, ინგლისი);

ნახევარმცველები - **აიდენ მაკგიდი** (სელტიკი, შოტლანდია), **დემიენ დაფი** (ნიუკასლი, ინგლისი), **დარენ გიბსონი** (მანჩესტერ იუნ, ინგლისი), **გლენ უილანი** (სტოკ სიტი, ინგლისი), **კიტ ენდრიუსი** (ბლექბერნი, ინგლისი), **ლაიამ მილერი** (ქუინზ პარკი, ინგლისი), **სტივენ ჰანტი** (რედინგი, ინგლისი), **ენდი კოუთი** (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), **ლაიამ ლოურენსი** (სტოკ სიტი, ინგლისი);

თავდამსხმელები - **კალენ ფოლანი** (ჰალ სიტი, ინგლისი), **კევინ დოილი, შონ ლონგი** (ორივე რედინგი, ინგლისი), **რობი კინი** (ტოტენჰემი, ინგლისი), **ლეონ ბესტი** (ქოვენთრი, ინგლისი).

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლიგა BBVA XXXVI ტურის წინ

# ბრძოლა ჩემპიონთა ლიგისა და გადარჩენისთვის

| დღეს | |
|---|---|
| ბილბაო-ატლეტიკო | 23:00 |
| ბარსელონა-ოსასუნა | 23:00 |
| სევილია-დეპორტივო | 23:00 |
| ვალიადოლიდი-სპორტინგი | 23:00 |
| ალმერია-ესპანიოლი | 23:00 |
| ხეტაფე-ნუმანსია | 23:00 |
| ვილიარეალი-ვალენსია | 23:00 |
| მალაგა-ბეტისი | 23:00 |
| რეკრეატივო-რასინგი | 23:00 |
| **ხვალ** | |
| რეალი-მალიორკა | 23:00 |

გასულ ტურში „ბარსელონამ“ საჩემპიონო ტიტული მოიპოვა და ამით ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ დასვენების შესაძლებლობა გაუჩნდა. მოსალოდნელია, რომ **პეპ გვარდიოლას** გუნდის ძირითადი შემადგენლობის ბიჭები სათადარიგოთა სკამზე ან ტრიბუნებზე გადაინაცვლებენ და ადგილს სწორედ სათადარიგო შემადგენლობის მოთამაშეებს დაუთმობენ. მიმომხილველების ვარაუდით, დასვენება მხოლოდ **სამუელ ეტოოს** არ მოუწევს. კამერუნელი ფორვარდი მოედანზე გასვლას თვითონ ითხოვს, რადგან ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვება სურს. მოგეხსენებათ, **დიეგო ფორლანი** მას ფეხდაფეხ მისდევს. ამიტომ, თითოეულ გოლს ახლა ოქროს ფასი აქვს. ეტოომ „მალიორკასთან“ არაფრის მომცემ შეხვედრაშიც ამიტომ ისპარეზა. ბალეარის კუნძულებზე მან ერთი ბურთი შეაგდო, თუმცა დუბლი იმიტომ ვერ შეასრულა, რომ პენალტი ვერ გაიტანა. მოკლედ, კატალონიელებისთვის ამ ტურის შეხვედრას ერთადერთი ინტრიგა აქვს, სამუელ ეტოოს პირადი წარმატება. სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა „ოსასუნაში“. პამპლონური კლუბის ფეხბურთელებს ბომბარდირობისთვის ბრძოლის ფუფუნება ნამდვილად არ გააჩნიათ. მათი ერთადერთი საზრუნავი პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა. იმის გათვალისწინებით, რომ კატალონიელები სათადარიგო შემადგენლობით ითამაშებენ და არანაირი მოტივაცია არ ექნებათ, გამორიცხული არ არის, **ხოსე ანტონიო კამაჩო** და მისი შეგირდები შინ სასიცოცხლო მნიშვნელობის სამი ქულით დაბრუნდნენ. სტუმრები „კამპ ნოუზე“ საუკეთესო შემადგენლობით იბრძოლებენ.

კიდევ ერთი გუნდი, რომლისთვისაც გამარჯვებას ოქროს ფასი აქვს, „ატლეტიკოა“. მოგეხსენებათ, დედაქალაქელები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან. ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე **აბელ რესინოს** ბიჭებმა წინა ტურში დიდი ნაბიჯი გადადგეს. საქმე ის არის, რომ „როხიბლანკომ“ უშუალო კონკურენტი, „ვალენსია“ დაამარცხა. თუმცა, თუ ისინი ახლა „ბილბაოსაც“ არ დაამარცხებენ, შესაძლოა, „ლამურები“ წამოეწიონ და მთელი წლის შრომა წყალში ჩაეყაროთ. „ატლეტიკოს“ მოთამაშეები „სან მამესის“ მატჩს ისე ეკიდებიან, როგორც ჩემპიონთა ლიგის ფინალს. მათთვის ერთადერთი მისაღები შედეგი გამარჯვებაა. სიმართლე ითქვას, აბელ რესინოს შეგირდები გადაღლილი არიან, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მადრიდული კლუბი ვალდებულია ყველა დაბრკოლება გადალახოს და სასურველ შედეგს მიაღწიოს. ტრავმების თვალსაზრისით დედაქალაქელთა დამრიგებელს ახალი პრობლემები არ აქვს. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება, „როხიბლანკო“ ბილბაოში უძლიერესი შემადგენლობით იბრძოლებს. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ბასკებს ეს შეხვედრა არაფერ სიკეთეს არ მოუტანს. ისინი ვერც ევროთასების ზონას შეწვდებიან და არც პრიმერადან გავარდნა ემუქრებათ. ასე რომ, „ატლეტიკოსთან“ დაპირისპირებას „ბილბაოსთვის“ არანაირი პრაგმატული ღირებულება არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, **ხოაკინ კაპაროსი** გვარწმუნებს, რომ მისი ბიჭები პირველიდან ბოლო წუთამდე იბრძოლებენ.

როგორც გითხარით, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში „ატლეტიკოს“ უშუალო კონკურენტი „ვალენსიაა“, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ორ ტურში მიღწეული წარმატების შემდეგ შანსი „ვილიარეალსაც“ დაუბრუნდა. მადრიდელებისთვის ძალიან კარგია, რომ მათი ორი უახლოესი მდევარი ბოლოსწინა ტურში გამარჯვებულს ურთიერთშეხვედრაში გაარკვევს. ეს იმას ნიშნავს, რომ უკანასკნელ ტურში რესინოს გუნდს ერთით ნაკლები კონკურენტი ეყოლება. ყოველ შემთხვევაში, იმ გუნდის შანსი, რომელიც დღეს ქულებს დაკარგავს მნიშვნელოვნად შემცირდება. გუშინ საღამოს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ხოაკინმა** ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ექიმების დახმარება დასჭირდა. მისი ბედი ბოლო წუთს გაირკვევა. **უნაი ემერიმ** თადარიგი მაინც დაიჭირა და ხოაკინ სანჩესი სამატჩო განაცხადში შეიყვანა. სხვა მხრივ, „ლამურებს“ პრობლემები არ გააჩნიათ. **დავიდ ვილია** გვარწმუნებს, რომ გუნდში ოპტიმისტური ატმოსფეროა. ესპანელ სუპერფორვარდს სჯერა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მის გუნდს დარჩება.

უკვე დიდი ხანია, რაც პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობს. ბუნებრივი მიზეზების გამო, სეზონის მიწურულს დაძაბულობამ პიკს მიაღწია. 37-ე ტურში, შესაძლოა, მოვლენები ისეთი სცენარით განვითარდეს, რომ „ნუმანსიამ“ და „რეკრეატივომ“ უძლიერესთა შორის ადგილი დაკარგონ. დაზღვეული სხვებიც არ არიან, მაგრამ ამ გუნდებს ძალიან დიდი განსაცდელი ელით. საქმე ის არის, რომ „ნუმანსია“ ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს, „ხეტაფეს“ გასვლაზე ეთამაშება. **მიჩელი** და მისი ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ, რათა გადარჩენის შანსი ხელიდან არ გაუშვან და საშინაო დაპირისპირების მოგებით თვითონაც ამოისუნთქონ და გულშემატკივრებიც გაახარონ. „რეკრეატივოსაც“ მძიმე გამოცდა ელის. „რასინგი“ უელვაში მოსაგებად ჩავიდა. ანდალუსიელებს მათი მოტივაცია და შემართება, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევს, მაგრამ თუ პრიმერაში დარჩენა სურთ, ვალდებული არიან, ყველაფერს გაუძლონ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 37-ე ტურის შედეგებზე ბევრი გუნდის ბედია დამოკიდებული. ამიტომაც ვამბობთ, რომ ამ უქმეებზე ესპანური კლუბები გადარჩენისა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 36 | 27 | 5 | 4 | 104-33 | 86 |
| 2. რეალი | 36 | 25 | 3 | 8 | 81-47 | 78 |
| 3. სევილია | 36 | 19 | 7 | 10 | 51-39 | 64 |
| 4. ატლეტიკო | 36 | 18 | 7 | 11 | 73-56 | 61 |
| 5. ვალენსია | 36 | 17 | 8 | 11 | 65-51 | 59 |
| 6. ვილიარეალი | 36 | 16 | 11 | 9 | 55-51 | 59 |
| 7. დეპორტივო | 36 | 16 | 9 | 11 | 47-45 | 57 |
| 8. მალაგა | 36 | 15 | 9 | 12 | 54-55 | 54 |
| 9. მალიორკა | 36 | 13 | 9 | 14 | 48-56 | 48 |
| 10. ალმერია | 36 | 13 | 7 | 16 | 45-55 | 46 |
| 11. ბილბაო | 36 | 12 | 8 | 16 | 46-56 | 44 |
| 12. რასინგი | 36 | 11 | 9 | 16 | 47-47 | 42 |
| 13. ვალიადოლიდი | 36 | 12 | 6 | 18 | 44-55 | 42 |
| 14. ესპანიოლი | 36 | 10 | 11 | 15 | 40-49 | 41 |
| 15. ბეტისი | 36 | 10 | 10 | 16 | 49-56 | 40 |
| 16. ხეტაფე | 36 | 9 | 11 | 16 | 48-55 | 38 |
| 17. სპორტინგი | 36 | 12 | 1 | 23 | 43-77 | 37 |
| 18. ოსასუნა | 36 | 8 | 13 | 15 | 38-46 | 37 |
| 19. ნუმანსია | 36 | 10 | 5 | 21 | 38-66 | 35 |
| 20. რეკრეატივო | 36 | 8 | 9 | 19 | 33-54 | 33 |

ბარსელონა

# გვარდიოლამ პრესტიჟულ პრემიაზე უარი თქვა

**გუშინ პეპ გვარდიოლა** ასტურიის პრინცის პრემიის ერთ-ერთ ნომინანტად დაასახელეს. მეტი სიცხადისთვის გეტყვით, რომ ეს პრემია ნობელის პრემიის მსგავსია. განსხვავება ის არის, რომ ასტურიის პრინცის პრემიას ბევრად უფრო ნაკლები მასშტაბი აქვს. მოგეხსენებათ ნობელანტი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე შეიძლება გახდეს. ასტურიის პრინცის პრემია კი მხოლოდ ესპანელებს ეკუთვნით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ალსანიშნავია, რომ ამ ქვეყანაში ამაზე დიდი ჯილდო და აღიარება არ არსებობს. პრემიას სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ყველაზე წარმატებული ადამიანები იღებენ. მათ შორის სპორტსმენებიც. მაგალითისთვის გეტყვით, რომ პრემიის შარშანდელი მფლობელი **რაფაელ ნადალია**. როგორც მოგახსენეთ, წელს ამ ნომინაციაზე პეპ გვარდიოლა წარადგინეს. ეს გადაწყვეტილება ბევრისთვის ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა. მათ შორის, თავად კატალონიელი მწვრთნელისთვისაც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს პრემია უაღრესად პრესტიჟულია და მისი მფლობელი სოლიდურ ფულად ჯილდოსთან ერთად პოპულარობასაც იხვეჭს. ამ დიდი ცდუნების მიუხედავად, გვარდიოლა ორგანიზატორებს დაუკავშირდა და სთხოვა, ნომინაციიდან მისი კანდიდატურა მოეხსნათ. პეპმა საამისო მიზეზი საგანგებო პრესკონფერენციაზე განმარტა:

*„დაფასებისთვის ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ. ღონისძიების სულისჩამდგმელებმა ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს მაძიებლად დამასახელეს. ეს ჩემთვის განუზომლად დიდი პატივია. მადლობის მეტი მართლა არაფერი მეთქმის, მაგრამ მიმაჩნია, რომ მე ასეთი აღიარების ღირსი არ ვარ. ვიცი, საზოგადოების ნაწილი პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასზე მოპოვებულ ორ დიდ გამარჯვებას მიფასებს. ამით უზომოდ ბედნიერი ვარ, თუმცა დიდ სამწვრთნელო ასპარეზზე მე მხოლოდ და მხოლოდ ამ სეზონის დასაწყისში შემოვაბიჯე. ამიტომ, მოვლენების დაჩქარებას გაუმართლებლად მივიჩნევ. ღმერთის წყალობით, პირველივე წელს ესპანურ სარბიელზე მაქსიმალურ შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, გულწრფელად მჯერა, რომ ამ ნომინაციაზე წარდგენას სხვა ადამიანები უფრო იმსახურებენ. ისინი, ვისაც ხანგრძლივი მოღვაწეობის სტაჟი აქვთ. ძალიან გთხოვთ, კარგად გამიგეთ. მადლობას მთელი გულით ვიხდი, მაგრამ ამის ღირსი მართლა არ ვარ. ესპანურ სპორტში უამრავი გენიალური ადამიანია დასაქმებული. ვფიქრობ, უფრო სამართლიანი იქნება, თუ აქცენტი მათზე გაკეთდება. ძალიან ვნერვიულობ, ჩემი გადაწყვეტილება საზოგადოების რომელიმე ნაწილმა არასწორად არ გაიგოს. მე კოლექტიური საქმის ერთი ჭანჭიკი ვარ. გარწმუნებთ, გენიალური ფეხბურთელების გარეშე ვერაფერს გავხდებოდი. როცა 60 წელი შემისრულდება და თავს მრავალი ტიტულით მოვიწონებ, ასტურიის პრინცის პრემიას უდიდესი სიამოვნებით მივიღებ“.*

გვარდიოლას შიში, რომელიც მისი გადაწყვეტილების არასწორად გაგებას ეხებოდა არ გამართლდა. პეპი ჟურნალისტებმა ქებით ცაში აიყვანეს. საზოგადოება ახალგაზრდა სპეციალისტის მართლაც შესაშური თავმდაბლობით აღფრთოვანებული დარჩა. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ხუმრობით დაწერა, დროა, ასტურიის პრინცის პრემია ყველაზე თავმდაბალი ადამიანის ნომინაციაშიც გავათამაშოთ და ეს ჯილდო პირდაპირ პეპ გვარდიოლას გადავცეთო.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

რეალი



# რონალდო? არანაირი წინასწარი კონტრაქტი!

## კალდერონს სამწლიანი პატიმრობა ემუქრება

გასული დღეების განმავლობაში ინტენსიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ **კრისტიანო რონალდომ** მადრიდის „რეალთან“ წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. პრაქტიკულად არ დარჩენილა არც ერთი ევროპული გამოცემა, რომელმაც ეს ინფორმაცია არ გააშუქა. გუშინ კი გაირკვა, რომ არანაირი ხელშეკრულება არ გაფორმებულა და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჭორია. სამეფო კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **ვისენტე ბოლუდამ** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას ასეთი რამ განუცხადა:

*„ჩემთვის, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისთვის, ანუ ამ დროისთვის გუნდის უმაღლესი ხელისუფლისთვის აღნიშნული ინფორმაცია სრულიად გაუგებარია. მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ კრისტიანო რონალდოსთან ჩვენ წინასწარი კონტრაქტი არ გაგვიფორმებია. უფრო მეტიც, პორტუგალიელ ვარსკვლავთან სიტყვიერადაც არ გავრიგებულვართ. მოგეხსენებათ, ჩვენ ეგრეთ წოდებულ, დროებით, გარდამავალ ხელისუფლებას წარმოვადგენთ და ასეთ ხმაურიან ტრანსფერებზე არ ვმუშაობთ. დღევანდელი დირექტორატის უპირველესი ამოცანა, რიგგარეშე არჩევნების მაღალ დონეზე ორგანიზების უზრუნველყოფაა. ახლა მთელი ჩვენი ძალისხმევა სწორედ აქეთკენაა მიმართული. მოკლედ, საზოგადოება მორიგი ჭორისა და დეზინფორმაციის მსხვერპლი გახდა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ჩემს კოლეგებს და მე არაფერი დაგვიშავებია“.*

საზოგადოების დიდი ნაწილი სულაც არ ფიქრობდა, რომ რონალდოს მაინც და მაინც ბოლუდა გაურიგდა. წინასწარი კონტრაქტის ავტორად გულშემატკივრების აბსოლუტური უმრავლესობა ფლორენტინო პერესს მიიჩნევდა, თუმცა გუშინვე გაირკვა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავთან ხელშეკრულება არ გაუფორმებია. ფლორენტინოს გუნდის სახელით განცხადება **ხორხე ვალდანომ** გააკეთა:

*„რონალდოსთან ჩვენ ჯერ არ შევთანხმებულვართ. ეს იმას ნიშნავს, რომ პორტუგალიელთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მაგრამ წინასწარ კონტრაქტზე საუბარი ნაადრევია. მით უმეტეს, ამ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა, როცა რონალდოს მენეჯერებთან მოლაპარაკება დაწყებული არ გვქონდა. როგორც კი რაიმე სიახლე იქნება, იმავე დღეს საგანგებო პრესკონფერენციას გავმართავთ და ყველაფერს დაწვრილებით გაგაცნობთ“.*

ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ „რეალის“ ყოფილი პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** მადრიდის სასამართლომ ჩვენების მისაცემად დაიბარა. მოგეხსენებათ, მას პროკურატურამ ეჭვმიტანილის სტატუსი მიანიჭა. გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც ესპანურმა მედიამ ასამბლეასთან დაკავშირებით მომხდარი მაქინაციების შესახებ შეიტყო და ხმაურიანი სტატიები გამოაქვეყნა. მაშინდელი პრეზიდენტი ქუჩიდან მიყვანილი ხალხისთვის ასამბლეის დელეგატის ყალბი მოწმობების დამზადებასა და პირადი მიზნებისთვის მათ გამოყენებაში ამხილეს. კალდერონს რამდენიმე საკითხის გატანა უნდოდა, მაგრამ ასამბლეაზე მხარდამჭერები არ ჰყოფნიდა. ამიტომ, მან ოცამდე უცხო პირს ყალბი მოწმობა გადასცა და კენჭისყრაში სრულიად უკანონოდ მიაღებინა მონაწილეობა. სასამართლომ საქმის მასალები გულისყურით განიხილა და მიიჩნია, რომ ძიება უნდა გაგრძელდეს. შესაბამისად, მოსამართლემ მას ეჭვმიტანილის სტატუსი არ მოუხსნა, თუმცა სენიორ კალდერონს წინასწარი პატიმრობა არ შეუფარდეს. ექსპერტების ვარაუდით, სამეფო კლუბის უმაღლეს ხელისუფალს 3 წლამდე პატიმრობას მიუსჯიან, მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ სასჯელი პირობითი იქნება და მას ციხეში ჩაჯდომა არ მოუწევს.





პაოლო მალდინი სან სიროს ეთხოვება

იტალია. სერია A XXXVII ტურის წინ

# დარჩენილი ინტრიგები

| 20 მაისი | |
|---|---|
| ლაციო-რეჯინა | 1:0 |
| **დღეს** | |
| ატალანტა-პალერმო | 17:00 |
| კალიარი-ინტერი | 17:00 |
| კატანია-ნაპოლი | 17:00 |
| კიევო-ბოლონია | 17:00 |
| ლეჩე-ფიორენტინა | 17:00 |
| მილანი-რომა | 17:00 |
| სამპდორია-უდინეზე | 17:00 |
| სიენა-იუვენტუსი | 17:00 |
| ტორინო-ჯენოა | 17:00 |

სერია A-ს გასულმა ტურმა ჩემპიონის ვინაობა გამოავლინა. მთავარი კითხვა მოხსნილია - „ინტერი" იტალიის საუკეთესო გუნდია. მიუხედავად ამისა, ბოლო ორი ტურის მიმართ ინტერესი არ განელებულა. ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასარკვევი და ჩვენც იმ შეხვედრებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებსაც სატურნირო ცხრილის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს.

პირველ რიგში, „იუვენტუსზე" შევჩერდეთ, გუნდზე, რომელიც მეორე ადგილისთვის იბრძვის, თუმცა შესაძლოა, მესამესაც გამოეთხოვოს. აღსანიშნავია, რომ „ვეკია სინიორას" მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი ექნება **ჩირო ფერარას**. მართალია, ის დროებით არის დანიშნული, მაგრამ ვინ იცის, თუ გუნდმა დარჩენილ ორ ტურში წარმატებას მიაღწია, შესაძლოა ტურინული გრანდის მესვეურები მის დატოვებაზე დაფიქრდნენ კიდეც. „იუვე" ამჟამად მესამე ადგილზეა, რაც გუნდს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის საშუალებას საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე აძლევს. ტურინელებს მიზანში მეორე ადგილი აქვთ აღებული და „მილანის" გადასწრებას პრინციპულად მიიჩნევენ. მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ „იუვე" მესამე პოზიციასაც გამოეთხოვოს. „ფიორენტინა", რომელიც მეოთხე ადგილზეა გამაგრებული, ერთადერთი ქულით ჩამორჩება „ვეკია სენიორას". თუ „იუვე" მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა, მაშინ ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს ასპარეზობა.

ჩირო ფერარა დარჩენილ ტურებში რევოლუციურ ცვლილებებს ნამდვილად ვერ მიმართავს. თუ „გაძეტა დელო სპორტს" ვენდობით, „იუვე" „სიენასთანაც" იმავე ტაქტიკით ითამაშებს, რომლითაც რანიერის დროს თამაშობდა. არ შეიცვლება ძირითადი შემადგენლობის ბირთვიც. თავდასხმაში **იაკვინტა-ამაურის** დუეტს ვიხილავთ. მათ უკან ოთხი ნახევარმცველი განლაგდება. სავარაუდოდ: **მარკიონი, ძანეტი, ტიაგო** და **ნედვედი**. „იუვე" შეხვედრას დიდი დანაკლისით ხვდება. ტოსკანაში შემდეგი ფეხბურთელები ვერ გაემგზავრებიან: **სისოკო, სალიჰამიჯიჩი, კნეჟევიჩი, მოლინარო, გრიგერა, დელ პიერო**. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, ფერარა მოახლოებულ პაექრობას ოპტიმიზმით უყურებს:

*„რომ გითხრათ, ამ მცირე დროში ძირეულ ცვლილებებს განვახორციელებთ-თქო, მოგატყუებთ. ჩემი მიზანია, გუნდი საბრძოლო განწყობაზე მოვიყვანო და ფეხბურთელებს მეტი მოტივაცია მივცე. ვფიქრობ, ეს კარგად გამომდის და შედეგიც უნდა მივიღოთ. ყველაზე მეტი პრობლემა დაცვის ხაზშია და პირველ რიგში, სწორედ ამას უნდა მივხედოთ. თუ გუნდი თავს კარგად დაიცავს, გამარჯვების მეტი შანსი გვექნება. „იუვეში" მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია და ვეცდები, გულშემატკივრებს თავი კარგად დავამახსოვრო. არ მაქვს ამბიცია, რომ გუნდს მომავალ სეზონშიც გავუძღვე. ეს კლუბის მესვეურთა გადასაწყვეტია და თუ ჩათვლიან, რომ ჩემი დარჩენა მიზანშეწონილი იქნება, აუცილებლად დავფიქრდები".*

როგორც ხედავთ, ფერარას გულის სიღრმეში დარჩენა სურს და ვნახოთ, რა გამოუვა ამ საქმისგან. „სიენა" კი გამალებით ემზადება შეხვედრისთვის - **მაკარონე** და კომპანია გამარჯვებით იმუქრება.

„ფიორენტინას" კი მადა ჭამაში მოუვიდა და ახლა უკვე მესამე ადგილს უმიზნებს. ფლორენციელები ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს, „ლეჩეს" სტუმრობენ და ბუნებრივია, მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. საერთოდაც, ეს შეხვედრა დიდ ინტრიგას ატარებს. „ვიოლას" თავისი გეგმები აქვს, მაგრამ უმიზნოდ არც „ლეჩე" გახლავთ. გუნდი სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა და თუ კვირის შეხვედრაც ვერ მოიგო, გამოეთხოვება კიდეც ელიტარულ დივიზიონს. თავადაც ხვდებით, რომ ლეჩეში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდება.

**ჩეზარე პრანდელი** გასვლით პაექრობებზე მუდმივად ფრთხილობს და ასე იქნება ამჯერადაც. ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი **ჯილარდინო** იქნება, ვინაც კარგად მორიგო ეული ფორვარდის როლი და ბოლო ხანს აღარც **მუტუს** არყოფნა აღელვებს. მის უკან ჩერნოგორიელი **იოვეტიჩი** იმოქმედებს, ვინაც ასევე კარგად გაითავისა გამთამაშებლის ფუნქციები. მწყობრში არიან და ითამაშებენ გუნდის შუა ხაზის წამყვანი ფეხბურთელები: **მონტოლივო, ფელიპე მელო** და **სემიოლი**. სავარაუდოდ, ძირითადში იქნება **ვარგასიც**, რომელიც ბოლო ხანს შესანიშნავად ათამაშდა. „ლეჩე" გამტანი გუნდია, მაგრამ დაცვის ხაზი არ უვარგა ნამეტნავად და სწორედ ამაშია მისი მთავარი პრობლემა. ვნახოთ, ყველა შემთხვევაში წინ საინტერესო ჯახი გველის.

გუნდების სახელებით თუ ვიმსჯელებთ, ტურის ცენტრალური პაექრობა „სან სიროზე" გაიმართება. „მილანი" „რომას" მიიღებს და ბუნებრივია, ამ შეხვედრაზე აუცილებლად უნდა შევჩერდეთ. თანაც, ორივე გუნდს ჯერჯერობით თავისი ამოცანები აქვს გადასაჭრელი და უმოტივაციოდ არც ერთი არ გახლავთ. „როსონერის" მეორე ადგილი აქვს შესანარჩუნებელი, „რომას" კი მეექვსე. თანაც, ეს მეექვსე უბრალო ადგილი არ გეგონოთ, ევროპის ლიგის საგზურს იძლევა.

**კარლო ანჩელოტი** ტრადიციას არც ამჯერად ულალატებს და გუნდს ერთი ფორვარდით ათამაშებს. **ინძაგი** „უდინეზესთან" პაექრობაში სათადარიგოთა სკამზე გახლდათ გამწესებული, რამაც „მილანს" კარგი არაფერი მოუტანა. პიპო „ჯალოროსის" პირველივე წუთებიდან შეერკინება და **პატოს** კვლავ რეზერვში უკრავს თავს. ინძაგის **კაკა** და **ზეედორფი**, კიდევ უკან კი **ამბროზინი, პირლო** და **ბექჰემი** გაუმაგრებენ ზურგს. კარიერაში ბოლო საშინაო შეხვედრას ატარებს **მალდინი** და ბუნებრივია, ეს ფაქტი ცალკე აღნიშვნის ღირსია. ბუნებრივია, მალდინი „მილანის" ტიფოზერიის ყურადღების ობიექტი მთელი 90 წუთის განმავლობაში იქნება. პაოლოს შესახებ თბილი სიტყვები არც მისმა ხვალინდელმა მეტოქე **მექსემ** დაიშურა:

*„მალდინი უდიდესი ფეხბურთელია, რომლის მსგავსიც ას წელიწადში ერთხელ იბადება. ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მისი თამაშით და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ის ჩემი კუმირია. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ ვერ მიიღო ამ მართლაც გენიალურმა მცველმა ოქროს ბურთი. ჩემი ნება რომ იყოს, პაოლოს ათ ოქროს ბურთს მივცემდი".*

„რომა" კი მართლაც რთულ მდგომარეობაშია. თუ გუნდმა მეექვსე ადგილიც დათმო, მაშინ ევროტურნირებს მიღმა დარჩება. არადა, „მილანთან" გასვლით პაექრობაში ქულების დაკარგვის საფრთხე ძალიან დიდია. „ჯალოროსის" „პალერმო" აზის კუდზე და მის წაფორხილებას მოუთმენლად ელოდება. „გაძეტას" ვარაუდით, სპალეტი მის კვალობაზე შემტევ ტაქტიკას აირჩევს და მრისხანე მეტოქეს ორი თავდამსხმელით დაუპირისპირდება. **ბაპტიშტასა** და **ვუჩინიჩს** ოდნავ უკანდახეული **ტოტი** დაეხმარება, რაც საკმაოდ მძლავრ შემტევ ტრიუმვირატს გვაძლევს. მეორე საკითხია, რამდენად კარგად გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

დიდი ამბებია გასავარდნ ზონაში. „რეჯინამ" თავისი პაექრობა ოთხშაბათს გამართა და „ლაციოსთან" საბედისწერო მარცხი იწვნია. რეჯინოელები ფაქტობრივად სერია B-ში არიან და მათ უკვე სასწაული თუ იხსნით. უმნიშვნელოვანესი მატჩები აქვთ „ტორინოს" და „ბოლონიას'. ეს გუნდები ბეწვის ხიდზე გადიან და მათთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. „გრანატა" „ჯენოას" მასპინძლობს, გუნდს, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის თეორიული შანსი. თავადაც ხვდებით, რომ ტურინშიც დიდი ბრძოლა გაჩაღდება. ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობით ხვდება პაექრობას და ალბათ, ის გუნდი იძალებს, რომელსაც მეტი მოტივაცია აღმოაჩნდება. „ბოლონია" კი ვერონაში ჩადის, სადაც ადგილობრივ „კიევოს" შეეტოქება. „მფრინავ ვირებს" თავი ქუდში აქვთ და ალბათ, არ შეაკვდებიან მეტოქეს. შესაბამისად, ბოლონიელთა შანსები უფრო ძვირად ფასობს. რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაშია **დი ვაიო**. მართლაც საოცარია, რომ ფეხბურთელი, რომელიც სერია A-ში დარჩენისთვის მებრძოლ გუნდში ასპარეზობს, ბომბარდირებს შორის ერთპიროვნული ლიდერია.

ბოლოს, ორიოდე სიტყვით ჩემპიონზეც ვთქვათ. „ინტერი" სარდინიაში ჩადის, სადაც „კალიარის" შეერკინება. საგულისხმოა, რომ **ჟოზე მოურინიოს** კუნძულზე საუკეთესო შემადგენლობა მიჰყავს. როგორც პორტუგალიელმა განაცხადა, ამით მეტოქისა და სარდინიელი გულშემატკივრის მიმართ პატივისცემას გამოხატავს. სასტარტო შემადგენლობაში იქნება **იბრაჰიმოვიჩი**, ვისაც 22 გოლი აქვს გატანილი და მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება მარკო დი ვაიოს. ბუნებრივია, გოლების გატანაში მას თანაგუნდელები განსაკუთრებულად დაეხმარებიან.

**ლაშა ნიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 36 | 24 | 9 | 3 | 65-27 | 81 |
| 2. მილანი | 36 | 21 | 8 | 7 | 66-32 | 71 |
| 3. იუვენტუსი | 36 | 19 | 11 | 6 | 64-37 | 68 |
| 4. ფიორენტინა | 36 | 21 | 4 | 11 | 52-35 | 67 |
| 5. ჯენოა | 36 | 17 | 11 | 8 | 49-36 | 62 |
| 6. რომა | 36 | 16 | 9 | 11 | 58-57 | 57 |
| 7. პალერმო | 36 | 17 | 4 | 15 | 53-46 | 55 |
| 8. უდინეზე | 36 | 15 | 9 | 12 | 53-46 | 54 |
| 9. კალიარი | 36 | 14 | 8 | 14 | 45-43 | 50 |
| 10. ლაციო | 37 | 15 | 5 | 17 | 46-53 | 50 |
| 11. ატალანტა | 36 | 13 | 7 | 16 | 40-42 | 46 |
| 12. სამპდორია | 36 | 11 | 11 | 14 | 45-48 | 44 |
| 13. ნაპოლი | 36 | 11 | 10 | 15 | 39-42 | 43 |
| 14. სიენა | 36 | 12 | 7 | 17 | 32-40 | 43 |
| 15. კატანია | 36 | 11 | 7 | 17 | 37-47 | 40 |
| 16. კიევო | 36 | 8 | 13 | 15 | 35-46 | 37 |
| 17. ტორინო | 36 | 8 | 10 | 18 | 33-55 | 34 |
| 18. ბოლონია | 36 | 8 | 9 | 19 | 40-61 | 33 |
| 19. რეჯინა | 37 | 6 | 12 | 18 | 29-61 | 30 |
| 20. ლეჩე | 36 | 5 | 14 | 17 | 35-62 | 29 |

შალკე

# ბორდონი რჩება, კრსტაიჩი მიდის

## ფელიქს მაგათის პირველი გადაწყვეტილებები

**ფელიქს მაგათი** „ვოლფსბურგთან" ერთად გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვის და ამავდროულად, „შალკეს" მომავალს გეგმავს. გელზენკირხენული კლუბის ბოსებთან შეთანხმების შემდეგ „დესპოტმა ფელიქსმა" „შალკეს" მომავლის დაგეგმვა დაიწყო და პირველი ვერდიქტები გამოიტანა. მისი გადაწყვეტილებით, **მარსელო ბორდონი** „შალკეში" უნდა დარჩეს, მეორე ცენტრალურმა მცველმა **მლადენ კრსტაიჩმა** კი გუნდი უნდა დატოვოს. მართალია, 33 წლის ბრაზილიელმა ბორდონმა „შალკეს" კაპიტნობაზე უარი თქვა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ გელზენკირხენიდან წავიდოდა, მაგრამ მას მერე, რაც გაირკვა, რომ გუნდს მომავალი სეზონიდან მაგათი გაწვრთნის, ბორდონმა წასვლა გადაიფიქრა.

*„მომავალი სეზონიდან „შალკეს" მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ეყოლება და მეც წასვლაზე აღარ ვფიქრობ, გელზენკირხენში დარჩენა მინდა"*, - განაცხადა ბორდონმა და მაგათმაც სურვილი შეუსრულა. აი, 35 წლის კრსტაიჩმა კი ახალი კლუბი უნდა ეძებოს. მართალია, ფელიქსი კრსტაიჩს დიდ პატივს სცემს, მაგრამ ახალგაზრდა მცველის ყიდვა ურჩევნია და ვეტერანი მლადენი არ სჭირდება. „შალკეში" გადასვლის სერიოზული კანდიდატია „მიდლსბროს" 24 წლის მცველი **რობერტ ჰუთი**, რომელიც მაგათს ძალიან მოსწონს.

ბორდონი რჩება, კრსტაიჩი მიდის და საინტერესოა, რა ბედი ეწევა „ხუმარების" დროებით მწვრთნელ **მაიკ ბიუსკენსს**, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს? იმის გამო, რომ მაგათს „შალკეში" ასისტენტებად თავისი ხალხი (**აიხკორნი, ჰოლერბახი, ლოითარდი**) მიჰყავს, ბიუსკენსი ისევ „შალკეს" სარეზერვო გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე გადაინაცვლებს. სავარაუდოდ, „დესპოტი" გუნდიდან დაითხოვს ისეთ პრობლემატურ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან **კარლოს გროსმიულერი, ალბერტ შტრაიტი** (ახლა „ჰამბურგშია" განათხოვრებული) და **მარვინ პურიე** (განათხოვრებულია „მიუნხენში"). ორშაბათს მაგათი ოჯახთან ერთად პუერტო რიკოსკენ აიღებს გეზს, სადაც ერთკვირიან შვებულებას გაატარებს, მერე კი გელზენკირხენში ჩავა და ლევან **კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გუნდის გაწვრთნას შეუდგება.

**გოტფრიდ ლენცი**



მარსელო ბორდონი შალკეში დარჩება

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტურის წინ

# შიშისა და იმედის ბოლო 90 წუთი

## ერთი კბენაც და მგლები ჩემპიონები გახდებიან

| დღეს | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-ვერდერი | 17:30 |
| აინტრახტი-ჰამბურგი | 17:30 |
| ბაიერნი-შტუტგარტი | 17:30 |
| კოტბუსი-ლევერკუზენი | 17:30 |
| არმინია-ჰანოვერი | 17:30 |
| კარლსრუე-ჰერტა | 17:30 |
| კიოლნი-ბოხუმი | 17:30 |
| ბორუსია (მ)-ბორუსია (დ) | 17:30 |
| შალკე-ჰოფენჰაიმი | 17:30 |

ეს ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე დაძაბული სეზონის ბოლო ტურის წინათქმაა. უაღრესად საინტერესო სეზონი, რომელმაც უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა, დღეს მთავრდება. ჩემპიონის ვინაობა, როგორც იცით, გარკვეული არ არის – „ვერცხლის სინის" მოპოვების შანსი სამ გუნდს აქვს. უცნობია, რომელი გუნდი გავა მეხუთე ადგილზე და შესაბამისად, ვის დარჩება ევროლიგის ეს ერთი საგზური, რომლისთვისაც დორტმუნდის „ბორუსია" და „ჰამბურგი" იბრძვიან. დამაინტრიგებელია ისიც, რომ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება ბოლო ტურის წინ არც ერთ გუნდს არ აქვს განაღდებული. ჩემპიონობისთვის პირველ რიგში „ვოლფსბურგი" იბრძვის, რომელიც ორი ქულით უსწრებს „ბაიერნსა" და „შტუტგარტს". ეს ორი გუნდი კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურისთვის იბრძვის, თუმცა ორივე მათგანს აქვს ჩემპიონობის შანსი. მიონხენგლადბახის „ბორუსიის" ბედი ამავე გუნდის ხელშია, „არმინია", „კოტბუსი" და „კარლსრუე" კი ნერვიულობისგან კანკალებენ!

26-ე ტურში, როდესაც „ვოლფსბურგმა" „ბაიერნი" 5:1 გაანადგურა, გერმანიაში პირველად დაისვა მეტად საინტერესო კითხვა: აქვს თუ არა ქალაქ ვოლფსბურგის რატუშას დიდი აივანი? მოგეხსენებათ, გერმანული კლუბები ჩემპიონობას სწორედ ქალაქის რატუშის აივანზე ზეიმობენ ხოლმე. შესაძლოა, მაშინ ეს კითხვა ბევრს ჯერ კიდევ სასაცილოდ ეჩვენებოდა, მაგრამ თუკი ვინმეზე შეიძლება ითქვას, ამბიციასა და იუმორს შორის იდეალურ შუალედს იჭერსო, პირველყოვლისა „ვოლფსბურგის" მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათზე**. 26-ე ტურიდან მოყოლებული, „ვოლფსბურგი" გერმანიის ჩემპიონობის ნომერ პირველი კანდიდატია და „მგლებისთვის" ძალიან სამწუხარო იქნებოდა, „ვერცხლის სინი" ბოლო ტურში რომ დათმონ და მოვლენების ასეთი განვითარება ზოგადადაც ძალიან სამწუხარო იქნებოდა, რადგან თუ დათმობენ, სინი „ბაიერნს" და „შტუტგარტს" უნდა დაუთმონ – გუნდებს, რომლებიც ამ სეზონში ერთხელაც არ ყოფილან პირველ ადგილზე.



სამი მწვრთნელი, ერთი მიზანი: სინთან ყველაზე ახლოს ფელიქს მაგათია (მარცხნივ), მაგრამ ჩემპიონობის შანსი მარკუს ბაბელის (შუაში) „შტუტგარტს" და იუპ ჰაინკესის „ბაიერნსაც" აქვთ

### ჩააფურთხებს დიეგო მაგათის სუპში?

ბუნდესლიგაში ერთადერთი გუნდი-ლა დარჩა, რომელსაც შეუძლია, რომ არსებობის ისტორიაში „ვოლფსბურგის" პირველად გაჩემპიონება არ დაუშვას და ეს არის ბრემენის „ვერდერი" - გუნდი, რომელმაც უეფას თასის ფინალი წააგო, რომელსაც ბუნდესლიგაში არაფერი აღარ აინტერესებს და რომელსაც მომავალ კვირაში გერმანიის თასის ფინალი ელის. „ვოლფსბურგის" თავდამსხმელები **გრაფიტე** (26 გოლი) და **ედინ ჯეკო** (25 გოლი) საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის იბრძვიან, მაგრამ „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადეს, ბომბარდირობა ფეხებზე გვკიდია, ეგოისტურად არ მოვიქცევით და ერთმანეთს პასებს მივცემთო. ვნახოთ. უეფას თასის ფინალში „ვერდერს" აშკარად დაეტყო დიეგოს არყოფნა. ვოლფსბურგში კი, ბრემენელთა ბრაზილიელი დირიჟორი აუცილებლად ითამაშებს და ფაქტია, რომ ეს იქნება დიეგოს უკანასკნელი მატჩი „ვერდერის" მაისურით. შესაბამისად, ბრაზილიელი ფლეიმეიქერი ერთობ მოტივირებული იქნება და შეეცდება, „მუსიკოსები" უკანასკნელად გაახაროს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ტრიუმფით გამომშვიდობების შანსი დიეგოს თასის ფინალშიც მიეცემა.

### ფინალი მეორე ადგილისთვის... ან უფრო მეტისთვის?

დიეგოსა და „ვერდერის" გარდა, ინსცენირებული პროვოკაციების მეფე ფელიქს მაგათის (წინა კვირას ერთ-ერთ ტელეკომპანიას ინტერვიუ მიუნხენის რატუშის აივანზე მისცა) სუპში ჩაფურთხება „ბაიერნს" და „შტუტგარტს" შეუძლიათ. „ვოლფსბურგის" მდევრები ერთმანეთს ხვდებიან მიუნხენში, „ალიანს არენაზე" და ეს არის გამოცდილი **იუპ ჰაინკესისა** და ახალგაზრდა მწვრთნელ **მარკუს ბაბელის** (ამ უკანასკნელს ჯერ სამწვრთნელო ლიცენზიაც კი არ აქვს) დუელი. იმ შემთხვევაში კი, თუ „ვოლფსბურგი" „ვერდერს" მოუგებს, ეს მატჩი მეორე ადგილისთვის ფინალად გადაიქცევა. მეორე ადგილს კი, როგორც იცით, გუნდი პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაჰყავს. ასეთი წარმატება ორივე გუნდს ძალიან სჭირდება, „ბაიერნს" კი იმის საშუალებას მისცემს, რომ მიუნხენელებმა „შტუტგარტის" ფორვარდ მარიო გომესზე სერიოზულად იფიქრონ. ეს მატჩი „ბაიერნის" რიგებში უკანასკნელი იქნება **ლუკას პოდოლსკისთვის**, რომელიც სამი წელია, მიუნხენურ გრანდში ირიცხება და რომელიც სეზონის დასრულებისთანავე „კიოლნში" ბრუნდება.

### იქნებ ჰერტამ გაიცინოს?

თუ ბერლინის „ჰერტა" „კარლსრუეს" დაამარცხებს, დედაქალაქელები ყველა ვარიანტში მესამე ადგილზე გავლენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ. მართალია, ბერლინელები ცოტა ხნის წინათ ჩემპიონობაზეც ოცნებობდნენ, მაგრამ გაპირველების შანსი აღარ აქვთ და ახლა უნდათ, რომ სეზონი ჩემპიონთა ლიგის საგზურით დაასრულონ. ამჯერად, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს კაპიტანი **არნე ფრიდრიხი**, რომელიც „შალკესთან" მატჩისთვისაც (0:0) გამოჯანმრთელებული იყო, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა **ლუსიენ ფავრმა** მაინც სკამზე დატოვა. „ჰერტას" მეტოქე „კარლსრუემ" წინა ტურში „ვერდერის" დამარცხებით, ელიტაში დარჩენის თეორიული შანსი შეინარჩუნა, მაგრამ ბადენელები საუკეთესო შემთხვევაში მე-16 ადგილზე გავლენ და მერე მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანთან მოუწევთ ჭიდილი.

### რკინის ჰანსს ერთი ქულა სჭირდება

**ალექსანდრე იაშვილის** კლუბის გარდა, გადარჩენისთვის სამი გუნდი იბრძვის და ამ სამეულიდან თავის თავზე მხოლოდ მიონხენგლადბახის „ბორუსიაა" დამოკიდებული. **ჰანს მაიერის** გუნდმა წინა ტურში „ლევერკუზენთან" 0:5 წააგო და მდგომარეობა გაირთულა, მაგრამ იმისათვის, რომ გადარჩეს, „გლადბახს" ბოლო ტურში „დორტმუნდთან" მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულა სჭირდება. თუმცა გამარჯვება უნდათ დორტმუნდელებსაც, რადგან მხოლოდ ასე თუ გაინაღდებენ მეხუთე ადგილს. იურგენ კლოპის სამწყსოს მეხუთე პოზიციის დასაკავებლად ქულა მხოლოდ იმ შემთხვევაში ეყოფა, თუ „ჰამბურგიც" ვერ მოიგებს, ხოლო წაგების შემთხვევაში მაშინ გავა მეხუთე ადგილზე, თუ „ჰამბურგიც" წააგებს.

„ჰამბურგი" კი, რომელსაც იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც „დორტმუნდს" (ბურთების შეფარდებით კი „ბორუსიას" ძალიან ჩამორჩება), ფრანკფურტში თამაშობს. დღეს **ფრიდჰელმ ფუნკელს** „აინტრახტის" მთავარი მწვრთნელის რანგში უკანასკნელად ვიხილავთ. „აინტრახტის" უკმაყოფილო ბოსები მას კონტრაქტს უწყვეტენ.

### გადაარჩენს ბერგერი არმინიას?

ბილეფელდის „არმინიას" შეფებმა მთავარი მწვრთნელი **მიხაელ ფრონტცეკი** დაითხოვეს და მის ნაცვლად, ბოლო ტურისთვის, დროებით **იორგ ბერგერი** დანიშნეს. თუმცა ამ უკანასკნელს ძალიან რთული ამოცანა აქვს: „არმინიამ" აუცილებლად უნდა დაამარცხოს „ჰანოვერი", რომელსაც ამ სეზონში არაფერი აღარ აინტერესებს და ამავდროულად, დიდი ანგარიშით, თანაც, „გლადბახმა" „დორტმუნდთან" უნდა წააგოს.

ზუსტად ასეთივე ამოცანის წინაშე დგას „კოტბუსიც". ლაუზიტცელები ბოლო ტურის წინ ბოლოსწინა ადგილზე არიან. „ლევერკუზენთან" აუცილებლად სამი ქულა სჭირდებათ იმისათვის, რომ გადარჩენის იმედი ჰქონდეთ. მაგრამ „კოტბუსს" ცუდი შანსები აქვს და თანაც, მთავარი მწვრთნელი **ბოიან პრაშნიკარი** სამ წამყვან ფეხბურთელს ვერ დაიხმარს: **დიმიტარ რანგელოვი** (9 გოლი), **ივიცა ილიევი** (3) და **ბრანკო ილიჩი** (3) ტრავმირებულები არიან. აღსანიშნავია, რომ „ლევერკუზენს" ბუნდესლიგაში არაფერი აღარ აინტერესებს და თანაც, „ფარმაცევტები" გერმანიის თასის ფინალისთვის ემზადებიან (30 მაისს, „ვერდერთან").

„კიოლნისა" და „ბოხუმის", ასევე, „შალკესა" და „ჰოფენჰაიმის" დაპირისპირებას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. ამ გუნდების ხელმძღვანელები უკვე მომდევნო სეზონს გეგმავენ, რადგან ამ სეზონში ვერც ვერაფერს მიაღწევენ და ვერც ვერაფერს დაკარგავენ. „კიოლნის" ხელმძღვანელები სერიოზულად ფიქრობენ ბაიერნელი **ხოსე ერნესტო სოსას** ტრანსფერზე, „ბოხუმს" კი **მარვინ მატიპის** დაბრუნება უნდა. „შალკეში" მწვრთნელთა ტრიო **ბიუსკენსი-მიულდერი-რეკი** მაყურებლების წინაშე უკანასკნელად წარდგება, რადგან მომავალი სეზონიდან გელზენკირხენულ კლუბს მაგათი უთავკაცებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვოლფსბურგი | 33 | 20 | 6 | 7 | 75-40 | 66 |
| 2. ბაიერნი | 33 | 19 | 7 | 7 | 69-41 | 64 |
| 3. შტუტგარტი | 33 | 19 | 7 | 7 | 62-41 | 64 |
| 4. ჰერტა | 33 | 19 | 6 | 8 | 48-37 | 63 |
| 5. ბორუსია (დ) | 33 | 15 | 13 | 5 | 59-36 | 58 |
| 6. ჰამბურგი | 33 | 18 | 4 | 11 | 46-45 | 58 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 33 | 14 | 10 | 9 | 60-47 | 52 |
| 8. შალკე | 33 | 14 | 8 | 11 | 45-32 | 50 |
| 9. ლევერკუზენი | 33 | 14 | 7 | 12 | 59-43 | 49 |
| 10. ვერდერი | 33 | 12 | 9 | 12 | 63-45 | 45 |
| 11. ჰანოვერი | 33 | 10 | 9 | 14 | 47-67 | 45 |
| 12. კიოლნი | 33 | 11 | 5 | 17 | 34-49 | 38 |
| 13. აინტრახტი | 33 | 8 | 9 | 16 | 37-57 | 33 |
| 14. ბოხუმი | 33 | 7 | 10 | 16 | 38-54 | 31 |
| 15. ბორუსია (მ) | 33 | 8 | 6 | 19 | 38-61 | 30 |
| 16. არმინია | 33 | 4 | 15 | 14 | 27-54 | 27 |
| 17. კოტბუსი | 33 | 7 | 6 | 20 | 27-57 | 27 |
| 18. კარლსრუე | 33 | 7 | 5 | 21 | 26-54 | 26 |

ბაიერნი

# ჟირკოვი მიუნხენში?

## ვან გაალის ასისტენტი გერლანდი იქნება, მიუნხენელები გომესსაც იყიდიან?

„ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** დაადასტურა, რომ **ლუის ვან გაალის** პირველი ასისტენტი **ჰერმან გერლანდი** იქნება, რეკორდმაისტერის მეორე გუნდს კი, რომელსაც აქამდე გერლანდი წვრთნიდა, **მეჰმეთ შოლი** ჩაიბარებს. ჰოლანდიელ მწვრთნელს თავისი ასისტენტები კი მოჰყავს, მაგრამ „ბაიერნის" შეფებს ძალიან უნდოდათ, რომ მისთვის პირველ ასისტენტად თავიანთი კაცი დაენიშნათ და არჩევანი შეაჩერეს გერლანდზე, რომელიც სიმკაცრით არის ცნობილი. იმისთვის, რომ გერლანდის ამ თანამდებობაზე დანიშვნა საბოლოოდ გადაწყდეს, საჭიროა მისი და ვან გაალის შეხვედრა, რაც უახლოეს პერიოდში მოხდება.

სამწვრთნელო საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები ტრანსფერებზეც ამუშავდნენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მიუნხენში გადასვლის სერიოზული კანდიდატია მოსკოვის ცსკა-ს მცველი **იური ჟირკოვი**. რუსი მარცხენა მცველის ფასი 10-დან 12 მილიონ ევრომდე მერყეობს. მას მერე, რაც 25 წლის ჟირკოვს ლონდონის „ჩელსი" შეეშვა, ამ უკანასკნელის მიუნხენში გადასვლის შანსი საკმაოდ მაღალია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ რეკორდმაისტერს რუსის ყიდვა უნდა და ეს უკანასკნელიც თანახმაა, კარიერა მიუნხენში გააგრძელოს.

მოგეხსენებათ, ბავარიელებს „შტუტგარტისა" გერმანიის ნაკრების ფორვარდ **მარიო გომესის** გადაბირებაც უნდათ და ბოლო დროს ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ გომესის ტრანსფერი იმაზე იყო დამოკიდებული, მოიპოვებდა თუ არა „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს, რომელიც 20-მილიონიანი შემოსავლის გარანტიას იძლევა.

*„თუ „შტუტგარტთან" წავაგებთ და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს ვერ მოვიპოვებთ, ჩვენს სატრანსფერო გეგმებს არც ეს ფაქტი შეცვლის. „ბაიერნი" ფინანსურად სტაბილური გუნდია და ჩვენი მომავალი ერთ კონკრეტულ თამაშზე დამოკიდებული არ არის,"* - აცხადებს მიუნხენური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**.

მიუხედავად ამისა, შტუტგარტელებს მაინც ეშინიათ, რომ დღეს „ბაიერნთან" დამარცხების შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურთან ერთად, მთავარმეგოლე გომესსაც დაკარგავენ. შვაბები გომესის შემცვლელად ბრაზილიელ **ვაგნერ ლავს** მოიაზრებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



იური ჟირკოვი შეიძლება, ბაიერნში გადავიდეს

სატრანსფერო აურზაური

# წავა ხოაკინი იტალიაში?

**მიუხედავად** იმისა, რომ „ჯენოა" ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა, კლუბის პრეზიდენტი ენრიკე პრეციოზი შემადგენლობის გაძლიერებას მაინც აპირებს. ამ მიზნით მან „ვალენსიასთან" მოლაპარაკებები წამოიწყო და ესპანური გრანდიდან ხოაკინ სანჩესის გადაბირება სურს. ესპანეთის ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველს „ღამურებთან" ხელშეკრულება 2012 წლამდე აქვს გაფორმებული. მისი ღირებულება 15 მილიონ ევრომდეა. ესპანელთა ფინანსური გასაჭირის ამბავი ყველას მოეხსენება - კლუბი რამდენჯერმე გადაურჩა გაკოტრებულად გამოცხადებას და აღნიშნული საფრთხე თავიდან აცილებული ჯერ კიდევ არ არის. მესტალიელებს პრობლემების დასაძლევად, სავარაუდოდ, წამყვანი ფეხბურთელების გასხვისება მოუწევთ. მით უფრო, რომ პრიმერას დასრულებამდე ორი ტურით ადრე ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ისინი „ატლეტიკოს" ჩამორჩებიან.

## ინგლისური ტრანსფერები

„უიგან ატლეტიკს" მომავალი სეზონისთვის „ლივერპულის" განაპირა ნახევარმცველის **ჯერმეინ პენანტის** გადაბირება უნდა. ფეხბურთელი მერსისაიდელთა შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, რის გამოც ამჟამად ის განათხოვრებით „პორტსმუთში" თამაშობს. 26 წლის ფეხბურთელს ენფილდელებთან კონტრაქტი ერთ თვეში ეწურება. შესაბამისად, **სტივ ბრუსს** მასში ერთი ცენტის გადახდაც არ მოუწევს. გარდა ამისა, ბრუსს მისი გუნდის რიგებში „ჰიბერნიანის" თავდამსხმელის **სტივენ ფლეტჩერის** ხილვაც სურს. 22 წლის ფეხბურთელი, ვინც ინგლისშია დაბადებული, მაგრამ შოტლანდიის ნაკრებში თამაშობს, დაახლოებით 2,5 მილიონი ფუნტი ღირს. ფლეტჩერის შეძენა „ვესტ ბრომვიჩსაც" უნდა.

იმ შემთხვევაში, თუკი **ჰარი რედნაპმა** „ტოტენჰემიდან" **რომან პავლუჩენკოს** გაშვება საბოლოოდ გადაწყვიტა, „მამლები" მისი შემცვლელის შესაძენად აუცილებლად იზრუნებენ. ლაპარაკია, რომ ლონდონელები „ლაციოდან" მაკედონიის ნაკრების შემტევ **გორან პანდევს** იყიდიან. რამდენიმე დღის წინ ფეხბურთელის აგენტმა **ლეონარდო კარსიმ** განაცხადა, რომ მისი კლიენტი რომაულ კლუბს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. 25 წლის თავდამსხმელს **კლაუდიო ლოტიტო** 18 მილიონად აფასებს, მაგრამ მას ფასის დაწევა აუცილებლად მოუწევს. „მამლები" ბევრად უფრო მომხიბლავ ვარიანტსაც განიხილავენ. ლაპარაკია „ვოლფსბურგიდან" 23 წლის **ედინ ჯეკოს** ყიდვაზე. თუმცა არ გვგონია, მათ ამ შემთხვევაში წარმატების სერიოზული შანსი ჰქონდეთ, რადგან ბოსნიელით ნახევარი ევროპაა დაინტერესებული - სახელდება „ჩელსის", „მილანისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარიანტები. ედინს მხოლოდ ბუნდესლიგის მეორე წრეში 20 გოლი აქვს გატანილი, რაც მისადმი ინტერესს აათმაგებს. „მგლები" თავის ვარსკვლავს 15 მილიონ ევროდ აფასებენ.

„ნიუკასლს" „ტორინოდან" გამოცდილი მეკარის, **მატეო სერენის** შეძენა სურს. საინტერესო ის არის, რომ ერთ კლუბსაც და მეორესაც ელიტიდან ქვედა ლიგაში დაქვეითება ემუქრება. მატეოს კონტრაქტს ვადა ტურინულ კლუბთან 2011 წელს გასდის. შეგახსენებთ, რომ 34 წლის სერენი 2001/03 წლებში „იფსვიჩ თაუნის" ღირსებას იცავდა.

„ასტონ ვილას" შედეგიანი ცენტრფორვარდის შეძენა სურს. ამისთვის მან ყურადღება მიაპყრო „ტულუზის" ფორვარდ **ანდრე პიერ ჟინიაკს**. 24 წლის ათლეტური აგებულების ფეხბურთელის ანგარიშზე წელს 22 გოლი და 4 საგოლე პასია. ალსანიშნავია, რომ ანდრე პიერმა საფრანგეთის ნაკრებში დებიუტი საგოლე გადაცემით აღნიშნა. ლიტვის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში ის შეცვლაზე შევიდა და **ფრანკ რიბერის** შედეგიანი გადაცემა მიაწოდა.

„ანდერლეხტის" 23 წლის არგენტინელ საყრდენ ნახევარმცველ **ლუკას ბილიას** კარიერის უფრო ამბიციურ კლუბში გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი აქვს. მათ შორის ლაპარაკია პრემიერლიგაში ახლახან აღზევებულ „ბირმინგემსა" და „გალათასარაიზე". ფეხბურთელს კონტრაქტი 2012 წელს უმთავრდება. მისი ღირებულება 7 მილიონი ევროა.

„დეილი რეკორდის" ინფორმაციით, „დერბი ქაუნთისა" და „ნოტინგემ ფორესტს" „ჰიბერნიანის" კაპიტნის, 29 წლის ცენტრალური მცველის, **რობერტ ჯონსის** შეძენა უნდათ. გიგანტური აღნაგობის ფეხბურთელის (199 სმ) ფასი 1,25 მილიონი ფუნტია. ინგლისელს სკოტებთან კონტრაქტი ერთ წელიწადში უსრულდება.

პრემიერლიგაში აღზევებულ „ვულვერჰემპტონს" ლიეჟის „სტანდარდიდან"-აშშ-ის ნაკრების ცენტრალური მცველის, 27 წლის **ოგუჩი ონიევუს** გადაბირება სურს. ამერიკელი 4,5 მილიონი ევრო ღირს. შეგახსენებთ, რომ 2007 წელს ის 6 თვით „ნიუკასლშიც" ასპარეზობდა, მაგრამ პირველ ჯერზე პრემიერლიგაში თავი ვერაფრით გამოიჩინა.

„ვოლფსბურგისა" და ბრაზილიის ნაკრების 29 წლის საყრდენი **ჟოსუე** შეიძლება „არსენალმა" გადაიბიროს. სამხრეთამერიკელს „მგლებთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და მისი ფასი 8 მილიონ ევროს უკაკუნებს.

„ასტონ ვილასა" და „ბირმინგემ სიტის" ფრანგული „სოშოდან" 29 წლის ნიგერიელი ცენტრალური მცველის **რაბიუ აფოლაბის** შეძენა უნდათ. აფრიკელს ფრანგებთან კონტრაქტი ერთ თვეში უმთავრდება. შესაბამისად, ის თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. ნიგერიელს საფრანგეთის მეორე ლიგაში დასაქვეითებლად განწირულ კლუბში დარჩენა აღარ სურს.

„დეილი მეილის" ცნობით, იმ შემთხვევაში, თუკი „ჩელსი" **კარლო ანჩელოტიმ** ჩაიბარა, ის თავდასხმის გაძლიერებას **კარლოს ტევესით** მოითხოვს.

## ფრანგული ტრანსფერები

მარსელის „ოლიმპიკი" მომდევნო სეზონში ჩემპიონობისთვის რეალურად ბრძოლას აპირებს. როგორც ჩანს, მათთვის წელს ეს ამოცანა გადაულახავი გამოდგა. ჩემპიონობასთან უფრო ახლოს „ბორდო" დგას. **დიდიე დეშამს** კლუბის ხელმძღვანელობისთვის სასურველი ცენტრალური მცველების სია უკვე გადაცემული აქვს. მათ შორის შედიან: **ნალდო** (ბრაზილია, „ვერდერი", 26 წლის, 8,5 მილიონი ევრო); ოგუჩი ონიევუ (აშშ, „სტანდარდი", 27 წლის, 4,5 მილიონი); **ადილ რამი** (მაროკო, „ლილი", 23 წლის, 6 მილიონი ევრო); **როლანდ იუჰაში** (უნგრეთი, „ანდერლეხტი", 25 წლის, 5 მილიონი) და **დანიელ ვან ბუიტენი** (ბელგია, „ბაიერნი", 31 წლის, 7 მილიონი). ბუნებრივია, ზღვისპირელები ამათგან მაქსიმუმ ორს თუ გადაიბირებენ.

„ნანსის" „რენიდან" 22 წლის მარჯვენა ნახევარმცველის **რომაინ დანზეს** ყიდვა სურს. ფეხბურთელის კონტრაქტს ვადა 2012 წელს გასდის. მისი ღირებულება 2 მილიონი ევროა.

„პარი სენჟერმენის" 24 წლის საყრდენი ნახევარმცველი **გრეგორი ბურილიონი** მომავალ წელს, სავარაუდოდ, „ოსერში" დაიწყებს. წელს ის სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდიდა. **კლოდ მაკელელეს** პსჟ-ში მისვლის შემდეგ ეს სავსებით ლოგიკური იყო. მომავალ წელს პარიზული კლუბი ალბათ **პატრიკ ვიეირასაც** დაიმატებს, რაც გრეგორის აბსოლუტურად მშრალ ულუფაზე დატოვებს. ბურილიონი 1,8 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

„მონაკოსა" და „პარი სენჟერმენს" მეკარეთა გაცვლა სურთ. **მიკაელ ლანდრო** მონეგასკების რიგებში ჩაირიცხება, საწინააღმდეგო მიმართულებით წავა **სტეფან რუფიე**.

„ლილს" „ნანტიდან" 20 წლის შემტევი ნახევარმცველის **ვილიამ ვაინკურის** გადაბირება უნდა. საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების კანდიდატი მილიონი ევრო ღირს.

## იტალიური ტრანსფერები

უეფას თასის მფლობელის, დონეცკის „შახტარის" ხორვატი უნივერსალის, 27 წლის **დარიო სრნას** შეძენით სერიოზულად დაინტერესდა „მილანი". ბალკანელს დონეცკელებთან კონტრაქტი 2011 წლის ივნისში უსრულდება. მისი სატრანსფერო ღირებულება 15 მილიონი ევროა. ფეხბურთელით დაინტერესებას ადასტურებს „ბაიერნიც", მაგრამ მას ფასი აფრთხობს.

„სიენა" „მოდენადან" შემტევი ნახევარმცველის **ალექს პინარდის** ყიდვას შეეცდება. 28 წლის ფეხბურთელი ამჟამინდელი კლუბის ულაპარაკო ლიდერად მიიჩნევა. თავის მხრივ, „სიენამ" შეიძლება „ჯენოაში" გაუშვას მაროკოელი **ჰუსაინ ხარია**. გენუელთა გარდა აფრიკელის ყიდვა „ფულჰემსა" და „ვერდერსაც" სურთ.

„ჯენოას" „ცრვენა ზვეზდადან" 21 წლის უნივერსალის **ნენად ტომოვიჩის** გადაბირებაც უნდა. სერბეთის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელს კონტრაქტი ბელგრადულ კლუბთან 2012 წელს უმთავრდება. მისი სატრანსფერო ღირებულება 2 მილიონი ევროა.

შესავალშივე მოგახსენეთ, რომ „ჯენოას" „ვალენსიადან" **ხოაკინ სანჩესის** შეძენა სურს. გენუელებს ესპანეთის ნაკრების მეორე წევრის გადაბირებაც სურთ. ლაპარაკია ესპანური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავ **ხუან მატაზე**. 21 წლის მარცხენა გარემარბი 15 მილიონი ევრო ღირს.

„პალერმო" „სევილიას" იტალიელი ნახევარმცველის **ვინჩენცო მარესკას** სამსახურით არის დაინტერესებული. სიცილიელებს 29 წლის საყრდენის ყიდვა 5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. „როზანეროს" შეფ **მაურიციო ძამპარინის** „ბორდოდან" ბრაზილიის ნაკრების კანდიდატის, 28 წლის ცენტრალური ნახევარმცველის **ფერნანდო მენეგაცოს** გადაბირებაც სურს. ფეხბურთელი 8 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

„უდინეზეს" ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უარყო „ბაიერნის" შეთავაზება ჩილელი თავდამსხმელის **ალექსის სანჩესის** გაყიდვაზე. 20 წლის სამხრეთამერიკელში გერმანელები 4 მილიონ ევროს სთავაზობდნენ.

„ლაციოს" პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს „ლილის" 18 წლის შემტევი ნახევარმცველის, ბელგიელი **ედენ ჰაზარდის** ყიდვა სურს. მიუხედავად ასაკისა, ფეხბურთელს ბელგიის ნაკრებში უკვე 4 შეხვედრა აქვს ჩატარებული. მისი დებიუტი ლუქსემბურგთან ამხანაგურ შეხვედრაში შედგა. ის შეცვლაზე **ვესლი სონკის** ნაცვლად შევიდა. თინეიჯერის შეძენას გეგმავს „არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერიც**.

თუკი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** „ინტერი" „ნერაძურის" ბოსების ნების საწინააღმდეგოდ მაინც დატოვა, მილანელები მის ადგილას **რობინ ვან პერსის** შეიძენენ. „არსენალის" 25 წლის თავდამსხმელი 20 მილიონი ევრო ღირს. „ინტერს" დიდი ხანია, გულში აქვს ამოჭრილი „მანჩესტერ იუნაიტედის" სერბი ცენტრალური მცველის **ნემანია ვიდიჩის** ყიდვა. თავად სერბს იტალიაში საცხოვრებლად გადასვლის გაგონებაც არ სურს. ბალკანელის გაყიდვაზე უარს ამბობს კლუბის ხელმძღვანელობაც.

„ინტერი" და „მილანი" **ემანუელ ადებაიორის** შესაძენად იბრძოლებენ. ტოგოელის ღირებულება 30 მილიონი ევროა. ფეხბურთელის გაყიდვასა და შემოსული ფულით ახალი ფეხბურთელების შეძენას ითხოვენ თავად „არსენალის" ფანები. ასე რომ, ტრანსფერის ალბათობა საკმაოდ მაღალია.

„პარმას" არგენტინული „ატლეტიკო ტიგრედან" **პაბლო ფონტანელოს** გადაბირება სურს. 24 წლის ცენტრალური მცველი 800 ათასი ევრო ღირს.

„ფიორენტინას" სპორტულმა დირექტორმა „სამპდორიასთან" მოლაპარაკების პროცესი წამოიწყო. ფლორენციელებს „ბლუჩერკატიდან" 28 წლის არგენტინელი ცენტრალური მცველის **უგო კამპანაროს** ყიდვა სურთ. სამხრეთამერიკელი 3,2 მილიონი ევრო ღირს.



შეიძლება, ვალენსიამ ხოაკინი გაჭირვების გამო იტალიაში გაასხვისოს

## ესპანური ტრანსფერები

„სევილიას" ხელმძღვანელობა „ჰამბურგიდან" ცენტრალური მცველის **ალექს სილვას** გადაბირებას ცდილობს. ბრაზილიის ნაკრების წევრი 10 მილიონი ევრო ღირს. სამხრეთამერიკელის კონტრაქტს გერმანულ კლუბთან ვადა 2013 წელს გასდის. ალექსის შეძენას „მილანიც" ცდილობს.

იტალიური გამოცემა „გაძეტა დელო სპორტი" ირწმუნება, რომ უდინედან სევილიაში საცხოვრებლად გადასვლას აპირებს „უდინეზეს" შვეიცარიელი ნახევარმცველი **გიოქჰან ინლერი**. 24 წლის ფეხბურთელი 9 მილიონი ევრო ღირს. შვეიცარიელის მიერ ფრიულელებთან გაფორმებულ კონტრაქტს ვადა 2013 წელს გასდის.

„ატლეტიკის" ხელმძღვანელობა შემადგენლობის გასაძლიერებლად ტრადიციულად ბასკებს ეძებს. ბილბაოელებს „სარაგოსადან" 19 წლის თავდამსხმელის **ანდერ ერერას** ყიდვა სურთ. ესპანეთის 20-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი 3,5 მილიონი ევრო ღირს.

მადრიდის „ატლეტიკოს" „მიდლსბროს" 21 წლის მარცხენა ნახევარმცველი **ადამ ჯონსონი** უნდა. ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი 2,8 მილიონი ევრო ღირს. ადამი „ჩელსის" ინტერესების სფეროშიც არის. ფრანგი **გრეგორი კუპეს** შემცვლელად „როხიბლანკოს" „ამერიკიდან" მექსიკელი მეკარე **გილერმო ოჩოა** სურს.

„მალაგას" მომავალ სეზონში კვალიფიციური მეკარე სჭირდება და საამისოდ, „ლას პალმასიდან" **რობერტო სანტამარიას** გადაბირებას შეეცდება. 24 წლის ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2013 წელს უსრულდება. ამის მიუხედავადაც კი, მისი ფასი 1 მილიონს არ აღემატება.

ზემოთაც მოგახსენებდით, რომ „სევილიამ" შეიძლება „პალერმოში" გაუშვას ენცო მარესკა. სამაგიეროდ, ისინი „იუვენტუსიდან" **კრისტიან პოულსენის** გადაბირებას გეგმავენ. 29 წლის დანიელი 8,5 მილიონი ღირს.

აქვე გაგაცნობთ ერთ სავარაუდო გერმანულ ტრანსფერსაც: „კიოლნის" სკაუტებმა ჩეხური „ლიბერეცის" განაპირა თავდამსხმელის **ანდრე კერიჩის** ყიდვა განიზრახეს. 23 წლის ხორვატი ერთნაირი წარმატებით თამაშობს ორივე ფლანგზე. მისი ღირებულება 2 მილიონი ევროა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVII ტურის წინ


ალან შირერს შეუძლია პრემიერლიგაში დარჩეს, მაგრამ ეს მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული

# ფარდის დაშვებამდე ხუთი წუთით ადრე

## პრემიერლიგაში დასარჩენი ბილეთები ჯერ კიდევ იყიდება

| ხვალ | |
|---|---|
| არსენალი-სტოკ სიტი | 19:00 |
| ასტონ ვილა-ნიუკასლი | 19:00 |
| ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 19:00 |
| ფულჰემი-ევერტონი | 19:00 |
| ჰალ სიტი-მანჩესტერ იუნ. | 19:00 |
| ლივერპული-ტოტენჰემი | 19:00 |
| მანჩესტერ სიტი-ბოლტონი | 19:00 |
| სანდერლენდი-ჩელსი | 19:00 |
| ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 19:00 |
| უიგანი-პორტსმუთი | 19:00 |

ინგლისური პრემიერლიგის უმთავრესი ინტრიგა ზუსტად ერთი კვირის წინ გარდაიცვალა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „არსენალს“ უმასპინძლა, უგოლოდ გაეყარა და ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ზედიზედ მესამედ, ისტორიაში კი მეთვრამეტედ, კონკურენტებისთვის მიუღწეველი შეიქნა. პრაქტიკულად უკვე ისიც გარკვეულია, ვინ დაიკავებს მეორე-მესამე ადგილებს - „ჩელსის“ „ლივერპულის“ გადასწრების მხოლოდ თეორიული შანსი აქვს. საბოლოოდ ბეჭედი აქვს დასმული, რომ მეოთხეზე „არსენალი“ გავიდა. ბოლო ტურს გასარკვევი ისღა დარჩა, ვინ გავა ევროთასებზე და რომელი პოზიციიდან, ასევე ვინ დაადგება ჩემპიონშიფის გზას. პრემიერლიგაში დასარჩენი ბილეთები ჯერ კიდევ იყიდება. ასე რომ, ბოლო ტური მაინცდამაინც საინტერესო შეხვედრებით განებივრებას ვერ გვპირდება. ყველა შეხვედრა კვირას, თბილისის დროით საღამოს 7 საათზე დაიწყება.

მაშ ასე, განვიხილოთ ჩვენი აზრით ყველაზე საინტერესო წყვილები. ვვარაუდობთ, რომ მაქსიმალურად დიდი ყურადღება ბირმინგემის „ვილა პარკისკენ“ იქნება მიპყრობილი - „ასტონ ვილა“ **ალან შირერის** „ნიუკასლს“ მასპინძლობს. შეიძლება ითქვას, რომ გამოცდილი **მარტინ ონილი** დამწყებ სპეციალისტს მიიღებს და მისგან გამოცდას ჩაიბარებს. ჯორდები ბირმინგემს სერიოზული საკადრო პრობლემებით მიემგზავრებიან. ყველაზე სერიოზული მათ შორის წამყვანი მარჯვენა მცველის, სენეგალელი **ჰაბიბ ბეიეს** ტრავმაა. მას ამ კვირაში საწვრთნელ პროცესში მონაწილეობა პრაქტიკულად არ მიუღია. ნატკენ საზარდულს იმუშებს **მაიკლ ოუენიც**. მან შირერის მიერ ჩატარებული ფიტნეს-ტესტი ვერ ჩააბარა. შესაბამისად, მინდორზე მისი ხილვა ასევე საეჭვოა. საზარდულსავე იტკიებს მეორე წამყვანი თავდამსხმელი **ობაფემი მარტინსიც**. თუმცა „ვილა პარკზე“ გამოჩენა გამორიცხული სულაც არ არის. ბარძაყის ტკივილს უჩივის **ალან სმიტი**. ძირითადში არ იქნება კამერუნელი **სებასტიან ბასონგიც**, ვისი დისკვალიფიკაციაც „კაჭკაჭებმა“ კი გაასაჩივრეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

სასიხარულო მხოლოდ ერთი რამ არის - ძირითადში გამოჩნდება მცველი **ხოსე ენრიკე**. მიუხედავად იმისა, რომ ის პოზიციით მარცხენა მცველია, ესპანელს ნამდვილად შეუძლია ბეიეს ღირსეულად შეცვლა.

რაც შეეხება „ასტონ ვილას“, მას სერიოზული საკადრო პრობლემები არ აწუხებს. ბირმინგემელებს შესანიშნავი შანსი აქვთ, სეზონი მე-5 ადგილზე დაასრულონ. მათ ამისთვის „ნიუკასლის“ დამარცხება მართებთ, „ევერტონი“ ამასობაში ლონდონში „ფულჰემს“ ეწვევა, საიდანაც სამი ქულის წამოღების გარანტია არ აქვს.

ელიტაში ზედიზედ მე-12 სეზონის გატარების მხოლოდ თეორიული შანსიღა აქვს „მიდლსბროს“. ამისთვის ერთბაშად რამდენიმე შედეგი უნდა დაემთხვეს. რივერსაიდელებმა გასვლაზე უნდა დაამარცხონ „ვესტ ჰემი“, რაც თავისთავად უკვე რთული დასაჯერებელია, პლუს, „ჰალ სიტიმ“ შინ უნდა დათმოს შეხვედრა „მანჩესტერ იუნაიტედთან“, სადაც უმოტივაციობის მიუხედავად, ჩვენი აზრით, „ეშმაკები“ მაინც ფავორიტები არიან. დაბოლოს, „ნიუკასლმა“ უნდა წააგოს. მოვლენათა ასეთ განვითარებას ნამდვილად ვერავინ გამორიცხავს. ალბათ, გახსოვთ, როგორ მოიქნია კუდი შარშან ბოლო ტურში ამ გუნდმა. მაშინ „მანჩესტერ სიტი“ მათთან 8:1 განადგურდა. ასეთი გასროლა **გარეტ საუტგეითის** კლუბს ახლაც არ აწყენდა, მით უფრო, რომ გუნდს ბურთების ბალანსიც გამოსასწორებელი აქვს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „მიდლსბროს“ ლიდერი **სტიუარტ დაუნინგი** დაშავდა. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი 5-6 თვე ვერ ითამაშებს. „ვესტ ჰემს“ კარგი შანსი აქვს, შარშანდელთან შედარებით ორი ქულით მეტი დააგროვოს და ერთი საფეხურით მაღლა დაასრულოს ჩემპიონატი. მათ მე-8 ადგილზე გადაბარგება ალბათ არ ელირსებათ. არადა, ეს ერთი ადგილი ფინანსურად შეჭირვებული კლუბისთვის დამატებით 760 ათასი გირვანქის შემოსავალს მოიტანდა. ეს გუნდები 38-ე ტურში 2001 წელსაც შეხვდნენ, მაშინ რივერსაიდზე სტუმრები 2:1 დამარცხდნენ. წელს კი ისინი ერთმანეთს უკვე სამჯერ შეხვდნენ. პრემიერლიგის პირველ წრეში „ჩაქუჩებმა“ გასვლაზე 1:1 ითამაშეს. შემდეგ მათი გზები ასოციაციის თასზე გადაიკვეთა. პირველ შემთხვევაში ისევ 1:1 დასრულდა, „რივერსაიდზე“ კი მასპინძლებმა 2:0 იმარჯვეს. ლონდონელებს ახლა სამაგიეროს გადახდა მართებთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 37 | 27 | 6 | 4 | 67-24 | 87 |
| 2. ლივერპული | 37 | 24 | 11 | 2 | 74-26 | 83 |
| 3. ჩელსი | 37 | 24 | 8 | 5 | 65-22 | 80 |
| 4. არსენალი | 37 | 19 | 12 | 6 | 64-36 | 69 |
| 5. ევერტონი | 37 | 16 | 12 | 9 | 53-37 | 60 |
| 6. ასტონ ვილა | 37 | 16 | 11 | 10 | 53-48 | 59 |
| 7. ფულჰემი | 37 | 14 | 11 | 12 | 39-32 | 53 |
| 8. ტოტენჰემი | 37 | 14 | 9 | 14 | 44-42 | 51 |
| 9. ვესტ ჰემი | 37 | 13 | 9 | 15 | 40-44 | 48 |
| 10. მანჩესტერ სიტი | 37 | 14 | 5 | 18 | 57-50 | 47 |
| 11. სტოკ სიტი | 37 | 12 | 9 | 16 | 37-51 | 45 |
| 12. უიგანი | 37 | 11 | 9 | 17 | 33-45 | 42 |
| 13. ბოლტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 41-52 | 41 |
| 14. პორტსმუთი | 37 | 10 | 11 | 16 | 38-56 | 41 |
| 15. ბლექბერნი | 37 | 10 | 10 | 17 | 40-60 | 40 |
| 16. სანდერლენდი | 37 | 9 | 9 | 19 | 32-51 | 36 |
| 17. ჰალ სიტი | 37 | 8 | 11 | 18 | 39-63 | 35 |
| 18. ნიუკასლი | 37 | 7 | 13 | 17 | 40-58 | 34 |
| 19. მიდლსბრო | 37 | 7 | 11 | 19 | 27-55 | 32 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 37 | 8 | 7 | 22 | 36-67 | 31 |

ჩელსი

# სეზონის ფეხბურთელი ლემპარდია

„ჩელსის“ გულშემატკივართა შორის გამოკითხვა ჩატარდა, რომლის მიზანი იყო სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა. შედეგი აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო - გამოკითხვა **ფრენკ ლემპარდმა** მოიგო. მან შარშანდელი აგვისტოდან მოყოლებული მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა და ვერც **ნიკოლა ანელკას** ბომბარდირულმა თვისებებმა და ვერც **ეშლი კოულის** თავდადებამ ხელი ვერ შეუშალა, რომ „არისტოკრატთა“ ფანების რჩეული გამხდარიყო. ამხელა პატივი ფრენკს კარიერაში მესამედ ხვდა წილად, რაც კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგია. გამოკითხვა სამჯერ ჯერ არავის მოუგია. აღნიშნული ჯილდო ვიცე-კაპიტანს ხუთშაბათ საღამოს სპეციალურად გამართულ ლონისძიებაზე გადაეცა. მიუხედავად აღიარებისა, ფეხბურთელი იდეალურ ხასიათზე ვერ იყო. სწორედ ამ კვირაში გამოაქვეყნა პრესამ მისი ყოფილი მეუღლის **ელენის** ფოტოები, სადაც ის „სტივენეიჯ ბოროს“ მავან ფეხბურთელთან, ვინმე **ლორი ვილსონთან** ერთად არის გადაღებული. ფრენკმა გულის ტკივილი არავის აგრძნობინა და თქვა:

*„როცა ამ კლუბში მოვედი, სულაც არ ველოდი, რომ ოდესმე მისი საუკეთესო ფეხბურთელი გავხდებოდი. მაშინ ერთადერთი მიზანი მქონდა, როგორმე მომეხერხებინა და „ჩელსიში“ ფეხი მყარად მომეკიდებინა. ასეთი აღიარება და დაფასება საკუთარი გულშემატკივრისგან წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ფეხბურთელისთვის. უბრალოდ, ბედნიერი ვარ“!*

გულშემატკივრებმა წლის საუკეთესო გოლად **მიკაელ ესიენის** მიერ „ბარსელონას“ კარში გატანილი ბურთი აღიარეს. განელისთვის ეს მეორე აღიარებაა „ჩელსიში“. პირველად ეს პრიზი მან შარშან მოიპოვა „არსენალის“ კარში გატანილი გოლისთვის.

პრიზი „საუკეთესო მოთამაშისთვის ფეხბურთელთა ვერსიით“ გადაეცა ეშლი კოულს. *„შოკში ვარ. ჩემთვის ეს განსაკუთრებული პატივია. ჩემი აზრით, წელს ჩვენს გუნდში არაერთი ისეთი ფეხბურთელი შეიკრიბა, რომელიც აღნიშნულ ტიტულს ჩემზე ნაკლებად ნამდვილად არ იმსახურებდა. მეგობრებისგან ასეთი აღიარება მართლა მაგარი რამეა. მიმაჩნია, რომ სეზონის უკეთესად ჩატარებაც შემეძლო... ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე გოლის გატანა არ იქნებოდა ცუდი (პრემიერლიგაში მის ანგარიშზე ერთი გოლიც არ არის - რედ). თუმცა ვაღიარებ, რომ მართლა კარგ ფორმაში ვარ“,* - განაცხადა ეშლი კოულმა.

წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად **მაიკლ მანსიენი** დასახელდა. **ჯონ ტერის** კი „ჩელსიში“ გატარებული 10 წლის გამო „ერთგულების პრიზი“ გადაეცა. კაპიტანს ეს ჯილდო სახელგანთქმულმა გოლფისტმა, „ჩელსის“ თავგადამკვდარმა ფანმა **ჯონ მონტგომერიმ** და მისი ბავშვობის პირველმა მწვრთნელმა **ბობ ორსბორნმა** გადასცეს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**


ჩელსის ვარსკვლავები (მარცხნიდან): ეშლი კოული, ფრენკ ლემპარდი და ჯონ ტერი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიურ კომიტეტში



ნიკა გვარამია (მარცხნივ) და გია ნაცვლიშვილი

# ოლიმპიური სულისკვეთების ასამაღლებლად

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თანაორგანიზატორობით, 23 მაისიდან ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პირველად ჩატარდება ოლიმპიურ თემატიკაზე ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი, რომლის მიზანია ოლიმპიზმის განვითარება და პოპულარიზაცია მოზარდებში. კონკურსი ორ ასაკობრივ ჯგუფში მოეწყობა (12 და 18 წლამდე). ყმაწვილები ოლიმპიური სულისკვეთების გამომხატველ მოთხრობას, ლექსს, ესსეს, კომპოზიციას ან ნახატს წარმოადგენენ. პირველ ეტაპზე საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოვლინდებიან გამარჯვებულები. შემდეგ კი საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს სოკ-ი დაასახელებს.

ოლიმპიურ თემატიკაზე კონკურსთან დაკავშირებით გუშინ სეოკ-ში განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ნიკა გვარამიამ** და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** პრესკონფერენცია გამართეს.

**ნიკა გვარამია:** სახელმწიფო აქტიურად უჭერს მხარს საქართველოში სპორტის განვითარებას, რაშიც, ცხადია, მსოფლიო სპორტის პოპულარიზაციაც იგულისხმება. მივესალმებით ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივას, 23-28 მაისს მოეწყოს სასკოლო კვირეული, რომელიც ოლიმპიურ მოძრაობას მიეძღვნება. საჯარო სკოლებში, სურვილის მიხედვით, ოლიმპიური პრინციპებიდან გამომდინარე, მოსწავლეები აქტიურად ჩაებმებიან კონკურსში. ყველა ნომინაციაში პირველ-მესამე ადგილებზე გასულ ლაურეატებს პორტატული კომპიუტერებით დავაჯილდოებთ. ამგვარ პროექტებს მომავალშიც დავუჭერთ მხარს.

**გია ნაცვლიშვილი:** მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონკურსის ორგანიზებისთვის, რომელიც პირველად ტარდება ჩვენს სკოლებში. ეს იქნება არამარტო სპორტის პოპულარიზაციის, არამედ მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიზნით გაკეთებული დიდი საქმე. კონკურსის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს სამინისტროსთან ერთად სეოკ-იც დააჯილდოებს, ხოლო მეორე ეტაპზე საუკეთესო თემების ავტორებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრიზები და დიპლომები გადაეცემათ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

**მილოცვა**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს სეულის (1988) ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს ძიუდოში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, სეოკ-ის შიდა ქართლის ორგანიზაციის ხელმძღვანელს **გიორგი თენაძეს.**

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# საქა-რთველო ოსაკაში მეცამეტეა

პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა ქალთა შორის **საქა-რთველომ,** იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ასპარეზობა შეჯიბრების მეორე დღეს დაასრულა.

საქა-რთველომ ტურნირის მესამე შეხვედრა 30-ე ნომრად განთესილ რუსულ დუეტთან **ვასინა-ბოიკოსთან** გამართა და საკმაოდ რთული ბრძოლის გადატანა მოუხდა. რუსები დანებებას არაფრით აპირებდნენ, თუმცა საბოლოოდ მაინც მოუწიათ ფარ-ხმალის დაყრამ. პირველ სეტში ჩვენმა ფრენბურთელებმა 23:21 მოიგეს. მეორე წინანდელზე ბევრად დაძაბული და გრძელი გამოდგა. გამარჯვებას ამჯერადაც საქა-რთველომ მიაღწია - 28:26.

მეორე შეხვედრაში ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე ტურნირზე მე-12 ნომრად განთესილი ბელგიური წყვილი **ვან ბრეედამი-მუჰა** იყო. ბელგიელები საქა-რთველოსთვის ტრადიციულად უხერხულ მეტოქეებად ითვლებიან. სამწუხაროდ, ამჯერადაც, ისევე როგორც შარშანდელ სეზონში გამართულ ყველა ორთაბრძოლაში, გამარჯვება ბელგიურ დუეტს დარჩა - 26:24, 21:19.

საბოლოოდ ოსაკაში საქა-რთველომ მე-13 ადგილი დაიკავა და რეიტინგში 180 ქულა მიითვალა. ჩვენი ფრენბურთელები მომდევნო ეტაპზე სეულში 26 მაისიდან იასპარეზებენ. სეულის პარალელურად სტარტს აიღებს შეჯიბრება პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში, სადაც ერთმანეთს ვაჟები დაუპირისპირდებიან.

ეს ტურნირები ერთგვარი ბოლო რეპეტიცია იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც 25 ივნისს ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში დაიწყება და 5 ივლისამდე გასტანს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ადამიანი დროში

# კაკაბეთიდან იაპონიამდე

**გორის ცირკის დარბაზში 1967 წელს ერთი ჩვეულებრივი ტურნირი ტარდებოდა. ამ ქალაქში ჭიდაობის სკოლის მამამთავარი და საქართველოში ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებელი გურამ პაპიტაშვილი შეუძლოდ იყო და ასპარეზობას ვერ ესწრებოდა. ყოფილა იმ დროს ჭიდაობის ერთი ტრფიალი კაცი, პროფესიით მძღოლი იოსებ (იოსკა) გონჯილაშვილი, რომელიც არ გამოტოვებდა არც ერთ სერიოზულ შეჯიბრებას და, რა გასაკვირია, რომ იმ კონკრეტულ ტურნირსაც დაესწრო. ვიდრე ფალავნები დასკვნით შერკინებებს გამართავდნენ, გაიგო რა ბატონი გურამის არყოფნა, შინ მიაკითხა იოსკამ პაპიტაშვილს და სთხოვა, როგორმე დარბაზში წასულიყო: იქ ერთი ახოვანი ტანის, მაგარი ბიჭი ჭიდაობს და იქნებ გენახათო. გაჰყვა გონჯილაშვილს დარბაზში, ნახა და მასაც მოეწონა ჭაბუკი ფალავანი. ეს ბიჭი ნოდარ ექვთიმიშვილი იყო. ცოტა ხანში მან უკვე გორის ინსტიტუტის საქვეყნოდ ცნობილ ჭიდაობის ცენტრში დაიწყო ვარჯიში სხვა ძლიერ ფალავნებთან ერთად.**

— საოცარი ხალხი საქმიანობდა მაშინ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. დაახლოებით, თანამედროვე კლუბური სისტემის მსგავსად მიდიოდა მუშაობა და რექტორ გიორგი ხარაულისა და გურამ პაპიტაშვილის ერთობლივი ძალისხმევით, სხვა რაიონებიდანაც მოჰყავდათ ტალანტები. ბავშვობიდან ჭიდაობით „მოწამლული" ვიზრდებოდი ჩემს მშობლიურ კაკაბეთში. ვიდრე გორის ინსტიტუტში გადმოვიდოდი, თბილისში შემომთავაზეს ერთ-ერთ სასწავლებელში მოწყობა, ოღონდ ფულიც მიხსენეს. აბა, სად გვქონდა საამისო სახსარი. ჩვენს ოჯახს სეზონზე ცოტა ყურძენი მოჰყავდა და სულ ეს იყო. ამიტომაც იყვნენ გორის ინსტიტუტის ხელმძღვანელები დასაფასებელნი. მათ მე და ბევრ ჩემნაირს გვასწავლეს, დაგვაოსტატეს და ნამდვილ მოჭიდავეებად გვაქციეს, — იხსენებს ნოდარ ექვთიმიშვილი.

**— გორში ცნობილ ტალანტებთან გადმოსვლას ალბათ უყოყმანოდ დათანხმდით...**

— რასაკვირველია. აქ ხომ ჭიდაობის ერთგვარი მექა იყო! მახსოვს, თბილისში ანზორ ქიბროწაშვილი დამხვდა, რომელიც უკვე გორში სწავლობდა და ევროპის ჩემპიონიც იყო. ჩავედით გორში. ჩემთან ერთად გიორგი ხარაულს მოჭიდავეები თანდილოვი და შაქარაშვილი უნდა შეხვედროდნენ. გვირჩიეს მისალმებისას მისთვის ხელი ძლიერად ჩამოგვერთმია, რომ საკუთარი ძალა გვეჩვენებინა. ჩემამდე თანდილოვი შევიდა რექტორთან, შემდეგ მე და რომ მოვემზადე ხელის ჩამოსართმევად, ბატონი გიორგი მეუბნება: შვილო, ხელი არ მომიჭირო, თორემ იცოდეთ ყველას უკან გაგაბრუნებთო.

**— თქვენს სპორტულ კარიერას როგორ გაიხსენებთ?**

— გორში ყველა გურამ პაპიტაშვილის შეგირდები ვიყავით. მეც სხვებივით ვჭიდაობდი სამბოს, ძიუდოს, ქართულს. საოცარი სპეციალისტია ბატონი გურამი. ახლაც მიკვირს, ეს ტანმორჩილი კაცი როგორ ათვინიერებდა ამდენ და ასეთი განსხვავებული ხასიათის მქონე ფალავანებს. მოკლედ, ისეთი ხალხის გვერდით დავოსტატდი, საკავშირო ჩემპიონობა თითქმის არაფერს ნიშნავდა. საკავშირო ჩემპიონატებისა და სპარტაკიადების სხვადასხვა სინჯის მედლების მფლობელი ვარ, რაც გორის ჭიდაობის სკოლისთვის ერთი ჩვეულებრივი მიღწევა იყო. რას ვიზამთ, ყველა ხომ ვერ გავხდებოდით მსოფლიოს, ევროპისა თუ ოლიმპიური ჩემპიონები? უნდა აღვნიშნო, რომ ერთგვარი უიღბლობა მდევდა მთელი კარიერის განმავლობაში. საკავშირო სპარტაკიადებში, მაგალითად, ოთხჯერ ვიყავი ფინალისტი და იმ სპორტსმენებთან ვაგებდი, რომლებიც იქამდე და შემდეგ რამდენჯერმე დავამარცხე. რუსი სამბისტი იყო კუზნეცოვი, მას ვერავინ უგებდა, მე მოვუგე, თუმცა არა ფინალში. იგივე დამემართა ოლიმპიურ ჩემპიონ ნოვიკოვთან.

**— ბატონო ნოდარ, აქტიური კარიერის შემდეგ მწვრთნელად არცთუ დიდხანს მოგიწიათ გარჯა...**

— ორი წელიწადი ვიყავი ჩვენი ნაკრების სათავეში, დამსახურებული მწვრთნელი მაშინ გავხდი. ვარ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

**- საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა დამოუკიდებელი გუნდით ოფიციალურ შეჯიბრებაზე პირველად თქვენი მწვრთნელობისას იასპარეზა...**

— ეს 1991 წელს იყო იტალიაში. უცხოელები ცოტას კი ჭირვეულობდნენ, მაგრამ მაინც ჩვენი გავიტანეთ. სხვათა შორის, მაშინ სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, „ლელოს" მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძეც გვახლდა იტალიაში. იმ დროს სამბოს მსოფლიო ფედერაციაში განხეთქილება იყო და ორი სხვადასხვა ფედერაცია არსებობდა. ტრაბახში არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, რომ იმ განხეთქილების აღმოსაფხვრელად დიდი წვლილი მეც შევიტანე. შევკრიბეთ ორივე ორგანიზაციის თავკაცები და გავაერთიანეთ. მერე სამბოს მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს. არც ერთ ქართველს მსგავსი თანამდებობა მსოფლიოს არც ერთ ფედერაციაში არ ჰქონია. ჩემი განსაკუთრებული მონდომებით შევძელით 1997 წელს თბილისში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება. ესეც უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

**— იმ დროის საქართველოში ასეთი სპორტული ღონისძიების გამართვა ალბათ იოლი ვერ იქნებოდა.**

— მაშინ უშუქობა, უწყლობა და ათასგვარი პრობლემა გვაწუხებდა ქართველებს. მიუხედავად ამისა, მაინც შევძელით და ეს დიდი ასპარეზობა ნორმალურად ჩატარდა. ჩემპიონატის შემდეგ ღირსების ორდენიც გადმომცეს.

**— ვიცით, რომ კარგი ურთიერთობა გაქვთ იაპონურ "რინგსთან." როგორ გაიბა კავშირი თქვენს შორის?**

— თავდაპირველად, იაპონელები საქართველოში ანტონიო ინოკისა და შოთა ჩოჩიშვილის ბრძოლის თაობაზე ჩამოვიდნენ ჯერ მოსკოვში, მერე თბილისსა და გორში. მოგეხსენებათ, ქართველთა ხასიათი — გადავიპატიჟეთ ბიჭებმა. ინოკი ჩემს სახლშიც მყავდა. გამაოცა იაპონელმა კახელი კაცი — იმდენ სასმელს სვამდა. შემდეგ საქმიანი ურთიერთობებისას დავუახლოვდი "რინგსის" პრეზიდენტს ტომაჰუკი ჰარიმაის. ცოტა ხანში ქართველი გოლიათებიც წავიყვანე საასპარეზოდ იაპონიაში. დასაწყისში ძმები ტყეშელაშვილები და ლევან ებანოიძე, შემდეგ ძმები ბიწაძეები. ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ხახალეიშვილმაც არაერთი ბრძოლა გამართა „რინგსის" წესებით. ერთხელ გუნდური პირველობაც მოვიპოვეთ. ჩვენს საამაყო მოკრივეს გიორგი კანდელაკს იაპონიაში 30-მდე ორთაბრძოლა აქვს ჩატარებული.

**— თუმცა, როგორც გვახსოვს, კანდელაკი ბოლოს მაინც არ დარჩა იაპონიაში...**

— ერთი თვე იქ ცხოვრობდა, როდესაც ზურაბ სარსანია ჩავიყვანე ტოკიოში, იმ დროს ჩამოვიდა დონ კინგი და საკმაოდ სარფიან კონტრაქტს გვთავაზობდნენ. გიორგის კალამი ხელში ეჭირა და ხელი უნდა მოეწერა, მაგრამ გამომიცხადა: არ მოვაწერ, ძია ნოდარ, სოფელში წასვლა მირჩევნიაო. ვერაფრით დავითანხმეთ. ზოგი ამას კურიოზად თვლიდა, მე კი ვფიქრობ, დიდი შეცდომა იყო. მით უფრო, რომ პირის გატეხისთვის სოლიდური თანხითაც დაგვაჯარიმეს. ამას ვინ ჩიოდა, კიდევ კარგი, დონ კინგს მშვიდად გავეცალეთ. რა გვექნა, გამოუცდელები ვიყავით, ბევრი რამ არ გვენახა დუნიაზე. ერთხელ მე და გიორგი სასტუმროში რომ შევდიოდით ის ჩანთამოკიდებული იყო, შესთავაზეს ჩანთის გამორთმევა, გიორგი კი გაჯიუტდა: ძია ნოდარ ჩანთა უნდათ, მაგრამ არ მივცემო. რომ ავუხსენი, მიეცი გიო და ნომერში ამოგიტანენ-მეთქი — დაწყნარდა.



ნოდარ ექვთიმიშვილი (მარჯვნივ) და „რინგსის" რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პაგოდინი

**— კანდელაკის პროფესიულ რინგზე გადასვლაც თქვენი დახმარებით მოხდა?**

— დავუკავშირდი ლენოქს ლუისის გუნდს და შემდეგ გიორგიც წავიყვანეთ ბრიტანეთში. დამეთანხმებით, რომ ეს მისი წარმატებული კარიერის მორიგი ეტაპი გამოდგა. ერთხელ ლონდონის პარკშიც გადაგვხდა კურიოზი: გიორგის დაბადების დღე იყო და გადავწყვიტეთ, იქვე მწვადები შეგვეწვა. ცეცხლი რომ დავანთეთ, რამდენიმე ადამიანმა კი მიგვანიშნა რაღაც, მაგრამ არ მივაქციეთ ყურადღება, მერე კვამლის გამო თავზე ვერტმფრენი რომ დაგვადგა, მივხვდით საქმე ვერ იყო კარგად...

**— ამჟამად თუ თანამშრომლობთ, ბატონო ნოდარ, „რინგსთან"?**

— დღესდღეობით კვალავაც ვარ ამ ორგანიზაციის წევრი და მისი ხელმძღვანელი საქართველოში, მაგრამ ძველებური ინტენსივობით აღარ მიგვყავს სპორტსმენები იაპონიაში საბრძოლველად. მოკლედ, ძველებური შემართებით კი ვმუშაობ, მაგრამ ახლა ჩემი ყველაზე დიდი საინტერესო საქმიანობა შვილიშვილებთან ურთიერთობა და მათი აღზრდაა.

**ვასილ ბალახაძე**

**მილოცვა**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან საიუბილეო 60 წელს ულოცავს ვეტერან სამბისტს და მწვრთნელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების ორდენის კავალერს **ნოდარ ექვთიმიშვილს.**

ჩოგბურთი

# აზერბაიჯანელებს სწორება ქართველებზე აქვთ



მარცხნიდან: ლეილა მესხი, მეჰრიბან ალიევა, ილჰამ ალიევი, შამილ ტარპიშჩევი და ოქტია ასადოვი

რამდენიმე დღის წინათ ბაქოში შესანიშნავი საჩოგბურთო კომპლექსი გაიხსნა, რომლის პრეზენტაციაზე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხიც** იყო მიწვეული. აზერბაიჯანელების მხრიდან ასეთი ყურადღება მოულოდნელი და უცნაური არ ყოფილა, რადგანაც საჩოგბურთო კონსულტაციებს, წლებია, იღებენ ქართველთაგან და ისე ჩანს, ჩვენებურ სპეციალისტთა დახმარებითაც აპირებენ საკმაოდ ამბიციური გეგმის განხორციელებას. თუ რა აქვთ ჩაფიქრებული და რისი მიღწევა უნდათ ჩვენს სამხრეთაღმოსავლელ მეზობლებს, ქართველებისგან როგორ დახმარებას ელიან, ამაზე ქალბატონი ლეილა მესხი მოგვახსენებს.

- ბაქოში მართლაც მსოფლიო დონის საჩოგბურთო კომპლექსი გაშენდა-სატრენაჟორო დარბაზებით, აუზებით, სასტუმროთი; შვიდი ღია და ხუთი დახურული კორტით. კომპლექსი 15 მილიონი დოლარი დაჯდა. აზერბაიჯანის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ქვეყნის მილიმეჯლისის სპიკერი **ოქტია ასადოვია**. ამიტომ დიდი იყო სახელმწიფოსგან მხარდაჭერა. გახსნის ცერემონიალზე აზერბაიჯანის პრეზიდენტი **ილჰამ ალიევი** მეუღლესთან ერთად მობრძანდა. მე მათთან ურთიერთობაც მქონდა და პირადად გამესაუბრნენ კიდეც. მათ საკმაოდ ზუსტი და კარგი წარმოდგენა აქვთ ქართულ ჩოგბურთზე და სურთ, რომ აზერბაიჯანული ჩოგბურთის განვითარებაში დავეხმაროთ. ამ მიზნით ჩვენმა მეზობლებმა ჯერ კიდევ სამი წლის წინათ მიმიწვიეს ბაქოში. მთავარი პრიორიტეტი ბავშვთა ჩოგბურთია, რადგანაც თუ საფუძველი არ ჩაიყარა, ისე შედეგი არ მოვა. მათ ეს კარგად ესმით.

ურთიერთობის სამწლიან ვადაში კარგად გაერკვნენ საერთაშორისო საჩოგბურთო ცხოვრებაში. შეგნებული აქვთ, რომ ჯერ მცირედით უნდა დაიწყონ და უფრო მეტისკენ ნელ-ნელა იარონ. როგორც იცით, საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირს ვატარებთ. იმავე მასშტაბის ტურნირების გამართვა სურთ აზერბაიჯანელებსაც. შევთავაზე და ვურჩიე, რომ ჩვენი და მათი ტურნირები ერთმანეთთან შეგვეჯერებინა, ანუ ერთ ვადებში, მიყოლებით ჩაგვეტარებინა. ეს ორივე მხარისთვის მომგებიანია და ჩოგბურთელებსაც აძლევს ხელს. ცხადია, შევთანხმდით. წლეულს ეს ვერ მოხერხდება, მაგრამ გაისიდან პრობლემა აღარ იქნება.

**- პრეზენტაციაზე სხვა გამოჩენილი საჩოგბურთო მოღვაწეებიც თუ იყვნენ მიწვეულები?**

- ძალიან გამიკვირდა, მაგრამ ცნობილი რუსი საჩოგბურთო მოხელე შამილ ტარპიშჩევიც მოუწვევიათ. ბატონ შამილთან დიდი ხნის და ახლო ურთიერთობა მაკავშირებს; გულიანადაც მოვიკითხეთ ერთმანეთი. მას ძალიან აინტერესებს ქართულ ჩოგბურთში მიმდინარე პროცესები და სურს, გვესტუმროს. არ ვიცი, ეს როდის და როგორ მოხერხდება, მაგრამ მთავარია, კონტაქტებს ვინარჩუნებთ, რაც მომავალში აუცილებლად გამოგვადგება. მოგეხსენებათ, რუსული ჩოგბურთი დღეისთვის ძალიან მაღალ დონეზეა. აზერბაიჯანელებს მომავლის ორიენტირი რუსების დონეზე აქვთ აღებული, მაგრამ საღად უყურებენ თავიანთ მდგომარეობას და აღნიშნავენ - იქამდე ძალიან შორი გზა გვიდევსო...

**- შინაურზეც გკითხავთ: არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოში საერთაშორისო ტურნირების ჩატარება ეჭვის ქვეშ ხომ არ დგას?**

- გარკვეული შეშფოთება მართლაც არსებობს და არაა გამორიცხული, რომ მავანმა თავი შეიკავოს საქართველოში გამომგზავრებაზე, თუმცა ჯერჯერობით საპანიკოდ საქმე არ გვაქვს და ჩვენ მიერ დაგეგმილ ტურნირებს საფრთხე არ ემუქრება. ზაფხულში, სპონსორების „კოკა-კოლას", „ბორჯომის", „ავსტრიის ავიახაზების" და „ჯეოსელის" თანადგომით ტრადიციულ ტურნირებს ჩავატარებთ როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიონალთა შორის.

**ზვიად შათირიშვილი**

# წვიმამ თუ არ გადაიღო...

გუშინდელი დღე **ლეილა მესხის** საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე საკმაოდ დატვირთული და საინტერესოც იყო, მაგრამ უამინდობამ მიმდინარეობა გვარიანად შეაფერხა. კიდევ კარგი, რომ წვიმამ საღამოს პირს დაუშვა, თორემ საკმაოდ ბევრი მატჩი გადაიდებოდა, რაც ტურნირის დათქმულ ვადებში ჩამთავრებას ხელს შეუშლიდა. არადა, თუ კვირას არ მოხერხდა ფინიშის სწორზე გასვლა, ორშაბათიდან საქართველოს ჩემპიონატის დაწყებაც შეფერხდება. თუ სინოპტიკოსებს ვენდობით, დღეს და ხვალ მთლად სახარბიელოდ არ გვაქვს ამ მხრივ საქმე - უქმე დღეები ნალექიანი იქნებაო, გვამცნეს. იმედია, ისე არ განირავს ამინდი ახალგაზრდა ჩოგბურთელებს, რომ კორტზე გასვლა ვერ შეძლონ.

რაც შეეხება გუშინდელ დღეს, ძირითადი ყურადღება ლიდერებისკენ იყო მიპყრობილი, - მთავარი კორტები მათ დაეკავებინათ, სადაც ძირითადად ფინალში გასასვლელად იბრძოდნენ. მოგეხსენებათ, რომ ტურნირი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში იმართება. ცხადია, ყველა შეხვედრას კომენტარს ვერ გაუკეთებთ, მაგრამ მცირე ინფორმაციის მოწოდებას არ დაგზარდებით. ათწლამდელი გოგონებით დავიწყებთ, სადაც ფინალში რუსთაველი **ნინო მემედიში** და თბილისელი **ლანა კენჭიაშვილი** შეხვდებიან. ნინომ ნახევარფინალში **ანა კარაპეტიანი** დაამარცხა იოლად - 6:0; 6:1, ხოლო კენჭიაშვილმა **ნატალია სიმონიშვილს** აჯობა - 6:1; 6:3. მემედიში განთესვით პირველია, კენჭიაშვილი კი - მეორე და მათი ფინალში ხილვა ლოგიკურია. აი, სულ სხვა საქმეა ამ ასაკის ვაჟთა შორის შექმნილი ვითარება: ფინალში ქუთაისელი **გუგა თავაძე** ითამაშებს, რომელიც პირველად ასპარეზობს მსგავსი მასშტაბის ტურნირზე და განთესილიც არ იყო. შევნიშნავთ, რომ ამ ტურნირზე პირველი რვა ჩოგბურთელი განითესება. გუგამ ჯერ მეექვსე ნომერი **ნიკა პეტრიაშვილი** დაამარცხა, შემდეგ მეოთხე ნომერი **ლუკა ხანგოშვილი** და ბოლოს, გუშინ, ნახევარფინალურ შეხვედრაში უმთავრეს ფავორიტს, პირველ ნომრად განთესილ **ზურა ტყემალაძეს** დაახრევინა ჩოგანი. მართალია, ბოლო გამარჯვება ძნელად მოვიდა, მაგრამ მთავარია, რომ ქუთაისელმა ყმაწვილმა მთავარი სენსაცია მოახდინა - 5:7; 6:2; 10:6. ეს გამარჯვება იმადაც არის აღსანიშნავი, რომ აქამდე პირველ როლებში მხოლოდ დედაქალაქელი სპორტსმენები იყვნენ. ამის შემდეგ კი რეგიონელებსაც მიეცემათ სტიმული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქუთაისში საჩოგბურთო ინფრასტრუქტურა თითქმის საერთოდ არ არსებობს - მხოლოდ ერთი და ისიც ასფალტის(?!) საფარიანი კორტი ფუნქციონირებს სპორტსკოლის ეზოში. აქედან გამომდინარე, მით უფრო გასაკვირია გუგა თავაძის წარმატება. ფინალში მას მესამე ნომრად განთესილი თბილისელი **ნიკა კოხრეიძე** დაუპირისპირდება და ალბათ ძალიან რთულად პროგნოზირებადი შეხვედრა შედგება. ფსიქოლოგიური უპირატესობა რომ თავაძის მხარესაა, თქმა არ უნდა...

12-წლიან გოგონებში ნახევარფინალისტები არიან ცნობილი - მხოლოდ ერთმა განუთესავმა - **ხატია ქურხულმა** დაარღვია ლიდერთა სიმშვიდე და ვნახოთ, გააგრძელებს თუ არა წარმატებულ სვლას. ვაჟებში ფინალისტებია ცნობილი და აქ სრული „კანონზომიერება" სუფევს - პირველი ნომერი **ალექსანდრე ბაკში** მეორე ნომერ **გიორგი დათაშვილს** შეეცილება პირველობას.

14-წლამდელ გოგონებში ერთ-ერთი ფინალისტი პირველი ნომერი **თამარ ჭალაგანიძეა**. მას ფინალში მეექვსე ნომრად განთესილი **ირინა ყარანგოზიშვილი** დაუპირისპირდება. ვაჟებში ფინალურ წყვილს პირველი ნომერი **ალექსანდრე დავლიანიძე** და მეოთხე ნომერი **მიხეილ ხმიადაშვილი** შეადგენენ. დავლიანიძეს არანაირი პრობლემა არ ჰქონდა ფინალამდე, ხმიადაშვილმა კი მეორე ნომერი **გიორგი ჯავახიშვილი** ჩამოიცილა გზიდან საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში - 7:5; 6:2 იმარჯვა.

წვიმამ 16-წლიანების მეორე ფინალისტთა გამოვლენა შეაფერხა. გასულთაგან **სალომე კვიტაშვილმა**, ვინც რეიტინგფავორიტია, იოლად სძლია მეოთხე ნომერ **ანი გოგვაძეს** - 6:2; 6:1. მეორე ნახევარფინალში კი **ბარბარე ერისთავი**(3) და **ქეთი მებუკე** იბრძვიან(6). ვაჟებში პირველ ნომრად განთესილმა დავით ხუციშვილმა მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება, რომელმაც გუშინ **დანიილ კვაჩი** დაამარცხა - 6:1; 6:2. მისი მეტოქე **გიორგი იორდანიდისა** და **ნიკა ციციშვილის** ორთაბრძოლაში გამოვლინდება.

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი

შვიდკაცა. მსოფლიო სერია

# ლონდონში სამი დებიუტანტით



ალექსანდრე ტუჩაშვილი

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები, დღეს მსოფლიოს სერიის ლონდონურ ეტაპზე, ჯგუფური ტურნირის შეხვედრებს გამართავს. B ჯგუფში ჩვენი გუნდის მეტოქეები ინგლისის, სამოასა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები იქნებიან.

ერთი კვირის წინათ, პოლონეთში გამართული ევროპის სერიის მორიგი ეტაპის შემდეგ, საქართველოს ნაკრების შემადგენლობა მნიშვნელოვნად გახალისდა. გუნდში სამი დებიუტანტია - "ყოჩების" გარემარბი **გიორგი კალმახელიძე**, „აიას" მესამეხაზელი **თეიმურაზ ჩიქვინიძე** და ბათუმი XV-ის შუამარბი **მამუკა ნინიძე.**

ლონდონიდან ერთი კვირის თავზე შვიდკაცა ბორჯღალოსნები შოტლანდიის ქალაქ ედინბურგში გადაინაცვლებენ, სადაც ჯგუფში კიდევ უფრო სერიოზული მეტოქეები ეყოლებათ - არგენტინის, უელსისა და სამოას გუნდები.

**საქართველოს ნაკრები**

**ვიქტორ კოლელიშვილი, ირაკლი ყიასაშვილი** (ორივე ლელო), **თეიმურაზ ჩიქვინიძე** (აია), **დავით ჩიტიძე, ვახტანგ ბერძენიშვილი, ალექსანდრე ტუჩაშვილი** (ყველა ლოკომოტივი), **გიორგი ბეგაძე, ირაკლი გეგენავა, გიორგი კალმახელიძე, ალექსანდრე ნიყარაძე** (ყველა ყოჩები), **გიორგი შკინინი** (ხულიგანა), **მამუკა ნინიძე** (ბათუმი XV).

**ლონდონის ეტაპი**

**23 მაისი**

სამოა-საქართველო

ინგლისი-საქართველო

საფრანგეთი-საქართველო

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

**ჭაბუკთა A ლიგა**

**აღმოსავლეთი. IV ტური**

აკადემია (თბ) - ლელო (თბ) 26:29, ჯიქები (თბ) - ყოჩები (თბ) 17:22, ივერია (თბ) - ხარები (რუს) 17:13, შევარდენი (თბ) - მუტრუკები (თელ) 102:0

სატურნირო მდგომარეობა: 1. ლელო - 10 ქულა, 2. აკადემია - 6, 3. ივერია - 6, 4. შევარდენი - 4, 5. არმაზი - 4, 6. ყოჩები - 4, 7. ჯიქები - 4, 8. ბორჯომი - 0, 9. ხარები - 0, 10. მუტრუკები - 0.

**ჭაბუკთა B ლიგა**

**აღმოსავლეთი. IV ტური**

ჯიქები (თბ) - რაინდები (თბ) 52:0, უნივერსიტეტი (თბ) - ხულიგანა (თბ) 52:5, არმაზი (თბ) - მუტრუკები (თელ) 71:0, ლელო (თბ) - შევარდენი (თბ) 28:3, აკადემია (თბ) - ყოჩები (თბ) 43:3, ხარები (რუს) - ივერია (თბ) 18:12.

სატურნირო მდგომარეობა: 1. აკადემია - 8 ქულა, 2. ჯიქები - 8, 3. უნივერსიტეტი - 8, 4. არმაზი - 6, 5. ლელო - 6, 6. შევარდენი - 6, 7. ყოჩები - 4, 8. ხარები - 8, 9. რაინდები - 0, 10. ივერია - 0, 11. ხულიგანა - 0, 12. მუტრუკები - 0.

ცურვა



თემურ კვესაძე შეგირდებს წარმატებას ულოცავს

# კვარცხლბეკზე ჭორვილელებიც

დიდი და ლამაზი სოფელია ჭორვილა საჩხერის რაიონში. აქაურ საჯარო სკოლაში 325 ბავშვი სწავლობს. სწორედ მათთვის ცნობილი ბიზნესმენის **ბიძინა ივანიშვილის** საქველმოქმედო ფონდის დაფინანსებით 2004 წელს 25-მეტრიანი დახურული საცურაო აუზი გაიხსნა. დღეისთვის ჭორვილაში მწვრთნელ-პედაგოგის, საქართველოს მრავალგზის პრიზიორის **თემურ კვესაძისა** და მისი მეუღლის — **ლელა კაპანაძის** ხელმძღვანელობით 200-მდე მოზარდი ვარჯიშობს ცისფერ ბილიკებზე. წარმატებებსაც აღწევენ. მაგალითად, წლეულს ეროვნულ ჩემპიონატზე 18 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამ დღეებში ისინი საწყლოსნო სახეობათა სპორტულ ცენტრ „ტონუსში" თბილისის მერიის თასის ღია გათამაშებაზე გამოდიან და უკვე ოთხი ჯილდო დაიმსახურეს: **თამარ გამგებელმა** ორი მეორე ადგილი დაიკავა. ხოლო **მარიამ ზუბიაშვილი** და **ლევან გამგებელი** მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

აქვე გაუწყებთ გუშინ გამართული ორთაბრძოლების შედეგებს:

■ ■ ■

50 მ. ბატერფლაი. გოგონები. 1. ელენა პაშუტინა (32,27, ბაქო), 2. მაია ხრიკული (36,18, „ლაგუნა ვერე"), 3. სოფიო ცინცაძე (36,30, ბათუმი). ვაჟები. 1. თემურ გულიევი (25,47, ბაქო), 2. გიორგი მთვრალაშვილი (26,44, „ტონუსი"), 3. გიორგი ბუხრიკიძე (27,50, გორი). 50 მ. ბრასი. გოგონები. 1. ეკა კაჭახიძე (36,76, „ლაგუნა ვერე"), 2. თამარ გამგებელი (42,60, საჩხერე), 3. სოფიო მაისურაძე (44,98, „ლაგუნა ვერე"). ვაჟები. 1. თემურ გულიევი (30,03, ბაქო), 2. ბესო მდივანი (30,61, „ტონუსი"), 3. ირაკლი შენგელია (31,72, „ტონუსი"). 100 მ. ბრასი. გოგონები. 1. ეკა კაჭახიძე (1.20,58, „ლაგუნა ვერე"), 2. თამარ გამგებელი (1.33,25, საჩხერე), 3. მარი ზუბიაშვილი (1.38,0, საჩხერე). ვაჟები. 1. ბესო მდივანი (1.07,12, „ტონუსი"), 2. ირაკლი შენგელია (1.10,50, „ტონუსი"), 3. აჩიკო შეყილაძე (1.12,64, „ლაგუნა ვერე"). 100 მ. გულაღმა ცურვა. გოგონები. 1. ელენა პაშუტინა (1.14,33, ბაქო), 2. სოფიო დეკანოსიძე (1.17,68, „ტონუსი"), 3. ანა ლომინაძე (1.19,9, „ლაგუნა ვერე"). ვაჟები. 1. გიორგი მთვრალაშვილი (1.00,48, „ტონუსი"), 2. თორნიკე სხილაძე (1.04,05, „ლაგუნა ვერე"), 3. ბექა დეკანოსიძე (1.04,7 „ტონუსი"). 200 მ. თავისუფალი ყაიდა. გოგონები. 1. ნასტია გრივაჩი (2.28,01, „ლაგუნა ვერე"), 2. ანა ბერიშვილი (2.50,32. ასკ), 3. ანანო კაკალაშვილი (2.56,91, „ლაგუნა ვერე"). ვაჟები. 1. ირაკლი რევიშვილი (1.55,08, „ტონუსი"), 2. თემურ კობახიძე (2.12,51, „ლაგუნა ვერე"), 3. დავით ბარდაველიძე (2.13,59, „ლაგუნა ვერე"). 4X100 თავისუფალი ყაიდა. ესტაფეტა. გოგონები. 1. „ლაგუნა ვერე I" — 4.41,9, 2. „ლაგუნა ვერე II" — 5.29,13. 3. „ტონუსი" — 5.40,68. ვაჟები. 1. „ტონუსი I" — 3.44,84, 2. ბაქო — 3.47,5, 3. „ტონუსი II" — 3.54,3.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

კალათბურთი ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი. პრესკონფერენცია

# ავიამშენი და ენერჯი ფინიშის სწორზე



24 მაისს მიმდინარე სეზონი სუპერთასის მატჩით დაიხურება. ერთმანეთს "ენერჯი" და "ავიამშენი" დაუპირისპირდებიან. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გუშინ ტოტალიზატორ "აჭარაბეთში" პრესკონფერენცია გაიმართა.

მომავალი შეხვედრის შესახებ "ენერჯის" თავკაცმა, **დავით უსტიაშვილმა** ფრთხილად ისაუბრა:

- მიმდინარე სეზონში ოთხი თასი მოვიგეთ და ძალიან გვინდა მეხუთეც მივამატოთ. ბიჭებსაც კარგად ესმით, რომ კვირას სერიოზული მატჩი ელით და მაქსიმალურად მობილიზებით ხვდებიან. ჩემპიონატის ფინალის მოგების შემდეგ ვარჯიში ჩვეულად განვაახლეთ და მიმაჩნია, რომ გუნდი სუპერთასის მატჩს მომზადებული ხვდება. რაც შეეხება მეტოქეს, უნდა აღვნიშნო, რომ "ავიამშენი" სერიოზული გუნდია, რომელმაც მიმდინარე სეზონში ვერაფრის მოგება მოახერხა და კვირას ერთიორად მონდომებული იქნება. ვფიქრობ, საინტერესო თამაში გამოგვივა.

პრესკონფერენციაზე "ავიამშენი" გუნდის უფროსმა **ლევან ჭალისურმა** წარმოადგინა:

- ჩვენს გუნდში ყველა ჯანმრთელადაა, ვემზადებით სეზონის ბოლო მატჩისთვის. განწყობა საბრძოლოა, გვინდა სუპერთასი ჩვენ დაგვრჩეს, რა გამოვა, ამას კვირას ვნახავთ. "ენერჯი" ძლიერი მოწინააღმდეგეა, რომელმაც ყველა ტიტული მოიგო და სუპერთასიც სურს. ვეცდებით, ეს თასი თბილისში დავატოვებინოთ. მინდა აქვე დანანებით აღვნიშნო: ფინალში "ავიამშენს" უნდა ეთამაშა... "ენერჯის" წინააღმდეგ...

"ენერჯის" კაპიტან **კოტე ტულუშს** ვკითხეთ, ჩემპიონატის მოგების შემდეგ რამდენად მოახერხა გუნდმა სუპერთასისთვის კონცენტრირება.

- სეზონის დასაწყისში ვიცოდით, რომ ხუთი ტიტულისთვის მოგვიწევდა ბრძოლა. ამიტომ ხუთივესთვის თავიდანვე სათანადოდ განვეწყვეთ და მიგვაჩნია, რომ საქართველოს ჩემპიონობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია სუპერთასის დაუფლება. საქართველოში ყველა ტიტული მხოლოდ სტუ-ს აქვს მოგებული, მაგრამ მაშინ სამი თასი თამაშდებოდა. წლეულს ჩვენ ოთხი ჯილდო მოვიპოვეთ და თუ მეხუთესაც მივამატებთ, სტუ-ს შედეგს გავაუმჯობესებთ. ამ სეზონში სერიოზული მატჩებით განებივრებულნი არ ვართ, ამიტომ "ავიამშენთან" სათამაშოდ ფსიქოლოგიურად საკმარისად ვართ მომზადებულნი. კვირას საინტერესო ბრძოლას ველით. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ "ავიამშენს" წლეულს ერთი ტიტულიც არ მოუგია, რაც მისთვის არადამახასიათებელია. თან, ისიც უნდა დავძინო, რომ "ავიატორებს" ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ. მათი ლიდერია ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელსაც კარგად შეუძლია გუნდის აყოლიება. ჩვენ კი ვეცდებით, სეზონი წარმატებით დავხუროთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერები

# ქართველთა მორიგი გამონათება

## კალევმა სანიკიძისა და ცინცაძის დაკრულზე არ იცეკვა



ვიქტორ სანიკიძე



გიორგი ცინცაძე

ესტონეთის ჩემპიონმა "ტარტუ როკმა" ფინალურ სერიაში საქმე გაირთულა – სტუმრად გამართული პირველი მატჩი 70:75 დათმო და "კალევს" 2:1 დაწინაურების უფლება მისცა.

სერიის მესამე შეხვედრაც წინამორბედთა მსგავსად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. გუნდები ინიციატივას მეოთხედების მიხედვით ცვლიდნენ: პირველი ათწუთეული "როკმა" მოიგო (24:19), მეორე – "კალევმა" (21:15), მესამე ისევ "როკმა" (19:11), მეოთხეში კვლავ მასპინძლებმა იყოჩაღეს (24:12). მატჩი ხუთი პერიოდისგან რომ შედგებოდეს, "ტარტუ" გამარჯვებას ნამდვილად არ დათმობდა, მაგრამ, როგორც გითხარით, საფინალო სირენამ "კალევის" ხუთქულიანი გამარჯვება დააფიქსირა – 75:70.

წაგებაში მწვრთნელს შეუძლია ყველა კალათბურთელი დაადანაშაულოს, ქართველების გარდა. **ვიქტორ სანიკიძემ** და **გიორგი ცინცაძემ** შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთეს. მეტსაც გეტყვით, "ტარტუ როკის" ქულათა ნახევარი სწორედ ქართველებზე მოდის.

ცინცაძემ 37 წუთში 16 ქულა (9-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 7-დან 5 საჯარიმო), 7 მოხსნა, 6 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

სანიკიძე სულაც მატჩის სნაიპერი გახდა: 32 წუთი, 19 ქულა (8-დან 5 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 9-დან 6 საჯარიმო) და 7 მოხსნა გაიფორმა. ორივე ჩვენიანი სასტარტო შემადგენლობაში იყო. წაგების ერთ-ერთ მიზეზად გიორგი ცინცაძემ ამერიკელი **ტანოკა ბერდის** არყოფნა დაასახელა: *"ტანოკა საგრძნობლად დაგვაკლდა. ბოლო წუთებზე მისი გამოცდილება ძალიან გვჭირდებოდა..."*

ბერდი მატჩის დღეს ამერიკაში გაფრინდა. დედამისს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა და კლუბის ხელმძღვანელობამ ტანოკა ბერდი არ შეაკავა. ტარტუელები ვარაუდობენ, რომ ამერიკელი ფორვარდი ესტონეთში მეოთხე მატჩამდე დაბრუნდება.

მეოთხე ფინალი 25 მაისს კვლავ ტალინში გაიმართება. მეხუთეს 29 მაისს ტარტუ უმასპინძლებს. "როკი" "კალევს" 1:2 კი ჩამორჩა, მაგრამ ჩემპიონობა დაკარგულად ჯერ არ შეიძლება ჩაითვალოს. სერია ოთხ მოგებამდეა.

ვაჟა სიმონიშვილი






### მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ცნობილ ვეტერან კალათბურთელს და მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ლევან მოსეშვილს.

სამბო ინტერვიუ სოსო ახალბედაშვილთან

# ხანმოკლე კარიერა ბევრი მედლით

## იმდენი შევძელით, რომ დღეს ძალიან გვეამაყება



**ტიტულოვანი სამბისტი სოსო ახალბედაშვილი იმ სპორტსმენთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ტალანტის სრულად გამოსავლენად დრო არ ეყოთ და 90-იან წლებში, მიზეზთა გამო, ნაადრევად დაასრულეს სპორტული კარიერა. სოსო ახალბედაშვილი ჯერ კიდევ 25 წლის ასაკში იძულებული გახდა საჭიდაო ხალიჩა მიეტოვებინა. თუმცა ასეთ მოკლე ხანშიც იმდენ ჯილდოს მოუყარა თავი, ბევრ უფრო სტაჟიანს რომ შეშურდებოდა: მსოფლიოს ჩემპიონი (1997) და ორგზის მესამე პრიზიორი (1994, 98); ევროპის ჩემპიონი (1998) და სამგზის (1995, 97, 99) მესამე პრიზიორი. უამრავი წარმატება სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე, საქართველოს პირველობებზე და ა. შ. ასეთია სოსო ახალბედაშვილის მონაგარი. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც იგი საუბრობს 90-იანი წლების ქართულ სპორტში არსებულ ვითარებაზე, საკუთარ წარმატებებსა და მკითხველისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.**

— მართალია სამბო არ არის ოლიმპიური სახეობა, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ძიუდოს რამით ჩამოუვარდება. არანაკლები ძალა და იმპროვიზაცია სჭირდება ფალავანს. მაგალითად, ძიუდოსგან განსხვავებით, წმინდა გდება ძალიან ძვირფასია იმიტომაც, რომ იშვიათად ფიქსირდება. ამასთან, სამბოში, როცა წმინდა გდებას ასრულებ, ხალიჩაზე საყრდენი წერტილი არ უნდა გქონდეს. ეს კი, ცხადია, არაა იოლი. ბევრ სამბისტს ისე დაუსრულებია კარიერა, რომ წმინდა გამარჯვება ერთხელაც არ მოუპოვებია. მე, მაგალითად, მიუხედავად ბევრი ტიტულისა, კარიერის განმავლობაში წმინდად მხოლოდ ორჯერ მოვიგე და, სხვათა შორის, ორჯერვე კსტოვოში. რუსეთის ეს ქალაქი სამბოს უმთავრესი ცენტრია, სადაც მსოფლიოს თასი ყოველწლიურად იმართება.

**— სამბო და ძიუდო სტილით ერთმანეთთან ახლოსაა. ძიუდო არ გიჭიდავია?**

— თავდაპირველად ძიუდოზე ვვარჯიშობდი გივი ზაუტაშვილთან, შემდეგ მიხეილ ქისიშვილთან. მამაჩემი კი, შეიძლება ითქვას, მთელი კარიერის განმავლობაში იყო ჩემი მწვრთნელი. მამა ადრე ჭიდაობდა გურამ პაპიტაშვილის ხელმძღვანელობით. სწორედ მამის სურვილით გავხდი მოჭიდავე და ყოველ ნაბიჯს სარბიელსა თუ მის მიღმა სწორედ ის მიკონტროლებდა. ძიუდოში ასპარეზობა ფაქტობრივად 14-15 წლისამ დავასრულე, თუმცა უმცროს ასაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და პრიზიორობა მაინც მოვასწარი. 1991 წლიდან გადავედი სამბოში. მაშინ, დაახლოებით სამი წლის განმავლობაში, საქართველოში ძიუდოზე მეტად პოპულარულად სამბო მიიჩნეოდა, უფრო შთამბეჭდავი წარმატებით ამ სახეობის ფალავნები გამოდიოდნენ არენაზე და მეც ამან მიმაღებინა გადაწყვეტილება.

**— კარიერის პირველ შთამბეჭდავ წარმატებას თუ გაიხსენებ?**

— პირველ შთამბეჭდავ გამარჯვებამდე პირველი დასამახსოვრებელი მარცხი ჩამრჩა გონებაში, როდესაც 1989 წელს ერთ-ერთ ტურნირზე ორთაბრძოლისას გერმანელმა სპორტსმენმა ცერი გამომცხო და ისე წამაქცია, დღემდე მწარედ მახსოვს. პირველი დასამახსოვრებელი წარმატება კი ჭაბუკთა პირველობაზე მოვიპოვე ბელარუსში, სადაც მწვრთნელთა საყოველთაო შეფასებით ბრწყინვალედ ვიასპარეზე და ერთი ნაბიჯი დამაკლდა ოქროს მედლამდე.

**— ვიდრე ქვეყნის პირველ ნაკრებში გადახვიდოდი, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებშიც გიწევდა ასპარეზობა?**

— ჭაბუკთა ნაკრებში მოპოვებული წარმატებების მერე, ახალგაზრდულში 1991 წელს უფრო დიდი გამარჯვებაც მეწვია — ლიტვაში ევროპის ჩემპიონი გავხდი. სხვათა შორის, ადვილი შესაძლებელი იყო, ეს ტიტული არც მქონოდა, რადგან იმ დროს ფედერაციის ტრადიციული უსახსრობის გამო, ელემენტარულად, ტრანსპორტის ფულიც არ იყო და ლიტვაში საჭიდაოდ ვერ მივდიოდით. თანხა მეგობრებმა მომიგროვეს, ხელმძღვანელებმა კი გვითხრეს, რომ ვალს გაგვისტუმრებდნენ, მაგრამ... პირის გატეხა იმდენჯერ ვიწვნიეთ, ვერც ჩამოვთვლი.

**— იმ დროს ფინანსური წახალისება სპორტსმენებს ნაკლებად ჰქონდათ...**

— მეტსაც გეტყვით. მთელი კარიერის განმავლობაში ხელფასი არ ამიღია. მხოლოდ ჭიდაობის დიდი სიყვარული მამოძრავებდა. პრემიალურ წახალისებად კი ერთადერთხელ 1997-98 წლებში ზედიზედ მოგებულ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობის შემდეგ 15 ათას ლარს შეგვპირდნენ, თუმცა ერთი წლის შემდეგ მხოლოდ მეოთხედილა გაიმეტეს, ბოლოს კი იმასაც ჩამოაკლეს...

**— შენი წარმატებების საიდუმლო რაში მდგომარეობდა?**

— თავდაუზოგავ შრომაში. ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი და ამან მიმიყვანა შედეგებამდე, თორემ რომ ვთქვა, მაგალითად, ჩემი მეგობრის გიორგი ვაზაგაშვილის დარი ტექნიკური მოჭიდავე ვიყავი-მეთქი — არ იქნება სწორი. თუმცა მისნაირი ამოუწურავი ტექნიკური არსენალის მქონე სპორტსმენი ან სად იყო? ვაზაგაშვილის თვალსაჩინოდ მოგებული ისეთი ბრძოლები მინახავს, მსგავსს ვერ ნახავ კაცი!

**— 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი შენთვის და საერთოდ, ქართული სამბოსთვის გამორჩეული იყო.**

— ის ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მაშინ პირველად ვაჯობეთ რუსეთის ნაკრებს და გუნდური პირველი ადგილიც დავიკავეთ. მაშინ მეც ჩემპიონი გავხდი. ჩემი კარიერის ყველაზე დიდი მიღწევაც სწორედ ეს იყო. ამაზე მაღლა სამბოში არაფერია.

მომდევნო 1998 წელს უკვე ევროპის ჩემპიონატზე ერთადერთი ქულა მეტოქემ ფინალში ამართვა, მაგრამ იქაც საბოლოოდ 5:1 გავიმარჯვე.

**— და მომდევნო წელს, სულ 25 წლის ასაკში, ასეთი ბრწყინვალე კარიერა ნაადრევად დაასრულე.**

— 1999 წელს, სამწუხაროდ, იძულებული გავხდი ეს ნაბიჯი გადამედგა. სპორტული ცხოვრებით ოჯახს ვერაფრით ვეხმარებოდი. ეს პრობლემა რომ არა, ალბათ დღესაც ვიდგებოდი საჭიდაო ხალიჩაზე. ჩემი ასაკისანი არიან ნესტორ ხერგიანი და ალექსი დავითაშვილი, რომლებიც დღესაც ასპარეზობენ. ორ ფრონტზე ბრძოლის გამო, 1999 წლის კონტინენტის პირველობაზე ძალიან დასანანი მარცხიც ვიწვნიე...

» მე-13 გვერდზე

დაფასება




გია ნაცვლიშვილი (მარჯვნივ) აჯილდოებს პაატა კურტანიძეს

# სპორტის თანამდგომი მსოფლიო ხუთეულში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კარგა ხანია, აქტიურად ებრძვის მაღალი მიღწევების სპორტში აკრძალული პრეპარატების გამოყენებას. წლეულს არსებობის ისტორიაში პირველად სპეციალური ჯილდოც („სპორტი და ბრძოლა დოპინგის წინააღმდეგ") კი დააწესა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების საქმეში. მსოფლიოში პირველ ხუთ პიროვნებას შორის, რომლებსაც ეს პატივი ერგოთ, გახლავთ „ავერსი-ფარმას" გენერალური დირექტორი **პაატა კურტანიძე**. გუშინ სეოკის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაღალი ჯილდო მას საზეიმო ვითარებაში გადასცა და დამსწრეთ აუწყა, რომ „ავერსი" და მისი ხელმძღვანელი ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ როგორც მოქმედ ათლეტებს, ისე ვეტერანებს.

**პაატა კურტანიძე**: დიდი მადლობა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და სეოკ-ს ესოდენ დიდი დაფასებისა და პატივისთვის. ეს მაღალი ჯილდო „ავერსისთვის" სასიამოვნო და საამაყოცაა, ამავე დროს, დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს, რათა მომავალში უკეთ მოვემსახუროთ მოქმედ სპორტსმენებსა თუ ვეტერანებს. ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2009 წლის იანვრიდან უფასო სამედიცინო მომსახურებას ვუწევთ იმ ადამიანებს, რომლებმაც არაფერი დაიშურეს, რათა საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ქვეყანა ესახელებინათ. ქართველი სპორტსმენების წარმატება ჩვენი წარმატებაცაა, უცხოეთში მოპოვებული გამარჯვებები სიამაყით გვავსებს.

ქრისტიანები ვართ და ქველმოქმედება სულიერ მოთხოვნილებად გვექცა. მადლობა უფალს, რომ საამისო საშუალება გვაქვს. ყმაწვილკაცობისას თავადაც სპორტით ვიყავი გატაცებული და კარგად მესმის მისი მნიშვნელობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, ამიტომ „ავერსი-ფარმა" ყოველთვის მზად იქნება იმ ადამიანთა თანადგომისთვის, რომლებსაც გამარჯვებებით ჩვენთვის სიხარული მოაქვთ...

დაჯილდოებას ესწრებოდნენ სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე**, ვიცე-პრეზიდენტები — ოლიმპიური ჩემპიონი **დავით გობეჯიშვილი** და **ვახტანგ გეგელია**; ოლიმპიური ჩემპიონები — **მზია ჯუღელი, რობერტ შავლაყაძე, რომან რურუა, რაფაელ ჩიმიშკიანი, ვაჟა კაჭარავა, ვახტანგ ბლაგიძე**...

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# ხანმოკლე კარიერა ბევრი მედლით

« მე-12 გვერდიდან

**— ბევრმა ვერ მოახერხა საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა?**

— ჩვენი თაობა მართალაც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო ქართული სამბოს ისტორიაში. ასეთებს ათწლეულის თაობებს უწოდებენ. ოდიშვილი, კურდღელაშვილი, ჯანიაშვილი, ჩოხელი, მუზაშვილი, ჯანანაშვილი, გამხიტაშვილი, ქამხაძე და თქვენი მონა მორჩილი — ეს იყო გუნდი, რომელიც ლამის ყველა შეჯიბრებიდან მედლებით დახუნძლული ბრუნდებოდა. სამწუხაროდ, ცარიელი ენთუზიაზმით გარჯის და რიგიანი სავარჯიშო პირობების არქონის გამო ბევრმა ფალავანმა დაასრულა კარიერა ნაადრევად და შესაძლებლობა სრულად ვერ გამოავლინა. ამ ფონზე დიდად სასიხარულოა, როდესაც წლების შემდეგაც გრძნობ ვინმეს თანადგომას. ულრმესი მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფონდს ყოფილ სპორტსმენთა ფინანსური მხარდაჭერისთვის.

**— კარიერის დასრულების შემდეგ სპორტში დარჩენა, ვთქვათ, მწვრთნელობა არ გიცდია?**

— არა. სურვილიც არ მქონია, თუმცა, სპორტსმენობისას, იმ წლებში როდესაც ჭიდაობა და, საერთოდ, ქვეყანა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, გორის დარბაზებში მწვრთნელებს ვენაცვლებოდით გამოცდილი სამბისტები. აქვე მინდა ჩვენი ნაკრების მწვრთნელ ოლეგ იაძეზე გითხრათ. ეს არის კაცი, რომლის დამსახურებაცაა მაშინდელი გამარჯვებები და ისიც, რომ დღეს სპორტის ეს სახეობა კვლავინდებურად წარმატებულია. ადრე სულ პრობლემა იყო გუნდისთვის შეკრების, თუ ტურნირზე გამგზავრების ხარჯების მოძიება. ეს ადამიანი კი თან გვავარჯიშებდა და თან პრობლემებს აგვარებდა. მისი გვერდში დგომით და პროფესიონალიზმით ქართველმა სამბისტებმა მართალაც იმდენი შევძელით, რომ დღევანდელი გადასახედიდან ძალიან გვეამაყება.

**ვასილ ბალახაძე**

## მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან ძიუდოისტს, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორს, მაღალი რანგის სხვა ტურნირებში გამარჯვებულს და პრიზიორს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს გიორგი თენაძეს.

სუმოს სამყარო

ნაცუ ბაშო (10-24 მაისი)

# სამშვიდობოს პირველი ტოჩინოშინი გავიდა

სუმოს ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** მიზანს ბაშოს მე-13 დღეს მიაღწია - ტოჩინოშინმა ძურიოს დივიზიონის პირველ ნომერ **ტოსაიუტაკას** დაანახვა, თუ როგორ გაუჭირდება ივლისის ბაშოზე, როცა ის ელიტის წევრი გახდება, ქართველმა იაპონელს მავაშში ჩაავლო ხელი და დოჰიოდან გააგდო. ტოჩინოშინს 8-5 ბალანსი აქვს, 8 მოგება კი უკვე ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულებას ნიშნავს. ტოჩინოშინი მეტეორივით შემოიჭრა ელიტაში, თუმცა შემდეგი წინსვლა კი გაუჭირდა. ლევანი მეშვიდე ბაშოა, რაც ელიტის წევრია და იგი მეოთხედ ასრულებს ტურნირს დადებითი ბალანსით.

**კოკაიც (ლევან ცაგურია)** ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ მან მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როცა მე-10 მაეგაშირა **ფუტენოს** მიგი-უვატეს ჩატარების უფლება მისცა, როგორც კი იაპონელმა ხელთ კოკაის მავაში იგდო, მას აღარ გასჭირვებია ქართველის დოჰიოდან განდევნა. კოკაი კვლავ დაქვეითების საფრთხის წინაშეა, მას 7-6 ბალანსი აქვს და ორი ორთაბრძოლიდან ერთის მოგება ესაჭიროება.

ბაშოს დღის მთავარი მატჩი ორი დაუმარცხებელი რიკიშის, **ჰაკუჰოსა** და **ჰარუმაფუჯის** დაპირისპირება, წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა. ძალიან ლამაზი ორთაბრძოლა გამოდგა, ჯერ ოძეკიმ შეძლო დიდი ჩემპიონის მავაშის დატრევა, შემდეგ - ჰაკუჰომ, ბოლოს ჰარუმაფუჯიმ უვატენაგეს ილეთი ჩაატარა, მაგრამ რაღაც სასწაულით ჰაკუჰომ თავი შეიკავა და არ დავარდა. მას შეტევის აღარანაირი შანსი არ ჰქონდა, მაგრამ უცბად, დიდმა ჩემპიონმა ფეხი გამოჰკრა მეტოქეს და ისე დააგდო. ჰაკუჰო 13-0 ბალანსით იმპერატორის თასის მე-11-დ მოსაპოვებლად ბრძოლაში ერთპიროვნული ლიდერია.

**XIII დღე**

| | |
|---|---|
| ტოსაიუტაკა (ძ 1) -ტოჩინოშინი (მ 13) | 0:1 (იორიკირი) |
| ჰოკუტორიკი (მ 13) -კიმურაიამა (მ 16) | 1:0 (ჰატაკიკომი) |
| დეჯიმა (მ 12)-ტოიოჰიბიკი (მ 11) | 1:0 (სუკუინაგე) |
| ვაკაკოიუ (ძ 2)-შიმოტორი (მ 10) | 0:1 (იორიკირი) |
| ფუტენო (მ 10) -კოკაი (მ 14) | 1:0 (იორიკირი) |
| ტოკიტენკუ (მ 9) -ტაკამისაკარი (მ 12) | 0:1 (იორიკირი) |
| მიაბიამა (მ 11) -ტამავაში (მ 8) | 1:0 (ჰიკიოტოში) |
| ივაკიამა (მ 8) -შოტენრო (მ 15) | 1:0 (იორიტაოში) |
| ასასეკირიუ (მ 7) -კაკიძოე (მ 14) | 0:1 (იორიკირი) |
| ტოჩინონადა (მ 5) -ბუშუიამა (მ 15) | 0:1 (ცუკიჰიზა) |
| იამამოტოიამა (მ 9) -არანი (მ 4) | 0:1 (იორიკირი) |
| ტამანოშიმა (მ 3) -იოშიკაძე (მ 5) | 0:1 (ოშიდაში) |
| კიოკუტენჰო (მ 2) -ამინიშიკი (მ 1) | 1:0 (იორიკირი) |
| ჰომაშო (მ 1) -ტოიონოშიმა (მ 3) | 0:1 (ოშიდაში) |
| ტაკეკაძე (მ 2) -ტოჩიოძანი (კ) | 0:1 (ჰატაკიკომი) |
| კაკურიუ (კ) -კოტომოგიკუ (მ 6) | 1:0 (ოშიდაში) |
| ბარუტო (ს) -გოეიდო (ს) | 1:0 (კოტენაგე) |
| ჩიოტაიკაი (ო) -კოტომიცუკი (ო) | 1:0 (ჰატაკიკომი) |
| კაიო (ო) -კისენოსატო (მ 4) | 0:1 (იორიკირი) |
| კოტოოშუ (ო) -ასაშორიუ (ი) | 0:1 (შიტატენაგე) |
| ჰაკუჰო (ი) -ჰარუმაფუჯი (ო) | 1:0 (სუსოჰარაი) |

**XIV დღე**

მასაცუკასა (ძ 2), 5-8-კაკიძოე (მ 14), 7-6
ჰოკუტორიკი (მ 13), 4-9-ვაკაკოიუ (ძ 2), 7-6
კოკაი (მ 14), 7-6-შიმოტორი (მ 10), 5-8
ტოკიტენკუ (მ 9), 6-7-ტოიოჰიბიკი (მ 11), 9-4
ტოჩინოშინი (მ 13), 8-5-იამამოტოიამა (მ 9), 6-7
დეჯიმა (მ 12), 6-7-ტამავაში (მ 8), 6-7
ასასეკირიუ (მ 7), 5-8-ტაკამისაკარი (მ 12), 8-5
კოტომოგიკუ (მ 6), 8-5-ბუშუიამა (მ 15), 8-5
ტოჩინონადა (მ 5), 4-9-შოტენრო (მ 15), 7-6
კიმურაიამა (მ 16), 4-9-იოშიკაძე (მ 5), 4-9
კისენოსატო (მ 4), 11-2-ივაკიამა (მ 8), 8-5
მიაბიამა (მ 11), 9-4-არანი (მ 4), 6-7
ფუტენო (მ 10), 6-7-ტოიონოშიმა (მ 3), 3-10
ჰომაშო (მ 1), 0-13-ამინიშიკი (მ 1), 4-9
კიოკუტენჰო (მ 2), 6-7-ტოჩიოძანი (კ), 6-7
ბარუტო (ს), 4-9-ტაკეკაძე (მ 2), 2-11
ტამანოშიმა (მ 3), 5-8-გოეიდო (ს), 5-8
კაიო (ო), 8-5-ჩიოტაიკაი (ო), 6-7
კაკურიუ (კ), 8-5-კოტომიცუკი (ო), 7-6
ჰაკუჰო (ი), 13-0-კოტოოშუ (ო), 8-5
ჰარუმაფუჯი (ო), 12-1-ასაშორიუ (ი), 12-1

**ლიდერები**

13-0: ჰაკუჰო.
12-1: ასაშორიუ, ჰარუმაფუჯი.
11-2: კისენოსატო.
9-4: მიაბამა, ტოიოჰიბიკი.



ჰაკუჰომ (მარჯვნივ) ჰარუმაფუჯის კვანტი გამოსდო

# მარცხით, მაგრამ მაინც დადებითით

მარცხით დაასრულა მაისის ბაშო მესამე დივიზიონის, მაკუშიტას მე-6 ნომერმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. 22 წლის ქართველმა ორი წლით უფროს **სადანომიფუჯისთან** წააგო იორიკირით. თეიმურაზისთვის ბაშო მაინც წარმატებული გამოდგა, მან 4-3 ბალანსით დაასრულა ტურნირი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად დაწინაურდება რეიტინგში, თუ რამდენით, ივნისის ბანძუკეს გამოქვეყნებისთანავე გავიგებთ. ფაქტია, თუკი ივლისშიც წარმატებულად იასპარეზებს, ჩვენებური ძურიოს დივიზიონში გადავა.



### ჰონორარები, ჰონორარები...

მაისის ბაშოზე სპონსორთა მიერ დაწესებულ კენშოს დავუბრუნდეთ, **ჰაკუჰოსა და კაიოს** ორთაბრძოლაში 13 კენშო იყო დაწესებული, რომელიც ჰაკუჰოს ხვდა წილად.

| 12 დღის მერე | | |
|---|---|---|
| 1. ჰაკუჰო | 183 კ. | 100 ათ. $ |
| 2. ასაშორიუ | 121 | 66,5 ათ. |
| 3. ჰარუმაფუჯი | 51 | 28 ათ. |
| 4. ტაკამისაკარი | 40 | 22 ათ. |
| 5. კისენოსატო | 27 | 14,8 ათ. |
| 6. კოტოოშუ | 25 | 13,7 ათ. |
| 7. კაიო | 18 | 9,9 ათ. |
| 8. კოტომოგიკუ | 17 | 9,3 ათ. |
| 9. იამამოტოიამა | 17 | 9,3 ათ. |
| 10. გოეიდო | 16 | 8,8 ათ. |

### მეტოქეები



**კოკაი შიმოტორის** წინააღმდეგ: 5 ორთაბრძოლა, 3 მოგება, 2 მარცხი, ბოლო მოგება 2004 წლის მაისის ბაშოზე.

**შიმოტორი** (5-8): დასავლეთის მე-10 მაეგაშირა

31 წლის, ყოფილი კომუსუბი, 189 სმ, 146 კგ.



**ტოჩინოშინი იამამოტოიამას** წინააღმდეგ: 2 ორთაბრძოლა, 2 მარცხი.

**იამამოტოიამა** (6-7): დასავლეთის მე-9 მაეგაშირა

25 წლის, 191 სმ, 258 კგ.

### სუმოს წესებიდან



სუმომ შეძლო უძველესი ადათ-წესების შენარჩუნება და მათთვის ცერემონიალის სტატუსის მინიჭება. ამით სუმო მსოფლიოში უნიკალური სპორტის სახეობაა. როდესაც მაკუუჩის დივიზიონის სუმოისტებზე მიდგება ჯერი, იწყება ძალიან მრავალფეროვანი ცერემონიალი დოჰიო-ირი ან რინგზე გამოსვლის ცერემონიალი. სუმოისტები დოჰიოზე შემოდიან კეშო-მავაშში გამოწყობილები, ჯერ ერთი „გუნდი" დასავლეთი, მერე მეორე. დოჰიოზე პირველი დაბალი რანგის სუმოისტი შემოდის, მას მერე მასზე დიდი რანგის და ასე შემდეგ. ისინი რკალად დგებიან დოჰიოში და მცირე ტრადიციულ ცერემონიალს ატარებენ. შემდეგ ეს ჯგუფი გადის და მეორე მხირდან მეორე ჯგუფი შემოდის. დილით ძურიოს ბრძოლების წინ იგივეს აკეთებენ ძურიოს რიკიშებიც.

### დღის ილეთი



**სუსოჰარაი** (ფეხის გამოკვრა)

აქამდე ორი დაუმარცხებელი რიკიშის ორთაბრძოლის ბედი ამ ილეთმა გადაწყვიტა, დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** ოძეკი **ჰარუმაფუჯის** მოუგო.

შემტევი ხელის კვრით ან მიწოლით ცდილობს მეტოქე მისგან პერპენდიკულარულ პოზიციაში ჩააყენოს. შემდეგ შემტევი უკნიდან გამოჰკრავს მეტოქის ახლო ფეხს ფეხით და კიდევ უფრო მიაწვება ხელით წინ. ამის შემდეგ მას შეუძლია მეტოქე გინდ ერთ მხარეს, გინდ მეორე მხარეს დააგდოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. როლან გაროსის წინ

# ნადალი–მიურეი, ჯოკოვიჩი–ფედერერი?

გუშინ „დიდი სლემის" სერიის მეორე ტურნირის - როლან გაროსის წილისყრა გაიმართა და ფავორიტებმა თავიანთი პირველი მეტოქეების ვინაობა შეიტყვეს. წილისყრის მთავარი კითხვა იყო - სატურნირო ბადის რომელ ნაწილში მოხვდებოდნენ მესამე და მეოთხე ჩოგნები - **ენდი მიურეი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი?**

მაშ ასე, მსოფლიოს პირველ ჩოგან **რაფაელ ნადალს** პირველ წრეში კვალიფიკაციიდან გასული ჩოგბურთელი შეხვდება, მეორეში მას რუსულ წყვილში (**გაბაშვილი-კუნიცინი**) გამარჯვებული ელის. მეოთხე წრემდე ესპანელს სერიოზული მეტოქე არ ეყოლება, აი მერვედფინალში კი რაფა, შესაძლოა, თანამემამულე **დავიდ ფერერს** გადაეყაროს.



მეოთხედფინალში ნადალს, სავარაუდოდ, კიდევ ერთი ესპანელი - **ფერნანდო ვერდასკო** შეხვდება, ნახევარფინალში მისი ერთ-ერთი პოტენციური მეტოქე კი რეიტინგის მესამე ნომერი ენდი მიურეი იქნება, რომელიც ტურნირს არგენტინელი **ხუან-იგნასიო ჩელასთან** შეხვედრით იწყებს. ბადეში მის მხარეს იმყოფებიან ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**, რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** და ფრანგი **ჟილ სიმონი**. ესენი რაფაელ ნადალის პოტენციური მეტოქეებიც არიან.

ბადის მეორე მხარეს მოსალოდნელია მეორე და მეოთხე ნომრების - შვეიცარიელი **როჯერ ფედერერისა** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** ნახევარფინალი. როჯერის პირველი მეტოქე ესპანელი **ალბერტო მარტინია**. ნახევარფინალამდე ფედერერს სერიოზული პრობლემები არ უნდა შეექმნას. განთესილი ჩოგბურთელებიდან მისი პოტენციური მოწინააღმდეგეები არიან - ამერიკელები **ენდი როდიკი** (1/4 ფინალი), **ჯეიმს ბლეიკი** (მეოთხე წრე), ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** (მეოთხე წრე), ავსტრიელი **იურგენ მელცერი** ან გერმანელი **რაინერ შუტლერი**.

წილისყრის მიხედვით, ბადის ამავე ნახევარში აღმოჩნდა ნოვაკ ჯოკოვიჩი, აგრეთვე მსოფლიოს მეხუთე ნომერი, არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**. სავარაუდოდ, სწორედ ეს ჩოგბურთელები გაითამაშებენ ერთმანეთში ნახევარფინალის საგზურს. ამაში მათ შეიძლება ხელი შეუშალონ ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ**, არგენტინელმა **ხუან მონაკომ** და ესპანელმა **ტომი რობრედომ**.

გუშინდელი წილისყრა როლან გაროსის შარშანდელმა ჩემპიონებმა - რაფაელ ნადალმა და სერბმა ანა ივანოვიჩმა ჩაატარეს.



## ოთხი დანაკლისი

როლან გაროსის მამაკაცთა ბადეში ერთბაშად ოთხი ტრავმირებული ჩოგბურთელი ვერ მოხვდა.

თავდაპირველად, საფრანგეთის ღია პირველობიდან განაცხადი გამოიტანეს ATP-ის რეიტინგის 23-ე ნომერმა **დმიტრი ტურსუნოვმა**, 38-ე ჩოგანმა - ხორვატმა **მარიო ანჩიჩმა** და 117-ე ჩოგბურთელმა, იაპონელმა **კეი ნიშიკორიმ**. ტურსუნოვმა, რომელიც მარტიდან მოყოლებული არ თამაშობს ოფიციალურ ტურნირებში, ბოლომდე ვერ მოირჩინა ქუსლის ტრავმა. ანჩიჩმა ცუდი ფიზიკური მომზადების გამო თქვა უარი პარიზში ჩასვლაზე, რაც შეეხება ნიშიკორის, მას ორგანიზატორებმა უაილდ-ქარდი კი გამოუყვეს, მაგრამ იაპონელმა იდაყვის ტრავმა მოიმიზეზა.

გუშინ კი საფრანგეთის ღია პირველობაზე თამაში იუარა ამერიკელმა **ჯონ ისნერმა**. მსოფლიოს რეიტინგის 114-ე ნომერი ავადმყოფობის გამო გამოეთიშა როლან გაროსს.

■ ■ ■

წინასწარ იყო ცნობილი, რომ როლან გაროსის კორტებზე ვერ გავიდოდა ფრანგი **რიშარ გასკე**. ის ცოტა ხნის წინ კოკაინის მიღებაში ამხილეს და ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

მაგრამ ფრანგ ჩოგბურთელს მხოლოდ ეს სასჯელი არ აკმარეს და მას საფრანგეთის ღია პირველობის მატჩებზე დასწრებაც აუკრძალეს. გასკეს როლან გაროსის სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე გამოჩენის უფლება არ აქვს, რადგან ტურნირის ორგანიზატორებმა მისთვის აკრედიტაცია არ გამოყვეს. თუმცა ცნობილი არ არის, საერთოდ აპირებდა თუ არა რიშარი სეზონის „დიდი სლემის" მეორე ტურნირზე დასწრებას, რადგან ცნობილი სკანდალის გამო ფრანგი ჩოგბურთელი უცხოეთში იმყოფება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## როლან გაროსი. კაცების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| ნადალი (ესპ, 1) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კუნიცინი (რუს) | | | | | |
| გაბაშვილი (რუს) | | | | | |
| გრემელმაირი (გერ) | | | | | |
| გოლუბევი (ყაზ) | | | | | |
| პიუიტი (ავსტრა) | | | | | |
| კარლოვიჩი (ხორ, 26) | | | | | |
| სიოდერლინგი (შვედ, 20) | | | | | |
| კიმი (აშშ) | | | | | |
| ისტომინი (უზბ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კიფერი (გერ) | | | | | |
| ჟილი (პორ) | | | | | |
| ფერერი (ესპ, 14) | | | | | |
| დავიდენკო (რუს, 10) | | | | | |
| კუბეკი (ავსტრია) | | | | | |
| ხუნკეირა (არგ) | | | | | |
| კაპდევილე (ჩილ) | | | | | |
| მასუ (ჩილ) | | | | | |
| კოლერერი (ავსტრია) | | | | | |
| დევილდერი (საფ) | | | | | |
| ვავრინკა (შვეიც, 17) | | | | | |
| ალმაგრო (ესპ, 31) | | | | | |
| კალერი (არგ) | | | | | |
| გულბისი (ლატ) | | | | | |
| კუერი (აშშ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| პეტცშნერი (გერ) | | | | | |
| სერა (იტა) | | | | | |
| ვერდასკო (ესპ, 8) | | | | | |
| მიურეი (ბრიტ, 3) | | | | | |
| ჩელა (არგ) | | | | | |
| ზვერევი (გერ) | | | | | |
| სტარაჩე (იტა) | | | | | |
| ტიპსარევიჩი (სერ) | | | | | |
| მონტანიესი (ესპ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ფ. ლოპესი (ესპ, 28) | | | | | |
| შტეპანეკი (ჩეხ, 18) | | | | | |
| გაუდიო (არგ) | | | | | |
| ლუ (ტაივ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| სელა (ისრ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ჰერნიხი (ჩეხ) | | | | | |
| ჩილიჩი (ხორ, 13) | | | | | |
| გონსალესი (ჩილ, 12) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ვლიეგენი (ბელ) | | | | | |
| გრანოლერსი (ესპ) | | | | | |
| უანა (საფ) | | | | | |
| სიდორენკო (საფ) | | | | | |
| საფინი (რუს, 20) | | | | | |
| ჰანესკუ (რუმ, 30) | | | | | |
| დარცისი (ბელ) | | | | | |
| იუჟნი (რუს) | | | | | |
| მიულერი (ლუქ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კენდრიკი (აშშ) | | | | | |
| ოდესნიკი (აშშ) | | | | | |
| სიმონი (საფ, 7) | | | | | |




| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დელ პოტრო (არგ, 5) |
| | | | | | ლოდრა (საფ) |
| | | | | | ტროიცკი (სერ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ბელუჩი (ბრა) |
| | | | | | ვასალო არგელო (არგ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ანდრეევი (რუს, 25) |
| | | | | | ტურსუნოვი (რუს, 21) |
| | | | | | კლემანი (საფ) |
| | | | | | სანტორო (საფ) |
| | | | | | კ. როხუსი (ბელ) |
| | | | | | ბალდატისი (კვიპ) |
| | | | | | მონაკო (არგ) |
| | | | | | ბენეტო (საფ) |
| | | | | | ცონგა (საფ, 9) |
| | | | | | რობრედო (ესპ, 16) |
| | | | | | მანარინო (საფ) |
| | | | | | კოროლიოვი (რუს) |
| | | | | | ხიმენო ტრავერო (ესპ) |
| | | | | | გარსია ლოპესი (ესპ) |
| | | | | | სეპი (იტა) |
| | | | | | მ. გონსალესი (არგ) |
| | | | | | ფიში (აშშ, 22) |
| | | | | | კოლშრაიბერი (გერ, 29) |
| | | | | | ტომიჩი (ავსტრა) |
| | | | | | ფერერო (ესპ) |
| | | | | | ლუბიჩიჩი (ხორ) |
| | | | | | დაბული (არგ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ლაპენტი (ეკვ) |
| | | | | | ჯოკოვიჩი (სერ, 4) |
| | | | | | როდიკი (აშშ, 6) |
| | | | | | ჟუანი (საფ) |
| | | | | | ერნანდესი (ესპ) |
| | | | | | მინარი (ჩეხ) |
| | | | | | ნავარო (ესპ) |
| | | | | | ბეკი (გერ) |
| | | | | | ჟიკელი (საფ) |
| | | | | | შუტლერი (გერ, 27) |
| | | | | | მელცერი (ავსტრია, 24) |
| | | | | | როიტმანი (არგ) |
| | | | | | რუფინი (საფ) |
| | | | | | შვანკი (არგ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | რეინოლდსი (აშშ) |
| | | | | | მონფილსი (საფ, 11) |
| | | | | | ბლეიკი (აშშ, 15) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | პაველი (რუმ) |
| | | | | | ჰაასი (გერ) |
| | | | | | ფაუ (გერ) |
| | | | | | შარდი (საფ) |
| | | | | | ბოლელი (იტა) |
| | | | | | ბერდიხი (ჩეხ, 19) |
| | | | | | მატიო (საფ, 32) |
| | | | | | რეკუდერი (საფ) |
| | | | | | ჯინეპრი (აშშ) |
| | | | | | ანდუხარი (ესპ) |
| | | | | | აკასუსო (არგ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | მარტინი (ესპ) |
| | | | | | ფედერერი (შვეიც, 2) |

| ყველა ჩემპიონი ღია ერაში | |
|---|---|
| 1968 როზუოლი (ავსტრა)-ლეივერი (ავსტრა) | 6:3, 6:1, 2:6, 6:2 |
| 1969 ლეივერი (ავსტრა)-როზუოლი (ავსტრა) | 6:4, 6:3, 6:4 |
| 1970 კოდეში (ჩეხ)-ფრანულოვიჩი (იუგ) | 6:2, 6:4, 6:0 |
| 1971 კოდეში (ჩეხ)-ნასტასე (რუმ) | 8:6, 6:2, 2:6, 7:5 |
| 1972 ხიმენო (ესპ)-პრუასი (საფ) | 4:6, 6:3, 6:1, 6:1 |
| 1973 ნასტასე (რუმ)-პილიჩი (იუგ) | 6:3, 6:3, 6:0 |
| 1974 ბორგი (შვედ)-ორანტესი (ესპ) | 2:6, 6:7(1), 6:0, 6:1, 6:1 |
| 1975 ბორგი (შვედ)-ვილასი (არგ) | 6:2, 6:3, 6:4 |
| 1976 პანატა (იტა)-სოლომონი (აშშ) | 6:1, 6:4, 4:6, 7:6(3) |
| 1977 ვილასი (არგ)-გოტფრიდი (აშშ) | 6:0, 6:3, 6:0 |
| 1978 ბორგი (შვედ)-ვილასი (არგ) | 6:1, 6:1, 6:3 |
| 1979 ბორგი (შვედ)-პეჩი (პარ) | 6:3, 6:1, 6:7(6), 6:4 |
| 1980 ბორგი (შვედ)-გერულაიტისი (აშშ) | 6:4, 6:1, 6:2 |
| 1981 ბორგი (შვედ)-ლენდლი (ჩეხ) | 6:1, 4:6, 6:2, 3:6, 6:1 |
| 1982 ვილანდერი (შვედ)-ვილასი (არგ) | 1:6, 7:6(6), 6:0, 6:4 |
| 1983 ნოა (საფ)-ვილანდერი (შვედ) | 6:2, 7:5, 7:6(3) |
| 1984 ლენდლი (ჩეხ)-მაკინროი (აშშ) | 3:6, 2:6, 6:4, 7:5, 7:5 |
| 1985 ვილანდერი (შვედ)-ლენდლი (ჩეხ) | 3:6, 6:4, 6:2, 6:2 |
| 1986 ლენდლი (ჩეხ)-პერნფორსი (შვედ) | 6:3, 6:2, 6:4 |
| 1987 ლენდლი (ჩეხ)-ვილანდერი (შვედ) | 7:5, 6:2, 3:6, 7:6(3) |
| 1988 ვილანდერი (შვედ)-ლეკონტი (საფ) | 7:5, 6:2, 6:1 |
| 1989 ჩანგი (აშშ)-ედბერგი (შვედ) | 6:1, 3:6, 4:6, 6:4, 6:2 |
| 1990 გომესი (ეკვ)-აგასი (აშშ) | 6:3, 2:6, 6:4, 6:4 |
| 1991 კურიე (აშშ)-აგასი (აშშ) | 3:6, 6:4, 2:6, 6:1, 6:4 |
| 1992 კურიე (აშშ)-კორდა (ჩეხ) | 7:5 6:2 6:1 |
| 1993 ბრუგერა (ესპ)-კურიე (აშშ) | 6:4, 2:6, 6:2, 3:6, 6:3 |
| 1994 ბრუგერა (ესპ)-ბერასატეგი (ესპ) | 6:3, 7:5, 2:6, 6:1 |
| 1995 მუსტერი (ავსტრია)-ჩანგი (აშშ) | 7:5, 6:2, 6:4 |
| 1996 კაფელნიკოვი (რუს)-შტიხი (გერ) | 7:6(4), 7:5, 7:6(4) |
| 1997 კუერტენი (ბრა)-ბრუგერა (ესპ) | 6:3, 6:4, 6:2 |
| 1998 მოია (ესპ)-კორეჩა (ესპ) | 6:3, 7:5, 6:3 |
| 1999 აგასი (აშშ)-მედვედევი (უკრ) | 1:6, 2:6, 6:4, 6:3, 6:4 |
| 2000 კუერტენი (ბრა)-ნორმანი (შვედ) | 6:2, 6:3, 2:6, 7:6(6) |
| 2001 კუერტენი (ბრა)-კორეჩა (ესპ) | 6:7(3), 7:5, 6:2, 6:0 |
| 2002 კოსტა (ესპ)-ფერერო (ესპ) | 6:1, 6:0, 4:6, 6:3 |
| 2003 კარლო ფერერო (ესპ)-ფერკერკი (ჰოლ) | 6:1, 6:3, 6:2 |
| 2004 გაუდიო (არგ)-კორია (არგ) | 0:6, 3:6, 6:4, 6:1, 8:6 |
| 2005 ნადალი (ესპ)-პუერტა (არგ) | 6:7(6), 6:3, 6:1, 7:5 |
| 2006 ნადალი (ესპ)-ფედერერი (შვეიც) | 1:6, 6:1, 6:4, 7:6(4) |
| 2007 ნადალი (ესპ)-ფედერერი (შვეიც) | 6:3, 4:6, 6:3, 6:4 |
| 2008 ნადალი (ესპ)-ფედერერი (შვეიც) | 6:1, 6:3, 6:0 |

## ფორმულა 1




# ბრაუნი უკვე ჩემპიონია?

ორკვირიანი პაუზის შემდეგ, მონაკოს გრან-პრი მოახლოვდა და ხვალინდელი რბოლის წინ, სატურნირო მდგომარეობა უნდა გავიხსენოთ. აგრეთვე ვეცდებით, წინა ჩემპიონატების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ნაწილობრივ გავარკვიოთ, ტიტულის მოგების რა შანსები გააჩნია წლევანდელი სეზონის ლიდერ **ჯენსონ ბატონს**. როგორც აღმოჩნდა, ბრიტანელ პილოტს ყველა წესის მიხედვით ეკუთვნის 2009 წლის ჩემპიონატის ტრიუმფატორის სტატუსი.

მათემატიკურად ჯერჯერობით არც ერთ პილოტს არ დაუკარგავს ტიტულის მოპოვების შანსი. წინ კიდევ 12 გრან-პრია და ყველა ავტომრბოლი, ვისაც მანქანა მოგების საშუალებას მისცემს, ჩემპიონობაზე განაცხადებს პრეტენზიას. თუმცა ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ 2009 წელს ტიტული ორი გუნდის („ბრაუნ გრანპრი" და „რედ ბული") ოთხ პილოტს შორის გათამაშდება. ესენი არიან: ჯენსონ ბატონი, **რუბენს ბარიკელო, სებასტიან ფეტელი და მარკ უებერი.**

ხუთი გრან-პრის შემდეგ ჯენსონ ბატონმა 41 ქულა დააგროვა. ქულათა დარიცხვის ამჟამინდელი სისტემის პირობებში, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთი მარაგის მქონე პილოტი სეზონის ბოლოს ჩემპიონი არ გამხდარიყოს. ბოლო ოცი წლის განმავლობაში სულ შვიდი სეზონი იყო ისეთი, როცა პირველი ხუთი რბოლის შემდეგ, ლიდერს 41 ქულა ჰქონდა დაგროვებული. უფრო მეტი ქულაც ჰქონიათ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მალაიზიაში პილოტებმა მხოლოდ განახევრებული ქულები მიიღეს ნაადრევად შეწყვეტილი გრან-პრის გამო. ამ შვიდ შემთხვევაში, ლიდერი წლის ბოლოს ჩემპიონი ხდებოდა.

| სეზონი | პილოტი | ქულა |
|---|---|---|
| 1992 | ნ. მენსელი | 50 |
| 1994 | მ. შუმახერი | 46 |
| 1996 | დ. ჰილი | 43 |
| 2002 | მ. შუმახერი | 44 |
| 2004 | მ. შუმახერი | 50 |
| 2005 | ფ. ალონსო | 44 |
| 2006 | ფ. ალონსო | 44 |

„ტოიოტა", რომელიც კონსტრუქტორთა თასზე ამჟამად მესამე ადგილს იკავებს, ჯერ სტაბილურობით ვერ დაიკვეხნის, „მაკლარენისგან", „ფერარისგან" და BMW-სგან დაპირებული პროგრესის მიღებას დრო სჭირდება, თანაც დღევანდელი სიტუაცია განსხვავდება გასული წლებისგან, როცა ეს გუნდები ტიტულისთვის აწარმოებდნენ ბრძოლას. მაშინ, როგორც წესი, მათ მხოლოდ ერთი სერიოზული კონკურენტი ჰყავდათ, ახლა კი თითქმის ყველა გუნდის პილოტი ახერხებს ქულების მოპოვებას და ამით ფავორიტებს უკან წევენ.

„ფერარის" პილოტმა **ფელიპე მასამ** ბარსელონაში საინტერესოდ დაახასიათა დღევანდელი სიტუაცია: *„რეალისტები უნდა ვიყოთ - ხუთი რბოლიდან ოთხი „ბრაუნ გრან-პრიმ" მოიგო. სანამ ჩვენ მანქანის დახვეწაზე ვიმუშავებთ, ისინი ქულების დაგროვებას გააგრძელებენ და მათი დაწევა კიდევ უფრო რთული გახდება".*

თუ „ბრაუნ გრან-პრისა" და „რედ ბულს" დავუბრუნდებით, მათი ძალთა თანაფარდობა ტრასიდან ტრასამდე შეიცვლება. **როს ბრაუნის** მანქანებს ნელ მოსახვევებში აქვთ უპირატესობა, „რედ ბულს" - ჩქაროსნულ ტრასებზე.

მონაკოში „ბრაუნი", ისევე როგორც „ფერარი", შესაძლოა, ძალიან სწრაფი იყოს, თურქეთში თანაბარი ბრძოლაა მოსალოდნელი, „სილვერსტოუნი" უფრო „რედ ბულს" ერგება, ხოლო „ნიურბურგრინგი", ბუდაპეშტი და ვალენსია - ჩემპიონატის ლიდერისთვის არის ზედგამოჭრილი. სანამ კონკურენტები ჩამორჩენის გაბათილებას შეეცდებიან, ეს ორი გუნდი ქულების მოპოვებას გააგრძელებს.

თუმცა ფორმულა 1 სიურპრიზებითაა აღსავსე და ტრადიციული ლიდერები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ცხრილის სათავეში დაბრუნდნენ...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**პიტსბურგი-კაროლინა 7:4**

2:3, 2:0, 3:1

გოლები: 1:0 კროსბი-13 (კუნიტცი-8, გერინი-5), 1:1 ლაროუზი-4 (რეი უიტნი-8, ე. სტაალი-5), 2:1 მალკინი-8 (კენედი-3, კუკი-4), 2:2 ი. იოკინენი-7 (ს. უოკერი-5, ბრინდამორი-3), 2:3 საიდენბერგი-1, 3:3 ტელბოტი-3 (მალკინი-15, კროსბი-11), 4:3 კუნიტცი-1 (გერინი-6, იტონი-2), 4:4 ივსი-1 (ბაიადა-2, დუაიერი-1), 5:4 მალკინი-9 (კუნიტცი-9, კუკი-5), 6:4 მალკინი-10, 7:4 კენედი-3 (ჯ. სტაალი-4, კუკი-6).

სერია: 2:0

## ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

**XII ეტაპი. დროზე რბოლა**

**სესტრი ლევანტე-რიომაჯორე**

1. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - 1.34,29; 2. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა") - +20,0; 3. **სტეფანო გარცელი** (იტალია, Acqua & Sapone – Caffe Mokambo) - +1,03; 4. **იანეჟ ბრაიკოვიჩი** (სლოვენია, Astana) - +1,14; 5. **ფრანკო პელიზოტი** (იტალია, Liquigas) - +1,27; 6. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - +1,54... 11. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +2,17; 12. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +2,18; 13. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა") - +2,26...

**საერთო ჩათვლა**

1. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Rabobank) - 50.27,17; 2. **დანილო დი ლუკა** (იტალია, LPR Brakes - Farnese Vini) - +0,34; 3. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, „ასტანა") - +0,40; 4. **ფრანკო პელიზოტი** (იტალია, Liquigas) - +2,00; 5. **კარლოს სასტრე** (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +2,52; 6. **მაიკლ როჯერსი** (ავსტრალია, Columbia – Highroad) - +2,58; 7. **ივან ბასო** (იტალია, Liquigas) - +3,00... 12. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, „ასტანა") - +6,34...

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აიაჩო-მეცი | 1:0 |
| ამიენი-დიჟონი | 1:1 |
| ანჟერსი-შატორუ | 1:1 |
| კლერმონი-ბასტია | 2:0 |
| გინგამი-ბრესტი | 2:0 |
| ლანსი-ბულონი | 0:1 |
| ნიმი-ვანი | 1:0 |
| სტრასბური-რეიმსი | 3:2 |
| ტური-მონპელიე | 0:0 |
| ტრუა-სედანი | 2:3 |

**ჰოლანდია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| კამბური-ცვოლე | 3:1 |
| გრააფსხაპი-მაასტრიხტი | 2:2 |
| ვაალვიკი-ექსელსიორი | 1:1 |
| როდა-დორდრეხტი | 1:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ჰაკენი-ჰელსინგბორგი | 3:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-დროგედა | 1:0 |
| ბრეი-კორკი | 0:2 |
| დერი-შემროკი | 0:0 |
| დანდალკი-სტ. პატსი | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლიმერიკი-უნივერსიტი | 0:0 |
| სპორტინგი-უოტერფორდი | 1:4 |
| მონეგანი-ლონგფორდი | 2:0 |
| უექსფორდი-შელბურნი | 1:2 |

**ჩეხეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 1:1 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჩიტა-კრასნოდარი | 1:2 |
| ლ. ენერგია-ბალტიკა | 2:0 |
| სკა ენერგია-შინიკი | 0:2 |
| სიბირი-ვიტიაზი | 2:1 |
| ურალი-ნოსტა | 0:0 |
| კამაზ-გაზპრომი | 0:0 |
| მეტალურგი-ალანია | 1:5 |
| მვდ-ჩერნომორეცი | 2:1 |
| ვოლგა-ანჟი | 1:1 |
| სალუტი-ნიჟნი ნოვგოროდი | 0:2 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-დებრეცენი | 2:3 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ბრაშოვი-ოცელული | 1:1 |
| ტიმიშოარა-სტიაუა | 1:0 |

**პლაჟის ფეხბურთი**

**ევროპის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-პოლონეთი | 11:1 |
| რუსეთი-ესპანეთი | 2:2 |
| საფრანგეთი-შვეიცარია | 3:9 |
| იტალია-უნგრეთი | 2:5 |

**კალათბურთი**

**იტალია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| რომა-ბიელა | 99:84 |
| ტერამო-მილანი | 85:77 |

**საფრანგეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ნანსი-როანი | 97:79 |

**ჩოგბურთი**

**ATP. დიუსელდორფი**

| | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-ვინსიგერა | 6:1, 6:2 |
| ტიპსარევიჩი-პიკარი | 6:2, 6:3 |
| მონაკო-კოროლიოვი | 6:3, 3:6, 6:3 |

**ATP. კიცბუელი**

| | |
|---|---|
| იუჟნი-გარსია ლოპესი | 3:6, 6:1, 6:7 |
| ერნანდესი-ბენეტო | 3:6, 4:6 |

**WTA. ვარშავა**

| | |
|---|---|
| ჰანტუხოვა-დულგერუ | 4:6, 7:6, 1:6 |
| ა. ბონდარენკო-კეოტავონგი | 6:2, 7:5 |

**WTA. სტრასბური**

| | |
|---|---|
| მორიტა-ჰრადეცკა | 0:6, 0:6 |
| რეზაი-კუტუზოვა | 6:4, 6:2 |

## TV პროგრამა

### 23 მაისი. შაბათი

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია (LIVE).

**I არხი**

16:15 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლე მანი.
08:20 საფეხბურთო კლუბი.
09:10 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:40 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ბარსელონა.
11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:10 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი).
15:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ვერდერი (LIVE).
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-ჰერტა.
21:15 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მონაკო (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-მარსელი.
02:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა.
04:40 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ვერდერი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

06:00 ახალი ამბები.
06:40 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
07:10 კალათბურთი. NBA.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ბრძოლა წესების გარეშე.
09:40 ახალი ამბები.
09:50 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-დეტროიტი III მატჩი.
11:50 ახალი ამბები.
12:00 მძლეოსნობა. სეზონის სტარტის წინ. ოქროს ლიგა. საფრანგეთი.
14:00 ტაილანდური კრივი.
15:00 სპორტული დღე.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი (LIVE).
19:30 ახალი ამბები.
20:00 ჰოკეი.
20:55 ფარიკაობა. მსოფლიოს თასი. რუსეთი.
22:25 სპორტული საღამო.
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ატლეტიკო.
03:00 ახალი ამბები.
03:30 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. კაროლინა-პიტსბურგი. III მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
11:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
11:30 მულტისპორტი.
12:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XII ეტაპი.
13:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIII ეტაპი.
13:35 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
13:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
15:30 ჩოგბურთი. Masters Guinot Mary Cohr. პარიზი. საფრანგეთი.
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIV ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. Masters Guinot Mary Cohr. პარიზი. საფრანგეთი.
20:30 ევროსპორტი.
21:25 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
21:30 ცხენოსნობა. გერმანია.
22:45 პროფესიული კრივი. მ. ბისკუპსკი (პოლონეთი)-ს. მელისი (ესტონეთი). საფრანგეთი.
01:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
03:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/4 ფინალი. პორტუგალია-პოლონეთი.
13:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:45 ახალი ამბები.
14:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XIII ტური. ჯეფ იუნაიტედი-იოკოჰამა (LIVE).
16:00 ახალი ამბები.
16:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. საკვალიფიკაციო მატჩი. იტალია (LIVE).
17:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. საკვალიფიკაციო მატჩი. იტალია (LIVE).
18:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი. იტალია (LIVE).
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი. იტალია (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. შახტარი (უკრაინა)-ვერდერი (გერმანია).
22:00 წყალბურთი. ევროლიგა. ოთხა ფინალი. ფინალი (LIVE).
23:00 სპორტული ცეკვა.
23:30 მაუნტინბაიკი. პორტუგალია.
01:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი.
02:00 ახალი ამბები.

### 24 მაისი. კვირა

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

16:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერთასი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-მარსელი.
08:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ატლეტიკო.
10:10 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია.
14:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მონაკო.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ვერდერი.
18:15 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ევერტონი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-სტოკი.
03:00 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ნიუკასლი.
04:45 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

06:00 ახალი ამბები.
06:10 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. უორინგტონი-უიგანი.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. კაროლინა-პიტსბურგი. III მატჩი.
10:50 ახალი ამბები.
11:00 ფარიკაობა. მსოფლიოს თასი. რუსეთი.
12:30 სპორტული დღე.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა (LIVE).
22:00 სპორტული საღამო.
22:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ფინალი. პირველი მატჩი. კილი (გერმანია)-სიუდადი (ესპანეთი).
00:05 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).
02:10 ახალი ამბები.
02:20 ცურვა.
04:00 ბეისბოლი. MLB-ის ჩემპიონატი. მინესოტა-მილუოკი (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
11:05 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIV ეტაპი.
11:40 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
11:45 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. მონაკო (LIVE).
12:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XV ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღის მიმოხილვა.
23:00 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
23:10 სნუკერი. დიდების დარბაზი.
00:15 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
00:30 ავტოსპორტი. რენოს სერია. მონაკო.
01:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
01:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღის მიმოხილვა.
02:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
03:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
11:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
12:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. შახტარი (უკრაინა)-ვერდერი (გერმანია).
16:00 მაუნტინბაიკი. პორტუგალია.
16:45 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ფინალი. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი.
17:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ქალები. საჩვენებელი მატჩი. იტალია (LIVE).
18:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. მე-3 ადგილისთვის. იტალია (LIVE).
20:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ფინალი. იტალია (LIVE).
21:00 მაუნტინბაიკი. პორტუგალია.
22:00 ახალი ამბები.
22:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ფინალი. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი.
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
00:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბები.
00:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ფინალი. პირველი მატჩი. კილი (გერმანია)-სიუდადი (ესპანეთი).
02:15 ახალი ამბები.
02:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბები.
03:00 ახალი ამბები.
03:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბები.
04:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# დეჟავიუ პირიქით



**დეჟავიუ** - ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანი გრძნობს, რომ ის ერთხელ უკვე იყო მსგავს სიტუაციაში, მაგრამ ეს გრძნობა არა წარსულის გარკვეულ მომენტს, არამედ საერთოდ წარსულს უკავშირდება. რთული სათქმელია, შეესაბამება თუ არა ეს ფრანგული სიტყვა „ლეიკერსისა“ და „ნაგეტსის“ სერიის მეორე მატჩს, მაგრამ პირველი და მეორე შეხვედრების შედარებისას იმ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, რომ ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, ოღონდ ამჯერად გუნდებმა როლები გაცვალეს.

პირველი მატჩის შემდეგ „დენვერის“ მწვრთნელმა **ჯორჯ კარლმა** დაიჩივლა, რომ მისი შეგირდები ბოლომდე მონდომებულები არ იყვნენ მატჩის მოსაგებად. მანვე **კობი ბრაიანტი** ახსენა და „ლეიკერსის“ ლიდერს უმნიშვნელოვანესი მატჩების ბოლო წუთებზე თამაშის დიდოსტატი უწოდა. კალიფორნიელთა დამრიგებელმა **ფილ ჯექსონმაც** შეაქო თავისი გუნდის ლიდერი, მაგრამ ისიც აღიარა, რომ საერთო ჯამში ბრძოლა „დენვერმა“ მოიგო.

როგორც ჩანს, წინა მატჩში დაშვებული შეცდომების თავიდან ასაცილებლად „ლეიკერსმა“ თავიდანვე სცადა ინიციატივის საკუთარ თავზე აღება, „დენვერმა“ კი გადაწყვიტა, მოვლენათა ფორსირება არ მოეხდინა და საჭირო მომენტს დალოდებოდა. სადებიუტო მეოთხედი მასპინძლებმა დამაჯერებლად ჩაატარეს და ბრაიანტისა და **პაუ გასოლის** მონდომებით 31:23 დაწინაურდნენ. მეორე მეოთხედის სტარტზე **ლამარ ოდომმა** და **შენონ ბრაუნმა** ორ წუთში მასპინძლების უპირატესობა 14 ქულამდე აიყვანეს და სერიოზული განაცხადი გააკეთეს ზედიზედ მეორე მოგებაზე.

და როგორც ყოველთვის, რთულ მომენტში „დენვერს“ მშველელად დაულალავი **კარმელო ენტონი** მოევლინა, რომელმაც ზედიზედ 14 (!) ქულა დააგროვა და მეტოქეს მოდუნების საშუალება არ მისცა. ხოლო, როცა პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა ორი წუთის განმავლობაში ვერ შეძლეს მეტოქის ფარის აღება, კარმელოს „ნაგეტსის“ მეორე ლიდერი **ჩონსი ბილაპსი** და ლიტველი ფორვარდი **ლინას კლეიზა** წამოეშველნენ. დიდ შესვენებაზე გუნდები ზუსტად იმ ანგარიშით გავიდნენ, როგორც წინა მატჩში - 55:54 „ლეიკერსის“ სასარგებლოდ.

პაუზის შემდეგ მასპინძლებს ახალი ლიდერი გამოუჩნდათ. **ტრევორ არიზა** იოლად უსწორდებოდა „დენვერის“ დაცვას და მისმა 11-მა ქულამ მესამე მეოთხედის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე „ლეიკერსს“ 7 ქულით წინ გასვლის საშუალება მისცა. „ნაგეტსი“ არიზას ასეთ თავხედობას არ ელოდა, მაგრამ დროზე მოეგო გონს. ბილაპსმა და ენტონიმ **კრის ანდერესენისა** და იმავე კლეიზას დახმარებით ჩამორჩენა გაათანაბრეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი ბოლო მეოთხედში გადაწყდებოდა.

ბოლო 12-წუთეულის დასაწყისი სტუმრებისა იყო. ენტონის მორიგი ხუთი ქულის, ბილაპსის ოთხი ზუსტი საჯარიმოსა და კლეიზას სამქულიანის წყალობით, „დენვერის“ უპირატესობამ სახიფათო ზღვარს მიაღწია - 91:84. ჯექსონის ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დროული რეაგირება მოახდინეს მეტოქის სპურტზე და ორ წუთში 8:0 გაიქცნენ. მეოთხე მეოთხედის მეორე ნახევარმა თანაბარ, უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა, მაგრამ მეტოქეები არა ჰანდიკაპის შექმნაზე, არამედ უკეთ თავის დაცვაზე ფიქრობდნენ. საბოლოოდ, შეხვედრის ბოლო წუთებში ქულა-ქულაში თამაში წავიდა.

2:21. ენტონიმ კიდევ ერთხელ მოხსნა ბურთი მეტოქის ფარზე და ორი ქულა მიითვალა - 96:99.

1:59. კარმელო აქტიურად მეურვეობს ბრაიანტს, მაგრამ კობი მაინც ახერხებს სამქულიანის ჩაგდებას - 99:99.

1:44. გასოლი ბილაპსზე ჯარიმდება და ჩონსი ორივე საჯარიმოს აგდებს - 99:101.

1:21. **დერეკ ფიშერი** სამქულიანს აცილებს, მაგრამ იქვე არიზა ჭრის ბურთს და კობი საშუალო მანძილიდან ანგარიშს ათანაბრებს - 101:101.

0:29. **ნენეს** ბრწყინვალე პასის შემდეგ, **კენიონ მარტინი** ფარქვეშიდან აგდებს - 101:103.

0:13. გასოლის მიერ მოგებული სადავოს შემდეგ არიზა ბურთს კარგავს და ფიშერი იძულებულია ბილაპსზე დაარღვიოს თამაშის წესი. ჩონსი ისევ ორივე საჯარიმოს იყენებს - 101:105.

0:07. მარტინი პაუ გასოლს საჯარიმოების შესასრულებლად უშვებს და ესპანელი ორ ქულამდე ამცირებს სხვაობას - 103:105.

0:04. ფიშერის მორიგი ტაქტიკური ჯარიმა. ამჯერად ბილაპსი ორიდან ერთ საჯარიმოს იყენებს - 103:106.

0:00. **უოლტონი** მოედნის კუთხეში მდგარ ფიშერისკენ გზავნის ბურთს. გასოლმა „ლეიკერსის“ გამთამაშებელს სამქულიანის შესასრულებლად საკმაოდ კომფორტული სიტუაცია შეუქმნა, მაგრამ დერეკმა შეხვედრა ვერ გადაარჩინა - 103:106.

ამ მატჩში ბრაიანტმა ისტორიულ შედეგს მიაღწია - თავისი 32 ქულის წყალობით, კობის პლეი ოფში 4087 ქულა დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით საკლუბო სიაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ბრაიანტმა ლეგენდარულ **ქარიმ აბულ-ჯაბარს** გაუსწრო და ახლა პირველ ადგილზე მყოფ **ჯერი უესტს** 370 ქულით ჩამორჩება.

**დასავლეთი**

**ლეიკერსი-დენვერი 103:106**

31:23, 24:31, 26:26, 22:26

ლ: ბრაიანტი (32), არიზა (20+4 ჩაჭრა), პ. გასოლი (17+17 მოხსნა), ოდომი (10+9 მოხსნა).

დ: ენტონი (34+9 მოხსნა), ბილაპსი (27), კლეიზა (16+8 მოხსნა), მარტინი (16+3 ჩაჭრა), ნენე (6+9 მოხსნა+6 პასი).

სერია: 1:1

# კლიპერსი გრიფინს აირჩევს

## დალასი კლიპერსის მაღლებს უმიზნებს



როგორც ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, 2009 წლის დრაფტის ლატარია „ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ მოიგო. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ დანლივიმ** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დრაფტის პირველ ნომრად „ოკლაჰომას“ ფორვარდ **ბლეიკ გრიფინს** აირჩევს.

*„ის უდავოდ დრაფტის პირველი ნომერი იქნება და ზუსტად ის კალათბურთელია, რომელიც ჩვენ გვჭირდება! მინდა დაგარწმუნოთ, რომ „კლიპერსი“ სწორედ მასზე შეაჩერებს არჩევანს“*, - ამბობს კალიფორნიელთა დამრიგებელი.

გრიფინის დამატებით, „კლიპერსში“ საკმარისზე მეტი იქნებიან მაღალი მოთამაშეები და რომელიმე მათგანს ახალი კლუბის ძებნა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ მაიკ დანლივის გუნდში ირიცხებიან **კრის კამანი, მარკუს კემბი, ზაკ რენდოლფი** და **დეანდრე ჯორდანი**.

■ ■ ■

სხვათა შორის, „კლიპერსის“ მაღლებით უკვე დაინტერესდა ერთი კლუბი. ეს არის „დალას მავერიქსი“, რომელიც კალიფორნიელთა სამ კალათბურთელს - გამთამაშებელ **ბაირონ დევისს**, ფორვარდ მარკუს კემბის და ცენტრ კრის კამანს უმიზნებს.

როგორც ამერიკული პრესა წერს, იმ შემთხვევაში, თუ ამ ზაფხულს „მავერიქსს“ გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** დატოვებს, ტეხასური კლუბი დევისის ხელში ჩაგდებას ეცდება, რომელიც, მოქმედი კონტრაქტის თანახმად, მომავალ ოთხ წელიწადში 60 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. წინა ხაზის გასაძლიერებლად კი „დალასს“ მარკუს კემბი და კრის კამანი სჭირდება. სხვათა შორის, კამანი „დალასის“ ლიდერ **დირკ ნოვიცკისთან** ერთად პეკინის ოლიმპიადაზე გერმანიის ნაკრების რიგებში თამაშობდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი





# ახალი ანა კურნიკოვა?

17 წლის რუმინელ ჩოგბურთელს **სიმონა ჰალეპს** ახალ **ანა კურნიკოვას** უწოდებენ, თუმცა, როგორც ამბობენ, სიმონა რუსი ვარსკვლავისგან ორი რამით ყოფილა გამორჩეული - უფრო კარგად თამაშობს ჩოგბურთს (თუმცა ის ჯერ მხოლოდ 317-ე ადგილზეა რეიტინგში და საჩოგბურთო წრეებშიც ნაკლებად იცნობენ) და მკერდის ოპერაცია აქვს გაკეთებული.

ჰალეპი ქალაქ კონსტანცაშია დაბადებული. ოთხი წლიდან ჩოგბურთს თამაშობს და იუნიორთა დონეზე დიდი მიღწევებიც აქვს. შარშან როლან გაროსი მოიგო და ივნისში რეიტინგსაც ჩაუდგა სათავეში (ახლა იუნიორებს შორის მეექვსე ადგილზეა).

რუმინული ჩოგბურთის შეფობა იმედოვნებს, რომ სიმონა კურნიკოვას გზას არ გაუდგება და ნამდვილ საჩოგბურთო კარიერას გაიკეთებს.

